

ნოდარონ მახათაძე

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

ლირიკიადა



თბილისი 2010  
„ეროვნული მწერლობა“

რედაქტორი: ზაზა ქინძლაძე

კორექტორი: მანია მიქანია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ვერიკო ზამთარაძე

დიზაინერი: ლექსო ოთარაშვილი

ოპერატორი: გენრი დოლიძე

ISBN 978-9941-0-2233-3

## ლირიკიალა

ძილში სიზმარი მინახავს ბევრი, ცხადიც მრავალი მქცევია სიზმრად, თითქმის სუყველა გადამავიწყდა, მე დავიწყება არც მქონდა მიზნად. ყველა მათ შორის მახსოვს სულ ერთი და დამერწმუნეთ, ღირს გასამხელად, რადგან ხანდახან გასაჭირის დროს, როცა ვნატრულობ, ჩნდება სამ-ხელად. რიონის პირად გალაკტიონი ვნახე, რიონი ორივეს გვემხვერის. თუ მიდიოდა თუ მოდიოდა მხრები დაჰქონდა შრიალით ვერხვის. მიმოდოდა და ნაფეხურებს დინოზავრივით აჩენდა ქვიშნარს – ტანის სიმძიმით კი არა, ღმერთო, ლექსის სიმძიმე მხრებს აწვა ნიშნ-არსს. მიმოდოდა, ვერ სჩერდებოდა, ერთ ბილიკს მისთვის ემჩნია მზრალი, უცებ ჯდებოდა, უცებ დგებოდა და დადიოდა ხან როგორც მთვრალი. და დადიოდა ის, როგორც მთვრალი, არ უსვამს ღვინო საათი შვიდი, ლექსის ტრფიალი იმდენად სძრავდა, მის სიყვარულში დღე იდგა მშვიდი. ბობოქარ ტალღებს მიჰქონდა მზერა და წყალიც ზოგჯერ ნაპირს დიოდა. გალაკტიონიც ამ დღეში იყო... მას სიმწრის ოფლი ჩამოსდიოდა. ვერ სჩერდებოდა, ვერ ისვენებდა ერთი შეხედვით გულში ყიოდა. ალბათ, ეს იყო ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი ლექსის რითმა ტკიოდა. შეჩერდებოდა ხანდახან უცებ და ცის სიღმეში შეჰქონდა თვალი. გეგონებოდათ ნასვამი ცოტა, მაგრამ არ იყო, არ იყო მთვრალი. მუჭს აივსებდა ზოგჯერ კენჭებით და სათითაოდ თან წყალში სვრიდა, კენჭის ხმაური დიდ ქვასთან რაა, მაგრამ ეგ ნება სიამეს ჰგვრიდა. მის ორივე თვალში აშკარად ნაღდად დღე ბუნებრივად იყო სართველო და მე ვხედავდი მის თვალის ჩინში სულ მთლიან სჩანდა თან საქართველო. ეგ იყო ვერხვი, ეგ იყო მუხა ტოტებგაშლილი და განიერი, ჭყვიშისკენ ხშირად ეჭირა თვალი და გული ედგა ტობანიერი. ამაყი იყო, მის სიამაყეს ამაყობითვე თხრობდა რიონი, ეს – ამაყობდა რიონის მზერით და რიონი კი გალაკტიონით. მე ასე ვფიქრობ, მაისი იყო, თანაც თვის ბოლო ივნისის წინა, ამას მე იმით ვამტკიცებ ახლა, რომ მდინარის ფსკერს უჩანდა ბრწყინვა. ცოტა სულ ცოტა, რუს თუ ოდენა მდინარეს ჩვენსკენ მოეგდო ფშანი, სწორედ ეგ იყო, ალბათ, ჩვენს მგოსანს გულს ადგებოდა ხან კაეშანი. ფეხის ნაბიჯი დინჯი და წყნარი, აუჩქარებელ თანაც ნდომეთ-ვლის, ბევრი სიზმარი გადამავიწყდა, ეს ერთი მაინც ნებად მომეთვლის. სიხარულისგან ვგრძნობ, ოფლში ვცურავ, ნერწყვთანაც მომდის ავი ყლუპები და ის მაწუნებს, რომ გამედვიძოს, ჯერ ხომ ადრეა – დავიდუპები. ხვედრი მგოსანთან დიდია ყოვლის, ხვედრი შეხვედრის დიდია რწმენის და ახლა უცებ ფირი რომ გაწყდეს, ეგ ბრალდებაა უკვე მოწყენის. სულ მინდა შევხვდე, მაგრამ ხათრი მაქვს მის სიმადლის და ჩემი ზაფრის, რომ განაწყენდეს და ეს მიწყინოს, ხომ შთაინთქმება ტალღები აფრის. საპირისპიროდ შებრუნდა ჩემგან და ზურგ შექცევით დაუყვა ნაპირს, ვფიქრობ, დამთავრდა ჩვენი შეხვედრა, ჩვენ უკვე ახლა დრო უცებ გაგვეყრის.

ერთ ხანს იარა... ცოტა იარა... გულდაწყვეტილმა უნახავ მამით,  
 რაც-რა დაკარგულს ეძებდა იგი, რაც რა საპოვნელს მოსთვლიდა ამით.  
 როგორც რიონი თვის კალაპოტში, მიდიოდა და ხდებოდა სწრაფ-ეს,  
 ამნაირ, ალბათ, პოეტის სისხლში დრო მისებურად ისროდა ქაფებს.  
 მე დრო ვიხელთე ჩოქვით ქვიშნარზე, სადაც სისველე კვალს აბ-აბ ეტყო,  
 ვთქვი: მოსახდენი მოხდეს, რაღა ეს ჩემი სათქმელიც მეც თან დავბერტყო.  
 ფანქრის ოდენა მოვნახე ჯოხი რამე თუ ჩხირი საწერ იოლი  
 და ამოვქარგე ქვიშაზე ხელით მეფე-პოეტი გალაკტიონი.  
 მხატვარი არ ვარ, ძლივს მემარჯვება, ქვაც რომ მინდოდა დავხატო ერთი,  
 მაგრამ სახელთან პროფილიც მოსნის მოვნახე კოხტად, ვით შენაერთი.  
 გულში სინარულს ვეღარ ვფარავდი, რომ მსგავსით მსგავსის შევქმენ შედეგრი,  
 თანაც ყოველი უეცრად მოხდა, არ მიფიქრია მე მასზე ბევრი.  
 მიწერებოდი პოეტის სახეს და მის სახეში სჩანდა ის სახე,  
 რომელიც შექმნა თვითონ ბუნებამ და მეც რომელიც ამ წუთში ვნახე.  
 ვნატრობდი მხოლოდ ერთადერთს ქვეყნად, არ ამოვარდეს უეცრად ქარი  
 და არ წაშალოს მეფე-პოეტის გულს მიღებული პატარა ქნარი.  
 სილა-ქვიშაზე ნახატი რაა, ისიც ამნაირ ცოტათი სველი,  
 მაგრამ პოეტის ყოველ ხილვაში დღეს საქართველო მოსჩანდა მთელი.  
 მის დინჯ ნაბიჯში იღო სირიდე უკერძოებულ ძლევეთ მოსილი,  
 კრძალვა, რომელშიც იღო წარსული და მომავალი მადლ შემოსილი.  
 რიცხვი თარიღი დღევანდელ დღისა დღევანდელობის კიდევ წლობისა,  
 კვლავ გადავხონდი ჩემს სამალავში, მოვიკალათე გზა მშვიდობისა.  
 აი, მობრუნდა გალაკტიონი უფრო ძლიერი, უფრო ამაყი,  
 თითქოს რიონის შეგუბვა სურდა, რისი სიმთვრალე, არც კი ნანაყრი.  
 თვალი შეავლო ჩემს ნამოქმედარს და გონებაში შთაინთქა ერთობ,  
 მაგრამ არა-კი როგორც მოსნანი, უბრალო ვინმე, ღმერთო და ღმერთო.  
 პირჯვარ წყალობით გარდაისახა, სამჯერ ესე ქნა და მის ამარა  
 ძირს დაიხოქა, მიწას აკოცა და ცრემლი წასკდა, როგორც კამარა.  
 ზეზე წამოდგა თვალებით ცრემლის და მიმოავლო კვლავ არეს თვალი,  
 ამ თვალში იღო, ალბათ, საჩინო ცრემლში კი, ალბათ, სამშობლოს ვალი.  
 ვაიმე, ღმერთო, ეს რაღა ვქენი, აზრი ამგვარი რად მომაგონდა,  
 საყვარელ მოსნანს ხომ არ ვაწყინე, რომ თქვას: „შენ ისე მამა გიცხონდა!“  
 ის დიდხანს იდგა მდუმარედ, ურჩად, ათასის ნაცვლად და ას ამარა,  
 შეწყვიტა ცრემლი და რაც დაღვარა, მან თავის ხელით დაასამარა.  
 შემოტრიალდა შემდეგ, ვით ლომი წვერზე ხელსმობით რაღაცნაირად,  
 შესძახა: „ვინ ხართ მარტო, კვლავ სურვილს ვინ დამდგომიხართ აქა შაირად“.  
 მეც ზეზე ავდექ, რა ჩარა იყო, მეფე პოეტმა გასცა ბრძანება –  
 დღესაც იმ წუთში ვზივარ და ვფიქრობ, ის წუთი არის ჩემი ზმანება.  
 ძახილს ძახილით არ ვუპასუხე, ავდექ და მიველ ღიმილით სავსე  
 და მახარებდა მაინც სიმარჯვე, რაც მოვახერხე, რაც რით ვათავსე.  
 გამომიწოდა მისულს მან ხელი და მკერდს მიმიკრა, როგორც ბედურა,  
 მისი სიმაღლე და სიამაყე თავზე ლურჯი ცის მსგავსად მეხურა.

„გცოდნია, შვილო, მე ვინ ვარ ან კი რისთვის დავდივარ აქ მარტო ნაპირს, ლექსის განტვირთვას დრო უდგას მისი, მაგრამ წამიც რომ მასთან ვერ გამყრის. ჩემთვის ლექსია ჩემი სხეული, რაც გამაჩნია სისხლის წვეთები, უფრო მეტს ვდუღდი, დავღვინდი ცოტა, დღეს იშვიათად თუ ვეფეთები. ეს გზა სულ ჩემი ნაფეხურია, აი, ის რაც მე აქ დღეს გადამხდა, სიამოვნებას მეტს მგვრის ნაპირი, ვიდრე შიგ ჩასვლა ან ტანზე გახდა. ხომ ხედავ, ახლა მე შენთან ვდგავარ და ჩვენს გვერდი-გვერდ სიო ნანაობს, მაგრამ იცოდე, აქ ამ ტალღებში დღეს ჩემი ფიქრი უკვე ბანაობს. მე აქ ლექსების მაღლით მოვედი, შენ კი მითხარი, რამ მოგიყვანა, ალბათ, ზღვასავით რომ ვხედავ სიმინდს, შენი იქნება, ვიცი, ეგ ყანა!“

„ჩემია – ვუთხარ ზღვასავით ყანა, აქ მიგვიჩინა ალაგი სივრცემ, ამ წუთს კი, რომლის შენი ღირს გაეხდი, მე არასოდეს არაგის მივცემ. მეცა შვილი ვარ ამ დიად ქვეყნის, ამ დიად ხალხის ამ დიად მზერის, ამ ცინცხალ ფიქრის, მინდვრის თუ ბადის, თავის ლაზათით გულში რომ მღერის. ვაზი რომ ტირის, ვაზი რომ მღერის, რომელ ვაზშიაც დევს ქართველის გული, რაც დასაბამით მოგვეყვება, მოგვაქვს წინაპართაგან ანდერძად თქმული. აქ-წყარო არის და იმ წყაროში ჩემი გონების ტრიალებს ქარგა, ბევრი წვალების დასტური არის, რომ წყარომ ნაპირ მიჰქარგ-მოჰქარგა. როს დროს ვნახულვობ, აქ ჩამოვდივარ, ხან სხვებთან ერთად და ხანაც მარტო. შინ ვარ, ეგ წყარო სულ მენატრება, აქ ვარ და სახლ-კარს ეზოთი ვნატრობ. მონატრებაში დევს დიდი ძალა, მონატრებაში დევს ასგზის შეება, მისი მიზანი ჟინია მხოლოდ და, რომც გინდოდეს, არ მოგეშვება. მამას ბადე აქვს არა სასროლი, უბრალოდ ისე, ხოპია ბადე. არ მოსწყინდება, რომ იბადუროს განთიადიდან დაღამებამდე. დიდ მებადურად თავს არ თვლის, მაგრამ ხან ალაღბედზე უმართლებს კიდევც, კარანჩხას ავსებს: წვერა-ქაშაყით და მის ხალისში ილევა ის დღევც. გატაცებაა მისთვის თევზჭერა, არა პირდაპირ საქმე იმისა, ამაში ხედავს ის მის ცხოვრებას, ამაში ატნევს ის თან ღიმილსა. ხანდახან მეც თან მოვეყვები ხოლმე, როცა მოვრჩები შინ წიგნის კითხვას, თანაც ამ ბადეს ავდარი უნდა, არ გაურბოდა წვიმაში თითხვნას. და მამაც ზოგჯერ მათხოვებს ბადეს, სიმარჯვისათვის გამოცდას მიწყობს, ხანდახან გულში გამიჯავრდება... მაგრამ გარეგნულ ამას არ იტყობს. მამამ რა იცის ჩემს თევზჭერაში ჩემი იდეა დევს სინანულის, რადგან თევზს ვართმევთ თავისუფლებას, რაღა პასუხი აქ წინა წნულის. უფრო მკაცრია ანკესი ჩემთვის: დიდ სიხარულში დიდი მაქვს შფოთვა, შოთა რუსთველმა ბევრი რამ გვითხრა და ბევრ სათქმელსაც გვაირდება შოთა. და შემოდგომა დადგება როცა, გამოიცვლება ბუნების ჩვევა, მამა ამ ფშანზე მაშინ ფაცერს დგამს და მოულოდნელ სულ აქ აქვს წვევა. დამეც მრავალჯერ ყოფილა ის აქ დაღამებიდან გათენებამდე. მებადურობას, ვთქვი, არ იჩემებს, არც სხვას მიჰყვება ამ გზით ნებამდე. რა ქნას, რაც იცის, იმას აკეთებს მისთვის ლექსია მთელ ეს ქმედება: ბადე-კალამი, წყალი-მელანი, ქვიშა- ქაღალდი – შემოქმედება.



თვეში კი რითმა ძველ კარაჩხაში წყობილ-წყობილი, მაგრამ არეულ, „არ გემარჯვება“ – სულ მსაყვედურობს, მე შენს ასკში ვიყავ ადრეულ. თუ ცოტას იტერს და ხელი უცდის მსგავსის მსგავსითა უფროა მსგავსი, სინგავრიელე გულს უხალისებს ამბობს: „ამ დილით გავტეხეთ ნავსი.“ ისე მამაჩემს თოფიც აქვს კიდევ უბრალო, სადა, ორლულიანი, უმეტეს წილად მწყერზე ნადირობს, უყვარს სისხამი, არა-მზიანი. მე თოფის ხელში დამტყერი არ ვარ და არც ვიქნები მე მისი მწყემსი, მწყერი თავისთვის დაგოგავს მინდვრად... აფრინდება და მას როგორ ვესვრი. მონადირე ძაღლს შინ ზიზღით ვუტყქერ, მამას როდესაც წინ წაუძღვება, იცის ვინცა ვარ და რაზეც ვწუხვარ, მაინც ლაქუციით გულ არ უძღება. თუმც ამ ბოლო დროს აღარ ნადირობს იმდენად ის, ვინც რაც ადრე იყო, თავისთავს კიცხავს მამა ხანდახან: „რა ჩაიდინე შენ ერთხელ, ბრიყვო.“ თურმე ვენახში, დაბლა ვენახში, რომლის მანძილი სახლზე შორს გქონდა, მას სანადიროდ აქეთ წამოსვლა ვენახზე გავლით თან მოაგონდა. გადასაბიჯი ჰქონდა იქ ჭიშკარს ნახევარ ჭიშკარს რამ კი არ ჯაღო, თოფი გადასდო... მამა გადახტა და თან კინაღამ თავიც იქ დადო. ძაღლმაც ისეკუპა მამასთან ერთად და თოფის ჩახმანს ჩამოჰკრა ბრჭყალი, ტყვია – წინ, თოფი – უკან გავარდა, თავო და თავო, აქ ვისი ბრალი. „ხომ არ მოსვლია მამაშენს რამე? სროლის ადგილზე სხვა რაღა დარჩა?“ – სხვა არაფერი, შიში კი ნახა... ასე, ამგვარად ბეწვზე გადარჩა. არვის აბრალებს არც ძაღლზე აუგს, არასდროს ამბობს, არასდროს წყრება, ამას კი ამბობს: „რადგან გადავრჩი, ჩემი ხელიდან იფრინოს მწყერებმა“. მას შემდეგ მამას შესძულდა თოფი, ხანდახან ისე თუ გადახედავს, ზეთსაც თან უსვამს: „ან თოფს რას ვერჩი“ და მიაყოლებს თავისთავს ზედ-ავს. „გამიგონია, შვილო, ოდითგან თოფს მარცხი მოაქვს ყოველთვის დიდი, ძნელ სანდობია, არც სანათხოვრო, ამასთან კიდევ ფრთხილ მოსარიდი. ამაზე არის ნათქვამი, ალბათ, ერთი ქართული ანდაზა სწორი, გატენილ თოფით ერთს ეშინია, გაუტანელით კი შიშობს ორი. მეცა შვილი ვარ ამ დიად ქვეყნის, ამ დიად ხალხის, ამ დიად მზერის, ამ ცინცხალ ფიქრის, მინდვრის თუ ბადის, თავის ლაზათით გულში რომ მღერის. ვაზი რომ ტირის, ვაზი რომ მღერის, რომელ ვაზშიაც დევს ქართველის გული, საშვილიშვილოდ მოგვდგამს ეგ რწმენა, წინაპართაგან ზღაპრულად თქმული. დილით მეტ შვებას ვგრძნობ მე აქ ყოფნით, როცა მზე ოქროს ლაჟვარდში ცურავს და როცა მიწას, ჩვენს დედამიწას სივრცედ ლურჯ ფერის სამოსი ხურავს. მოვალ და ვეტყვი: „დილა მშვიდობა“ ჩავიჩოქებ და ორ-სამ ყლუპს მოვსვამ, და ისიც ამბობს მისებურ ხმაზე: „იცოცხლე, შვილო, გახაროს მოსვლამ.“ თავ დავუჯდები ხანდახან ფიქრით, მე მის წანწკარში დიდ იმედს ვხედავ, ვგრძნობ, მასაც მიაჩნის დედად და მის წიადში მეც დედას ვხედავ. ჩვენს შორის უფრო მკვიდრდება ძალა სისხლ-ხორცეულთა და მკვიდრთა-მკვიდრის, იმდენად დიდი, იმდენად გამრჯე, რომ მის დიად გზას ვერვინ შეიღრის. ხანდახან მარტო რჩება, სულ მარტო, მაგრამ ასეთ დროს მეტ ჰყავს სტუმარი, თავისებურად მაინც ნაცნობებ წინ უფრო ადრე შენახუმარი.

წყაროს სახელიც კი აქვს თავისი, წანწკარ-წანწკარ და ცემა-ტყეპითა, მას ჩიტის წყაროდ იხსენიებენ, არსად სწერია ხალხს მოაქვს თქმითა. ისე მის ფუძეს თუ მთლად ჩავწვდებით, ფორმა სულ მისი მართლა ჩიტისა და უნებლიედ, თუნდაც უცნობი თავისებურად სახელს იტყვისა. მამას თოხნაში აქ ვეხმარები, ჩუმი ნიავიც აქ ფრთებს გვიშლისა, დედას სადილი ჩამოაქვს ზოგჯერ და წყაროს თავზე ღიმილით შლისა. და ასე მიდის ჩვენი ცხოვრება, წყაროს რაკრაკით წყაროს საუბრით, ეგ სეზონურად... ნაშემოდგომებს ყველა ტოვებს და ყველა გაურბის. შეჩვეულია ამ ბედს ეგ წყარო და აქ ხალხიცა ამ ბედით ცხოვრობს, მადლს კი არაგინ მას არ უკარგავს, რომ ყველამ თვის გზა გაიმაცხოვროს. აქ ყველა გოჯი ყველა მისხალი ამ ჩვენს სამშობლოს უღევს თვის წილად, მთიდან მთებამდე ზღვიდან ზღვებამდე ღვთისგან ბოძებულ ედემურ წვლილად.“ გალაკტიონმა ხელი მომკიდა, პირჯვარ იწერა და მითხრა: „შვილო, აბა, მანახე, წამოდი ის რაც შენს დიად გულში რომ ასე შლილობს.“ ცოტა ვიარეთ მე ასე მახსოვს, არ გაგვივლია მანძილი დიდი. ბავშვურ წიადში, ბავშვურ ნატვრაში მე შემართებას თან ფარდას ვხდიდი. „აი, ეგ არის ძია ის წყარო!“ – თითით ვუშვირე ნიშნად იმისა, რომ ამოეცნო მას ის ფრინველი, რომლის სახელიც ჰგვრიდა ღიმილსა. „ყოჩაღ!“ – ეგ მითხრა და დაჩოქილმა წყაროში ტურ-ცხვირ მან ხარბად ჩაღო, კი აღარ მახსოვს რამდენჯერ მოსვა, მაგრამ მის სმაში თან იღო ჯადო. თავაწეულმა მდგომს შემომხედა ო, ღმერთო, როგორ უბრწყინდა თვალი, ღვინო უსმელი თანაც უხემსო, მაგრამ სიამით ის იყო მთვრალი. სიცილ აუტყდა, იცინა დიდხანს, სიცილშიც რაღაც ერია მსგავსი, წარსულ-მომავლის ურთიერთ შერწყმა მზიანი მთლიან არ როგორც ხავსი. „კი არ მწყუროდა, მე მართლა, შვილო, მენახა მსურდა ამ წყაროს გემო, შენს ხასიათში სჩანს ის მერმისი, რომლის საუნჯე აქ არის ზემო. კი მართალი ხარ, ამ წყაროს ფორმა მართლა ჩიტია, ჩიტი დაბუა, ნეტავ, პირველმა ვინ სთქვა ეს სიტყვა... ვიცი, იტყოდა ვიღაც ბაბუა. იქნებ მის წლებში დევს საუკუნე, ბარე ერთი და ბარე ათიცა, ხომ შეძლება მეტ რაღა ცნობა, აქ ვეფხვმაც ჩასდო თავის თათიცა. იქნებ და სულაც ჩვენს აღრიცხვამდე ეგ წყარო მისთვის მიბუტბუტებდა და თავის მცირე კოპწია ფშანით ჯაგნარს თავისი ტალღით უტევედა. თუმც მისი ტალღა რა იქნებოდა, რაც არ დაწვება, რა ადგებოდა, მაგრამ რამდენი ბალახ-ბულახი მაინც მის ფეხქვეშ გაეგებოდა. თუმც მისი ტალღა რა იქნებოდა, მეც ნეტავ იგი ახლა ვწყი რაზე, მაგრამ ტალღები, ალბათ, ავღარში გადადიოდა იქნებ ყირაზე. ბავშვივით წყალმაც იცის გულმოსვლა, გაბრაზება და მედიდურობა, რაც მეტს შესძახებ დასაწყნარებლად, მით უფრო მოაქვს მეტი მღურობა. რას იზამ, ასე ჰკარნახობს ნება მას ბუნებისა და ღვთაებისა, ასე რომ არ ჰქნას, სად ექნებოდა, მითხარ, მას მადლი უკვდავებისა. ვეფხვი ვახსენე, იქნებ გაჰკვირდი და გულს ჩაიდე შენ ჯაგრი მგზავრის, ერთხელ ხომ მაინც გინახავს, შვილო, სათაფლიაში კვალ დინოზავრის.

კი ჩიტის წყარო, მაგრამ რომელი ჩიტ-ნაირ სახეს ბევრ ესარჩლება, მე ამას ახლა ბელურას ვარქმევ, რადგან ბელურა სულ ჩვენთან რჩება. ის თბილ ქვეყნებში არასდროს მიდის, იგი აქ არის ყოველთვის ჩვენთან და შენც, ბიბია, ეგ იგულისხმე, კვლავ სიკეთესთან სიკეთე ჰქენ თან. მე იმით მერცხლის, რაღა თქმა უნდა, კი არ ვუარყოფ მისადმი ხოტბას, მაგრამ ის მინდა, ამ ჩემის თქმითა, მეც ჩემი ნების სიყვარულ ვცხო-ტბას. რას ლაპარაკობ! როს გაზაფხულზე მერცხლის ჭიკჭიკი სხვენს მოაწყდება, მეც მაშინ მისებრ ვმადლდები ცაში და ჩემი ფიქრი ცის ლაჟვარდს წვდება. მოვა და ჭიკჭიკს არ უჩანს ბოლო, ეალერსება იმ სახლს და ფუძეს, სადაც ცხოვრობდა მთლიან ცხოვრებით და ბუდის კედლებს ატნევდა მშუბეს. მერცხალს მხიარულ სახლები უყვარს, სადაც ფრიად ხმის ისმის კისკისი, აუგს მერცხალზე ვერასდროს ვიტყვი, რადგან დიდია მგზავრად რისკ მისი. მე პოეტი ვარ, კი მართალია და ყოველ წვრილმანს აქვს ჩემთვის წვლილი და ეგ შეხვედრა ჩვენიც დღევანდელ დღეთს ნებით იყო, მწამს, გამოთვლილი. მე პოეტი ვარ, მაგრამ შენც გატყომ, რომ პოეტურად გაგირბის თვალი, დედას ვფიცავარ, სიმაღლე მიყვარს და ზოგს ვგონივარ სულ დვინით მთვრალი.“ წყაროს ნაპირებს ის ხელს უსვამდა, ზეცა ქართული ქუდად ეხურა, ლაპარაკობდა თავისთვის, მაგრამ ჩემს გასაგონად: „ჩემი ბელურა“. მის მკვიდრ სიტყვებში არ იდო ჯადო, მაგრამ ეს იყო დღის შეფერება, გეგონებოდათ, გალაკტიონი წყაროს კი არა, ბავშვს ეფერება. სურვილი მკლავდა, თან შიშიც მხვრებდა, ის დრო ამ დროით მაუკეთესებს და მაინც ვკითხუ: მითხარით, ძია, როგორ გდით მუზა? როგორ სწერთ ლექსებს? „როგორ ვწერ ლექსებს? როგორც შენ, შვილო! ლექსის მერმისი ყოველის წამია, ის თვითონ მოდის, მე არ ვეძახი, ის ჩემი დამის მოსასხამია. თვითონ მიბიძგებს ლექსი მის ძაღას, იგი სისხლშია, იგი სულშია და რამდენ-რამდენ უფრო მეტს დაეწერ, კვლავ უფრო მეტ-მეტ იმას სულ-შია. ვცდილობ და ვცდილობ რაც შემოძლია, დროს არ გადავყვე უმისამართოს, ლექსის მარცვალი არ დამეკარგოს, თუ არ მკითხველი რად მინდა მარტოს. იქნებ გსურს მკითხო ჩემი ამ ბედის კმაყოფილი ვარ თუ არა დღეს მე, კმაყოფილი ვარ... უკმაყოფილო თუ არა გინდა წყალსაც ვერ შესმევ. ისე მისებურ დვინოსაც მოაქვს რაღაც ხალისი გულწაღილ ხდომის, ჭეშ მარიტებაც მხოლოდ მასშია შრომის ნაყოფი შ რომაში რომ-ის. შენხელა ვიყავ ეჰ, შვილო ჩემო, რაც რომ ცხოვრების შევიცან გემო და რომ ჩემ ოდენ იქნები შენაც, შენც შეგიძლია თან დაიჩემო. და მახსოვს ერთხელ ნაშემოდგომებს გამომადვიბა ხმაურმა ღამით, დედამ გაიგო ჩემი დვიძილი და ჩემთან ახლოს მოჩოჩდა სკამით. ჭრაქი ანთო და კრთოდა ალი უკუნ ღამეში მზარდ მოციმციმე და ალს მისნაირ მურიან წვერზე ედო წყვდიადის მთელი სიმძიმე. მკითხა: „რა იყო, ჩემო გალუკა, რად დაგფრთხობია ძილი მძინარეს, წვიმამ რიონი წამოადიდა და ჩვენი ეზოს მოსდგა წინ არეს. მაგრამ ნუ შიშობ ამგვარ სიანჩხლე ბევრი მინახავს მე მისგან მყვედრი, ჩვენს სახლამდე კი იგი ვერ მოვა ჩვენ კი მასპინძლებ რაღაი მხვედრი.



კვლავ დაიძინე, განაგრძე ძილი, გულში ჩაიდევ ამბები ტკბილი და თუ სიზმარი თავს შეგახსენებს, შენც გაიღიმე, უჩვენე კბილი. ხვალ როცა დილით მოსინათლდება ცას დაეხსნება ღრუბელი მრცხვინი, შენაც რიონის აჰყევი ნაპირს და ოცნებებში შენც ჩარგე ცხვირი. ვიცი, ო, შეილო, განა არ ვიცი, შენ დღეს რისთვისაც გიფეთქავს გული, იმ მიზნებს დასდევ მოუსვენარი, რომელთაც ჰქვია ლექსთ სიყვარული. მე მართალია პოეტი არ ვარ, მაგრამ მისნაირ მეც მწვავს ოცნება, შენ კალმის წვერზე გიზის ბუღბუღი, მე კი ბაგითა ის მეკოცნება. ერთი ვაღია მხოლოდ ქართველისა, რამე თუ მეტი არვისგან წყენა, შენ მამის გენით მკლავს უნდა წრთობდე, მისნაირ დედის გიყვარდეს ენა. დედა-ენაო ჩვენ ვამბობთ ამას, მაგრამ მამის მზე კი არ მცირდება. დედას პირმშოსთან მეტ საერთო აქვს და ენაც მასთან ასოცირდება.“

„მეუბნებოდა მე ამას დედა, მაგრამ გულ მეტად მიმძიმდებოდა, მეუბნებოდა დედა იოლად, სინამდვილეში სხვაგვარ ხდებოდა. მკრთომარე ელვა ცივი და უნლო შიგ სახლის კედლებს თვალს იცეცებდა, დედას რამდენჯერ ჭრაქს ჩაუქრობდა, იმდენჯერ დედა ასანთს ეძებდა. ზღაპარს მოჰგაგდა ეგ წუთი ყოვლის, რომ ამნაირად აგრე ცვდებოდა და ელვა ზოგჯერ ძირს დაგდებული ცოცხლდებოდა და ისევ დგებოდა. გულ მოსდიოდა ამაზე დედას, მაგრამ ჩემს გამო არას მჩნეობდა, პირიქით, თვის გულს გულში მიდებდა და ჩემთან ერთად თვითონც მხნეობდა. ხანდახან ელვას მეხიც მოსდევდა რაღაც უცნაურ და სულთ მშრობელი და მაგრამ მაინც არ მეშინოდა, რადგან წინ მედგა დედა-მშობელი. ჩამძინებია, მეც აღარ მახსოვს, არც დედის ხმა და არც რიონისა, გამოვიღვიძე, გავხედე საქმეს, სარკმელ არც თუ აქ-რორიონისა. გადმოენგრია რიონს ჯვებირი და ჩვენს ეზოში ისროდა ტალღებს, დედა დამჯდარი სტიროდა მისთვის, თან ცრემლში სრესდა მის გულის ნაღებს. მივედი, მშფოთვარს მოვხვიე ხელი და ჩემი გულის სიმართლე ვუთხარ:

„დედი, ყველაფრის დანახვა არც ღირს და რა კარგია თუ ზოგზე ყრუთ ხარ. ეგ ბუნებაა, დვთის ნება გახლავს, ძალა მისია, ვინც ძალას მართავს და ჩვენც ბუნების ის ნაწილი ვართ, რომელზეც ეგ ღრო გვასტავს და გვართავს. უკვე დაწყნარდა, აი ხომ ხედავ, მეტის შემძლები აღარ არს დღესა, შენც დაიბრუნე გული საგულეს და გაატანე წყალს შენი კვნესა. ხომ კარგად იცი, ჩვენც წუთში ვცხოვრობთ, წუთია მხოლოდ ჩვენი ოფლისა და რაც ამ წუთში სიცოცხლეს ვხარჯავთ, ხვალ საუკუნით დგმაა სოფლისა. ხედავ, მდინარე თანდათან იკლებს და უბრუნდება კალაპატს ძიძვილ, შენც დაუბრუნდი შენს ფიქრებს ისევ და ხვალის იმედს მიეცი ბიძგი.“

„გმადლობ, გალუკა!“ – ეგ მითხრა დედამ, გულში ჩამიკრა, მომეალერსა, მეც დაგუკოცნე ხელები თბილი ჩემს სიობლეს და ჩემს ობლის კვერსა. წყალმა დაიკლო და მოულოდნელ ეზოს გუბურა ავარდა მხეფით, გავხედე, ზუთხი შევლას ითხოვდა ზურგ დაწინწკლული შავ-ფერის კეფით. მივვარდი უცებ, ძლივს, როგორც იქნა თავგანწირული მოვიგდე ხელში, გადავიყვანე და ზვირთ რიონში გადავისროლე აგრემც ვით თხელში.

„რა ჰქენი, შვილო!“ – მომვარდა დედა, საყვედურ მითხრა ამ ჩემის ქმნილის: „მებადურები დღე და ღამ რბიან ინჯრა თევზისთვის გასტეხონ ძილიც. შენ კი ადექ და დაჭერილ თევზი გადაისროლე მორევეში მცხავი ასე გულმართალ მე მგაენარ მაგრამ ამას ხომ შიმშილ მოჰყვება ავი.“

„არაფერია!“ – ვითხარი დედას, ერთი დღის საგზალ რაღა ჩემ ტვირთი, დაე, იცუროს ამ თევზმა წყალში, თავზე უხტოდეს რიონის ზვირთი. თავისუფლება ეგ არის ჩემიც, რაც თევზისათვის არჩეულ ფონი, ვიდრე ის თევზზე შემწვარი ფარფლით უმოძრაო და თან შეუწონი.“

„კი, მართალია, გულ ვახალისე, მაგრამ მე დედას ვაწყინე ამით, ბოდიშის მოხდით ვუჯერე გული, არც მეტ არც ნაკლებ ამ სითამამით. მას შემდეგ ბევრი გავიდა წელი, წელი სიცოცხლის და წელი რიდის დედა აღარ მყავს, კი მართალია, მაგრამ ცხოვრება თავის გზით მიდის. ო, დედა, დედა, ვახსენებ დედას, არ თუ პოეტურ ჩემნაირ ხედვით, დედაც ის იყო, მამაც ის იყო, ზურგსმოკიდებულ სამყაროს ხვედრით. წყალ დაუბრუნდა რა თვის კალაპოტს, თავ ნაპირ-ნაპირ აყვევი მე დარს და ვაფასებდი ჩემს გულში წყნარად მდინარეს, როგორც თავგამწე მხედარს. და ვაფასებდი ჩემს გულში წყნარად ამგვარ მდინარის თან ნამოქმედარს, მაგრამ არ განვლილ ცხოვრებას ჩემსას უფრო მოსასვლელს წინ გასახედარს. მდინარის ამგვარ სიურჩეს, ღმერთო, სულ არ ვაგდებდი არც ოდენ ჩხირად, რადგან ლექსების მოვარდნას ზოგჯერ მეც გაუგებდივარ სივრციდან ხშირად. დამვიწყებია სმა-ჭამა ხშირად, დამვიწყებია ბევრჯერ ძილიცა, მაგრამ რას იზამ, ალბათ, ხვედრია თუ რამ ქვეყნისთვის ჩემი წველილიცა. ლექსმაც ამნაირ იცის მოვარდნა, ლექსსაც ამნაირ მოსდევს მიზანი, სანამ თავისას არ გიზამს იგი, არ მოგშორდება, ვითარც ხიზანი. ლექსმაც ამნაირ იცის წარსულის გახსენება და შფოთვა ფარული, ასევე ანგრევს ზოგჯერ ის ნაპირს, რომელსაც მოაქვს ზღვა სიყვარული. მაგრამ განახა, რის მღვრიე ლექსი დაიწმინდება სახით და ფერით, მაშინ იგია სიმღერა კაცის, როგორც ზამთარი გამთბარი კერით. და მოდი, ამ დროს ფეხზე არ ადგე, თუნდაც დღე იყოს, თუნდ დრო ღამისა, ღვინით სასმისი რომ არ შეავსო და სადღეგრძელო არ თქვა ამისა. განა მარტო ვსვამ, ო, არა, ღმერთო, ასეთ დროს მართლა სულ ცოტა მყოფნის. ლექსთ დაბადებას ავღნიშნავ ამით, ესე ნაყოფი ხომ არის ოფლის. ღვინის სიყვარულს თუ თავს ვუყადრი, ეს კი არ ნიშნავს ლოტი ვარ შვილო, მასში მე ვხედავ იმ გამარჯვებას, რომლის სიამით დრო თვითონ შლილობს. ლექსის მკითხველი თუ არ ხალხია, მაშინ რაღა ლექს და რაღა ღვინო. პოეტისათვის ხალხი წყაროა და ვინ ვის გამო არ სალანძღვინო, მეონი, ბევრია, შვილო, რაღა ეს, თავ შეგაწყინე მეონია კიდევ, მაგრამ პოეტმა სათქმელ თუ არ თქვა, მაშ რაღა არის მისი სირიდევ. ზევით ვითხარი, დედა ცრემლს ღვრიდა და დამავიწყდა მე ის რომ მეთქვა, დედის ცრემლები იყო საუნჯე, რაც თქვა კი, მაგრამ მაინც რაც ვერ თქვა.“

„ხომ ხედავ, შვილო, რიონი გვიტევის თავგამეტებით და არ რიდიან, ვიცვალეთ ადგილ, მოვებნეთ ის გზა, სადაც სოფლები მშვიდად მიდიან.“

რიონი თავის ნირს არ შეიცვლის, რამე თუ მისი ნამყოფ რაც დარი,  
 ესე სოფელი, რაზეც დღეს არის მისი კვალია, მისი ნამცდარი.  
 და ჰა, ის თავის კალაპოტს ეძებს და ჰკიცხავს, ალბათ, ჩვენს ამ ქმედებას:  
 „მიისაკუთრეთ ის ჩემი რაცა რაღა ეგ გული თქვენს დაბადებას.“  
 „დედის სათქმელი უთქმელი სიტყვა საზრიან იყო და შესარიგი,  
 მაგრამ თანხმობას მე ვერ ვაძლევდი, დედასთან ერთად მიყვარდა იგი.  
 ერთხელ ადგილი ხომ მოგვიცვლია, ადგილ სამყოფად გვქონია ხონი,  
 ახლა კვლავ კიდევ რომ ავიყაროთ, კვლავ მესამეჯერ ვიქნებით მთხოვნი.  
 არა და არა, არა და არა, ვიმეორებდი ჩემს გულში წყნარად,  
 ჩემს სიჯიუტეს ამნაირ ნათქვამს მზიანი დილა დასდევდა დარად.  
 „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული“ ...  
 უამბამულოდ, უამსამშობლოდ რაღას მოიტანს ცა-მეწამული.  
 ადამიანი იქ, სადაც ჩნდება, სადაც ფეხს იდგამს და იწყებს ტიტინს,  
 ეს ყველაფერი მის გენში დადის და თაობებში ის აღძრავს ჭვრიტინს.  
 ადამიანი სადაც ფეხს იდგამს, თან პირველ სიტყვას წარმოთქვამს – დედას  
 დედა-სამშობლოც აქედან მოგვდგამს, დედა-მიწასაც ეს გონი ხედავს.  
 მე არ შემეძლო ამ სოფლის გარეთ დამეთმო წუთით ალავ რიონი,  
 რადგან მის ნაპირს სოფელთან ერთად შეზრდილი ვყავდი გალაკტიონი.  
 ეს – ბავშვობაში, მაგრამ ახლა კი მოვშორებივარ წლობით, თვეობით  
 და მასულდემულებს ის მონატრება, გულში რომ მიზის თავის მეობით.  
 რა ვქნა, ეჰ, შეილო, ბედი აგრე მხვდა, ბედი პოეტის ბედი-ზღვაური,  
 ბედი პოეტის მძიმე ხვედრია, ხალხის გულში ხარ შენ მოგზაური.  
 დღე და ღამ სულში ფათურობს ლექსი, ხან დამალული, ხან კიდევ მრთავი,  
 სამშობლო მისთვის ხატია ერთობ, შემდგომ სიყვარულს რომ დასდო თავი.  
 უსამშობლობა ძნელია ყოვლის, რამე თუ ხიბლი ცხოვრების წესის  
 რაღა პოეტი, თუ წიგნს ვეღარ სცემ და ის ეს არის რაც კიდევ ეს-ის.  
 და ის ეს არის, რაიმე ხოტბა, რომლის დიად გზას ვერა-რა შესვრის,  
 რაღა გვირგვინი დღეს მარტოდ მარტო, თუ მასა მასთან ვარდებს არ გესვრის.  
 პოეტის გული ხალხის გულია, ხალხის გული კი ისევ პოეტის  
 და მის ნებაში გაშლილი სივრცე გულიდან გულით მკერდს რომ მოერთვის.  
 პოეტის ლექსი ზურგის ქარია, მე მის წიაღში მხოლოდ დღეს ჩავდებ,  
 ასამგზავრებლად რამ თუ ღვთის ნება, სიცოცხლისათვის ჟამიერ თავდებ.  
 პოეტის ვალი ლექსად ის არის, რომ მერმის განცდას მისნაირ ვერთოდ  
 და დავეხმაროთ ხალხს მის აღქმაში, რაც მათ სიყვარულს წარმართავს ერთობ.  
 ხალხს შევაყვაროთ სამშობლო ჩვენი, რაც უყვართ კიდევ და რაც ჩვენ გვიფქვავს,  
 ლექსის ღირსებაც ეგ არის ქვეყნად და ჩვენც პოეტებს ეგ ლელო მიგვაქვს.  
 ლექსიც სიმღერის გუდა-სტვირია და მუსიკალურ ბგერად ქცეული  
 ამიტომ არის პოეტის მადლში მუდამ მზის სხივი გამოხვეული.  
 პოეტს არ ძალუძს ხალხთან ურჩობა პოეტის ნება დროა თვინიერ  
 მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს: ვინ იბარდებ და ქვეყნად ვინ-იე.“  
 „ზევით, მეოსანო, ჩვენ ცოტ-ცოტა ლექსს მოვაყოლეთ თხრობა არც უხვი,  
 მაგრამ რადგან კი გავშინაურდით, გთხოვთ, დაწვრილებით გამცეთ პასუხი.

თქვენზე ამბობენ, რომ გალაკტიონ ბახუსნი გულ-სულს თან გაიმეებენ, ნათქვამს ვენდოთ, თუ ჭორის დონეზე დავტოვოთ ეგ თქმად, ცილსა გწამებენ. იქნებ ვერცა ვთქვი შეკითხვა კარგად, მაგრამ რაოდენ აქ ჩემი კითხვა, გულში მაქვს აგრე კარგა ხანია, რა ვქნა პასუხი ბევრმა სხვამ თითხნა. დღეს კი თქვენს თავზე მეტ მოპასუხეს ვისდა შევბედო ესოდენ სიტყვა. გაბედვისათვის ნულა გამკიცხავთ, ან თუ უხერხულ მე ჩემს თავს ვბრწყავ, დღემდე ამნაირ ეს გულში მქონდა, ვეღარ დავმალე, თუ მინდორს მგორვემ და გთხოვთ, სიმართლეს ნურც თქვენ დამალავთ რეალურად ვთქვით სათქმელი ორგემ. თქვენი ტიტული: მეფე-პოეტი შესატყვისობას თან რთავს, თან ძახავს და როგორც მკითხველს მე დღეს ლექსების მარადიული სიმბოლო მახლავს. ერთი შეხედვით, ეს ასე იყო და თვითონ რომ ვთქვით, არაფერია. იქნებ ეგ ღვინო კეთილშობილი მუხების ღმერთთან შენაფერია. და მოტრიალე ესე ფიქრები რამ თუ ლექსები სიმაღლით ალვა, ჩემსავით სხვებსაც ხომ ავსებს დღესაც, ამის არ შესწევს არავის მალვა. აი, ეგ არის ჩემი შეკითხვა, რამე თუ იგი ჰგავს კითხვას მკვახეს, სამაგიეროდ სისხლი მოაწვა თქვენი, მგოსანო, მნათობარ სახეს.“

„სწორს ამბობ, შვილო და სწორის მობოელს ვით შემიძლია გითხრა ტყუილი, ბედნიერების სიმბოლო ჩემში მხოლოდ ლექსია ფუტკრის ბზუილი. ღვინო არ მიყვარს ესე რომ გითხრა, თქმა გამომივა, ალბათ, ორბედი და მით უმეტეს ჩემგან ეგ თქმული ჭეშმარიტების მზომ და მორბედი.. კი მიყვარს, აბა როგორ არ მიყვარს, ჩემი გონება სულ მისკენ იღწვის და ვსვამ იმისთვის, რომ ვაზს მიწიდან ამოაქვს ის, რაც წარსულით იწვის. ჩვენ ხომ წარსულის მომავლით ვცხოვრობთ და მომავალიც წარსულით გვძახნის, სამშობლოს სიტკბო რომ აღარ ეგრე მეც ლექსთან მკვდარი ვიქნები რა ხნის. ეჰ, შვილო ჩემო, პოეტის ხვედრი არ არს იოლი, არ ვით ამ-ამე, პოეტს სჭირდება თავისუფლება და უფრო კიდევ მას სითამამე. და ამგვარ ჩემს უთამამობას ავსებს ეგ ღვინო ხარვეზ ნამც-ემი, ნაკლს ვერ დავარქმევ სინაკლულეში, რადგან ძალაა სხვა თავ გამცემი. ხშირად ეგ ღვინო გონებას მიხსნის, მაშინ როდესაც ხან ვარ ფიტული და შენ გგონია მეფე-პოეტსა თან დამაქვს ვითომ ღოთის ტიტული. არა და არა, ეგ არ იფიქრო, რომ მსმელი ვიყო ყოველდღიური. კი, მართალია, ვაზის მადლს ვწრუპავ, მაგრამ ღვთის ენაც შიგ მაქვს ციური. რა ვქნა, ბუნებამ ეგ ზნე მარგუნა და დამანათლა ლექსთან ჭიდილი, ტვირთს დავატარებ ამხელას, მაგრამ მაინც სიცოცხლეს არ სჯობს სიკვდილი. სიცოცხლის სხივი მაინც ღვთის არი, სიცოცხლის ნება მაინც გულს ავსებს, ჩვენს გაჩენაში დგას ღმერთი მისთვის, რომ ღოცვით შევხვდეთ ყველა დღეს სავსეს. და რადგან ვცოცხლობთ, რადგან ვარსებობთ, სიყვარულიცა გემართებს ჩვენ წილი და უნდა ვმართოთ კეთილდღეობა უფლით ნებისა უფრო მეტ წილი. კმაყოფილი ხარ, შვილო, პასუხის თუ ისე კითხვა კითხვადვე დარჩა, თუ ოდენ ჩემი თქმული სიმართლე შენს გულს მოეცხო და შიგნით დარჩა.“

„კმაყოფილი ვარ, დიახ, მგოსანო, ჩემს კითხვას პასუხ მთლიანად ავსებს არ მაქვს უფლება მე როგორც უმცროს, მეტი შეკითხვა დავისვით მსგავსებ.



ასე ჩემ ასაკ ძლივს აღწევს ამდენს ზღვარსა ბავშვობის-სიყმაწვილისა, მაგრამ სიმართლეს ვერ გავუქცევით, სხვა ეგ რა ნახოს ბრიყვმა წილისა. გამიგონია, თუ წამიკითხავს, კარგად არც მახსოვს, თან ეს სიეღვე, რომ ქალს და ღვინოს დუღუკთან ერთად მოაქვს ლექსების სიხვაგრიელე. შემიმჩნევია ბევრ პოეტ თქმაში ხოტბად ტრიალებს ეშხი ქალისა, თქვენს გულში ეგ გზა როგორღა მოსჩანს, თუ არის იგი მოხდა ვალისა? ზოგს ზედმეტ მოსდის, უყიჟინებენ, არ ჰპატიობენ მეტ-მეტ სიჭარბეს არა და როგორც ამბობენ, ამას ქალები პოეტთ გულებსაც არბევს. ნუთუ ამ თქმაში თქვენი შეხედვით არის რაიმე საღ ჭეშმარიტი, თუ ეგ უბრალო ქარს ჰყვება სიტყვა და ქალის მკერდში ამოღ ჭვრიტი. უფრო თამამად მინდა რომ გითხრათ, თავმა არ მკადროს გაუსუსურდა, თქვენს გულს თუ აღგზნებს ლამაზი ქალი: ნაკეთი ამნაირ მეც ასე მსურდა. ლექსი და ქალი ყველა დროების პოეტთა ხედვის ყოფილა ზაფრა, უფრო სწორად კი ნავის კიჩოზე ზე აღმართული თუნდაც თან აფრა. მოკლედ რომ გითხრათ, ქალს რომელიმეს თუ აღუპვრია თქვენში სურვილი, იმ შთაგონებით, რაც ლექსში მოდის, თუნდაც უნებურ კოცნის სურვილი. მე არ ვგულისხმობ, რაღა თქმა უნდა, უკვდავ ქმნილებას თქვენს დიად „მერის“. ის თავისთავად შედეგრი გახლავთ და მის განმდიდედ თვით ხალხი მღერის. მე უფრო მინდა მსჯელობის ფორმა ამ ჩემს საუბარს მივცე პათოსის და ლირიკაში მოხვედრილ სიტყვას ჩემიც რომ გაჰყვეს აზრი მნათოსის. ალბათ, მიმიხვდით რისი თქმაც მინდა და ვეღარ ვამბობ ასაკ მეტობით და ვერც დამძრახავთ, მეფე-პოეტო, თქვენც თუ ამნაირ ხედვით მეტყოდით. ისე რა უფრო ზერელე კითხვას ზერელეთევე მოჰყვეს პასუხი, მაგრამ არ მცირე თავის გაგებით, თან რაც იქნება შიგნით ას უხვი. გალაკტიონი ამ ჩემს შეკითხვას სულ არ ელოდა ამნაირ მკარეს, მე კი მისმენდა, მაგრამ თავისთავს წინ მაინც მისას უშლიდა არეს. არ ვიცი, ჩემი შეკითხვის არსი გახდა თუ არა მისთვის თვალთ მხედი, რადგან ვატყობდი ზოგიერთ ჩემს თქმულს, რომ ჩემისნაირ არ ჰქონდა ხელი. არ მისმენდათო, რომ გითხრათ ასე, მე არ ვიქნები ამაში სწორი, რადგან ვხედავდი ჩემს წინ პოეტი იდგა, ვით ვერხვი თუმც უფრო წნორი. გალაკტიონი ფიქრებმა შთანთქა, ჩაიძირა და ჩაყურყუმალდა. გულში-გულ ედო, სულში-სულ ედო, თან მისვე ხელით თვის წვერსაც მალდა. ამოიხენეშა და გვიან მიხვდა, მე რომ მე-ვიყავ, ის კიდევ-ისა. მერე წამოდგა ესე შეცნობილ თვალნი აანთო ზღაპრულ რხევისა... ცისკენ აღმართა მან ორივე ხელი, მუხლებ დაჩოქილს ცრემლი ერია. თქვა: „შენ დიდება, მამაო ღმერთო, ძესთან შეცნობილს მეც მიმღერია. დიდება შენსა მაგ კურთხეულ გზას, გაგინათია დღით სწავლულ რაცა და აქართველებ დღესაც რომ ქართველს მომდინარეობს დღეს მისი დგმაცა.“ დაუშვა ხელი მან აპყრობილი თავის ადგილზე ჩამოჯდა მისებრ. მერე ჩემს კითხვებს მიხედ-მოხედა, უბრალოდ, მაგრამ და მაინც მზისებრ. „შვილო, ეგ კითხვა რად გეჩოთირა, შენ ჭაბუკი ხარ ასაკოვანი და არცა მიკვირს, რომ აამაღლე ამნაირ თამამ თვითონ ხმოვანი.



ქალი და ლექსი ერთ კონტექსტში დევს, არ შეიძლება იყოს ფარული, სიყვარულია ამის ფორმულა და ზოგჯერ იგი ლეგენდარული.

ქალი მშვენიერ არს მადის მომგვრელ, რომ მეტ გიყვარდეს ჯერ შენი თავი და მერე ისა, ვინც გემშვენება ლექსის მარცვალში ამონართავი.

ქალი და ღვინო ერთი ჭიქისა მიმოქცეული დროის თანმხვედრი და ეს მადლიცა ნურც მოგვკლებოდეს, მე დღით და ღამით ვარ ამის მვედრი.

მეტნაირ კაცი ცხოვრებას ვერ იქმ, არ შეიძლება ხელი ჰკრა ლოდინს და მით უმეტეს ქალი, რომელიც თავის დროით ხვალ დედად მოდის.

ქალი სუფრისა ტრუბადურია, ქალის გარეშე ლხინს რა ფასი აქვს, და ყველა კაცი, ალბათ, მკვდარია, ვისაც ეს ასე გულთან არ მიაქვს.

ჭირიც ქალისა ცხრაკლიტულია, მის დაღვრილ ცრემლში გულის გულია და როგორც იწვის, ისე ანათებს, ცხრა უღელს გასწევს—ხალხის თქმულია. ბევრ მიფიქრია, არ დაგიმაღავე და რადგან აგრე დამადე ფორა.

მრავალჯერ მითქვამს: ეგ ქალი, ღმერთო, ამ ჩემს გულმკერდზე გადმოაგორა. ეს მიტომ, შვილო, სიკარგე ყოვლის და მით უმეტეს მშვენიერ ქალის. არის ცხოვრების ღვთიური მადლი, თანაც წყალის სმა საკუთარ თვალის. შენც არ მგონია, არ დაგეხატოს ისარ გაყრილი გულების ცვენა, იქნებ-ქაღალდზე, იქნებ-ჭადარზე, იქნებ მკერდზეც გაქვს ადგმული ენა. სისხლხორცეული დროის მოტივი არის კვლავ მრწამსის ნიადაგ ფრქვევა. ამაში ცუდი არაფერია... აქ ჩვენი ყოფნაც არს თავის მტვრევა.

ასეა, შვილო, კაცის გაჩენა, ქალის გაჩენაც ასე სდის ყოვლის და ამას თუ ვერ აცნობიერებ, მაშინ მკერდში აქვს კაცს გული თოვლის. ლამაზი ქალის ხვედრი ეგ არის, უნდა აქო და უნდა ერიდო და ტვირთს იმხელას ნუ მოიკიდებ, დაიჩოქო და იგი ვერ ზიდო.“

„წიგნს ავტოგრაფით თუ სჩუქნით ვინმეს, ამაში თუ დევს იდეა რამის, თუ უბრალოა ეგ ყველაფერი და თამაშია დღისა და ღამის?“

„კი, როგორ არა, მაგრამ ნაკლებად მოეძალება თუ სურვილ ვინმეს. წიგნი ხომ თვითონ ავტოგრაფია და წეროსავით ისიც ფრთებს იქნევს.“

„ბავშვებისათვის ცოტა გაქვთ ლექსი, ეგ ვიტყვი, არა საკმარისია რამეთუ ვალი უფრო საზღაურ დანარჩენთათვის ეს-ვარდ, ის-ია?“

„მართალ ხარ, შვილო, აქა-იქ ცოტა ბავშვებისათვის ცოტა მაქვს ლექსი, რამე თუ თითზე ჩამოსათვლელი არ თუ ძლიერი ეგ მისთვის ფესვი. ყოველი სიტყვა მაქვს აწონილი, გარანდული და პირუკუ მთესი, გეტყვი, ორ კურდღელს მე ვერ დავიჭერ და ავირჩიე, რაც უკეთესი. კი, როგორ არა, ჩემს ცუგრუმელებს შემოვლელია პოეტის ჯავრნი, დაიზრდებიან და როცა მერე ხომ გახდებიან თან ჩემი მგზავრნი. მე იგი უფრო ადრე გამომდის, სხვას მივეძალო, დაგკარგავ რაც მაქვს და რომ ყოველი ეს არ დაგკარგო ფანქარი ჯიბით ქაღალდთან დამაქვს. ყოფილა ზოგჯერ გზაში შეცრად წამომფრენია მწყერივით რითმა, მწყერის რა გითხრა: მაგრამ რითმა კი უნდა მოხაზოს უმაღვე თითმა. თორემ ეგ შანსი თუკი გაგიძვრა, თან გაიყოლებს რითმასთან გულსაც, არ გამოგივა კაცს მაშინ ლექსი და გადაყლაპავს გონება თქმულსაც.“

ხელ მიტანება სჭირდება გონსა, თორემ ჩაივლის წყარო ანკარა, დაგავიწყდება, რაც გულში გქონდა, ვეღარ იპოვნი მას მერე-თვარა. შვილო, შენს კითხვებს დიდი გზა უჩანს, მას დრო სჭირდება, ყმაწვილ ხარ რამდი, მეც შენს ასაკში ამგვარი ვიყავ და სასწაულ კოშკს მეც შენებრ ვდგამდი. ლამაზი ქალის ხედვა ჩემ თვალთ არის მერმისის ღვთაებრივ ძალა და უმისობა რაღას რგებს კაცსა, მადლი უმადლოთ თუ დაიცალა. დიას, მადლშია მხოლოდ სიცხოვლე და ეშხი ქალის მეტამერფოზა, ვიდრე ეს ლექსში ნახული სახე პოეზიაში არ როგორც პროზა. ყველაფერ ერთად რომც მონინდომო, ვერც მოერევა კაცის გონება, თავ-თავის ადგილ აქვს თან ყველაფერს, ვის რისიც მოაქვს თანვე ქონება. უერთმანეთოდ არც ერთი, ვარგა არც მეორე, არცა მესამე, რამე თუ კიდევ თამბაქოს კვამლში გამოხვეული ჩუმი კენესამე. ლამაზი ქალის ეშხი სულ შფოთავს და ის კი არ დგას, ვითარცა კასრი, რადგან ის ლექსის ადქმის საწყმოა, თან მუდამ მჭრელი თან მუდამ ბასრი. ლამაზი ქალის შეხვედრა მატკობს, მეც ამავე გზით ვარ ჩამომავალი, მიყვარს იმიტომ, რომ ის დედაა, როგორც მზე ცაზე ამომავალი. დედა სჭირდება, მამა სჭირდება და მათგან პირმშო კიდევ ჩვენ იერს და ეს ამგვარად თუ აღარ იქნა, რა თავში ვიხლი ლამაზ-მშვენიერს. სიამაყეა მსოფლიოს თვალში ჩვენი მეობის ზნეობრივ სახე. ჩვენ ჩვენი ქვეყნის ვართ მეციხოვნე, რა ვუყოთ ჯერ თუ მთლად თვალს ვერ ვახელოთ. დრო იქნება და ეგ ჩვეები ბარიც გაიზრდება და დაისხამს ნაყოფს და თავის თავით გაძლიერებულ შიშს მოაღანდებს ჩვენს ასე გამყოფს. მაშინ მეტ კარგი იქნება ლექსი და ლექსთან კიდევ პოეტის ყოფნა – რაღა იქნება ეგ ჩიტის წყარო, დღემ სილაჟვარდე თუ არ მოფოფნა. ქალი ქალია, მის სილამაზეს ქარიც ფრიალა მანდილს უფასებს. ქალი – იცოდე, თავის ღირსებით საკაცობრიო იმედს სულ ავსებს. დუდუკის ხმაშიც ქალის ხვედრია თითქოს წყენა და დარდ სისადავე, ამიტომ, შვილო, ჩვენც მისთვის ვცოცხლობთ, ვაჟკაცი ხარ და ის ის ადავე. ლამაზი ქალი კი, მართალია, სევდის ბაღიცა პილპილმოყრილი, მაგრამ მე იგი ცხოვრების წინსვლას მიბიძგებს, როგორც კვირტი დრო ყრილი. მე ჩემის გულის თვინიერ ყოფნა თავისებური ღვთის ნებით მეტრო, ასე რომ არა, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება ამნაირ, ღმერთო! ხეც ხომ არსებობს ქვეყნად ლამაზი, მთაც ხომ არსებობს ქვეყნად ლამაზი, ნუთუ ლამაზი არ არის ზეცა, ღვთაებრივ რომ ფრენს მასში გაგაზი. ენა – არ არის ჩვენი ლამაზი, ქართულ ანბანი სიტყვა – დიადი, ჩვენს დედა-ენას ეჰ, შვილო ჩემო, დაულეწია რამდენ წყვილიადი. ვინ მოთვლის ჩვენი ენის სირთულეს, გამოუგლია ხანა წლის რამდენ, ეს ყველაფერი გულში მიწყენია და გულიდანვე ლექსებად ვადენ. რამდენ ნაცნობის, რამდენ უცნობის მოქცეულია მიწაში სახე, ალბათ, დათვლითაც ვერვინ დაითვლის გელათ-იყალთო რამდენჯერ ვნახე. ისე რამდენი მიწის გარეშეც რჩენილა ველზე ბედის ანაბარ, მაგრამ სიკვდილი სიკვდილი არის სამშობლოსათვის მაინც თანაბარ.

ხალხს თავის რწმენა ძალს უნდა ჰმატდეს, ვით წყლის ხმაური ალაგ რიონი, თუ კი რუსთაველს ჩრდილი მიადგა, რაღა იქნება გალაკტიონი? იმის ფიქრში ვარ მე საცოდავი ჩემმა ლექსებმაც შეიძლოს ფრენა, გადაიაროს ოკეანენი და მიუტანოს ხალხს ჩემი ენა.

მაგრამ სად არის ეგ სინარული, ეგ აღმაფრენა პოეტის ხვალის, იღუმალება ღუმს, ყურებს იხშობს და გამხილავი არც არის თვალის.“

„ერთი შეკითხვა კვლავ მგოსან-მეფევე, დღეს ჩემი ფსონი დევს აქ-იოლში, რომ არ მოგმართავთ სახელთან ძიას, ნუ მიწყენთ, მეტს ვხედ გალაკტიონში. აჩემებული სიტყვების ჯერი არც თუ ბევრია თქვენს იმ ლექსებში, რომელსაც იცნობს უკვე მკითხველი და გამჯდარი აქვს ხესაც ფესვებში. მე მინდა გკითხოთ, რაოდენ გჯერათ, სასწაულებრივ სიზმრების ხდომის და თუ გქონიათ შემთხვევა ოდეს, ლექს მოგდგომიათ უფრო მეტ ნდომის. ამდგარხართ კაცი, ვით მთვარეული და მიჯდომიხართ საწერ მაგიდას სიტყვები უსწრებს წერის მანერას, თუ მარჯვედ არ ხარ, ალბათ, გაგიტანს. საწერ ქაღალდზე სცვივა სიტყვები, ჯერ შეუწვავი, თან, ალბათ, უმი, ხან არ გეშვება სვეტიცხოველი, ხან ნიკორწმინდა და ხან ბათუმი. მოსწრებაზე იქნებ ყოველი, რაღა დროს ხედვა სხვა უფრო ნანსი და მაშ პოეტიც რის პოეტია, თუ კი ხელიდან გაუშვა შანსი. თუ შეიძლება ზოგჯერ პოეტმა არად ჩააგდოს განწყობის ფასი, ზურგი აქციოს ასეთ დროს მუზას და ქარს ატნიოს ეგ დრო ძვირფასი?“

გალაკტიონი ჩემს მორიგ კითხვას დიდ გულისყურით უსმენდა მკაცრი, უსმენდა, როგორც ღვთაებრივ მწყემსი, მაგრამ უბრალო ამავე დროს კაცი. მერე წამოდგა უეცრივ იგი, ბრაზ მოერია თავისვე თქმებით, მუზების ღმერთმა აღმართა ხელი და ფეხთან ერთად ზე დადგა თმებით. როგორც შევატყვე მის ფორიაქ სულს საზრდოს ვართმევედი მე მუჭა-მუჭა, იყვირა: „ღმერთო, შენს დღეს დიდება და მკერდზე თვის გულს მოებდაუჭა. შევცბუნდი, შეგვართი და ავცახცახდი მის ბეჭთან კიდევ ჩემი ბეჭი-რა, რადგან ვხედავდი, რომ მეფე-პოეტს ხელში თავისი გული ეჭირა.

„პოეტი, შვილო, რის პოეტია“ – შევატყვე მასთან მე ვიყავ ციდა და მეც, ვით მკითხველს კვლავ მაცნო თავი, ან შეიძლება მეც, ვით ბავშვს მცდიდა.

„ვით შეიძლება, შვილო, პოეტმა ზურგი აქციოს ლექსს ამნაირ დროს, ეგ დალატია საკუთარ თავის, თუ აღარ ეგ დრო, მაშ ვინ ამკვიდროს. უძილო დამეც მახსოვს ლექსების და ძილშიც მისთვის გამოღვიძება, ძილ-ღვიძილშიაც მიჩხაპნავს ლექსი, სიზმარშიც მახსოვს მისი ბიძგება. მაგრამ სიზმარი რომ ამხდენოდეს, ეს აღარ მახსოვს, არც მენსომება, რადგან ის არის დროის ბაცილა და ყოველნაირ სულს ეომება.

წარმოიდგინე, სანთლის გარეშეც უკუნ ღამეშიც გწერდი აბღ-უბდას, ეს იმისათვის რამ ხალხს რითმა არ გაჰყოლოდა დუბლ-მმას და დუბლ-დას. და მოდი ახლა ჩვენს შორის დარჩეს, ვთქვათ, რაც სიმართლე მსჯელობის გვახლავს რა ქნას მებადემ, ან მევენახემ, თუ გასასხლავი დროზე არ გასხლა.

რაღა თქმა უნდა, სუყველა ლექსი არ შეიძლება იყოს შედეგრი, სწორედ პოეტის სახეც ეგ არის, ცოტა ღამე და უფრო დღე ბევრი.

სახეში კიდევ სხვა სახე მოჩანს, როგორც რითმაში რითმისვე ჟღერა, ენა – იმისთვის გვარგუნა ღმერთმა, რომ ჩვენი თავის თვითონვე გეჯერა. პოეტს მუდამ დღე ერთი აქვს ფიცის, თავისი თქმული რომ ხალხში ჩაღოს, მე ამას ვარქმევ იმ დიდ სასწაულს, მაგრამ არასდროს არ ვარქმევ ჯადოს. რისხვა პოეტის? არა და არა, ლექსსაც ქალივით უნდა ფერება, თუ გაგებუტა, მორჩა, გათავდა, შერიგებამდის უკვე გერევა. ჯერ მარტო ნინოს ამბავ რაღა ღირს, რამე თუ ვაზი ღვთიურ დრო-რწმენის, ჩვენს გულებს აგრე მადლი რომ მოსცხო, ყველა ჩვენნაირ ჩვენებრ მოწმენის. ვაზის ანასხლავს ჯვრის სახე მისცა და ჯვარედინი გაჰკონა თმებით, ხედავ? ამაში რამდენ სულ ბრწყინავს, ქალი წმინდანი გადმოსულ მთებით. იკითხავს ვინმე, რამ მოიყვანა, რამ აიძულა ქალი ამ დღეში, თან მით უმეტეს, ღამეც სავლელი ყოვლის შემდგომის წლებთა დამდეგში. რწმენამ და რწმენამ მეტ არაფერმა, შვილო, მის ნებას დასდო გზა ჩვენი, რომ საქართველო ღვთის კურთხეულ არს და ოდით გემოდღვრავს მისთვის გამჩენი. მაშ თუ არ რწმენა და გულში გული სხვა რაღა ხატი ჩვენი ამ დღისა გზა-ქრისტესმიერ მართლმადიდებლურ მოგვაქვს ქართველებს, მაგრამ არ გვდღისა. სარწმუნოებას ზურგი ვაქციოთ, არ შეიძლება სხვად შეგხედეთ ქვიშნარს. რადგან ეგ, შვილო, უნდა იცოდე, რომ სასწაულებ ღვთის რისხვას ნიშნავს. ჩვენს გენს ამზევებს მოყვასის მადლი სტუმარ-მასპინძელ ნახვის ნატვრითა და როდი ნიშნავს ცოტას და მცირეს, მიღწეულია, რაც დღე მხატვრითა. დავითის სახე ქვაში დაღადებს, რამე თუ საფლავ მისი კურთხეულ, დაჰკვირვებინარ? მის გამჭრიახ გონს რა სიბრძნით ავსებს ჩვენს გულებს რხეულ. თამარიც ასე თავ კდემამოსილ იმედიანის გვიცქერის სახით: და თითქოს დღესაც გვეძახის, თითქოს თქვენებრ დიად ვარ თქვენზე ნახვით. ღირსი ღირსითა დედოფალ ესე, მოუვლენია ღმერთს მაშინ ჩვენთვის, ქალ მეფის სახელს დაჰქონდა რწმენა, რომ მამაკაცის თანასწორად ენთვის. ბევრ მიღწევებთან გვაქვს გულსაწყვეტიც, ნაკლით მალულის ნიადაგ შფოთვა, წარმოსახვით გვაქვს რუსთველის სახე, რაღა თქმა უნდა, სახელიც შოთა. შოთა შოთაა, რვაას წინანდელს სხვა რაღა ვუთხრა, კარგი მწყრალად-ეს, მაგრამ არც ტატოს სურათი არ გვაქვს, მაშინ როდესაც ის გუშინს ჰბადებს. ეჰ, შვილო, ბედი მხოლოდ ბედი, ჩვენი ცხოვრების მავალ და მწნეხი, ხანდახან ისე, შენც შენიშნავდი, მოწმენდილ ცაზეც ვარდება მეხი. ჩვენ სუყველანი ბუნების ქმნილ ვართ, ბუნებაშივე ვეშვებით ისევე, როგორც ეს იყო სინამდვილეში და დღესაც იგი თუნდაც მითისებრ. მიზეზი ჩვენი ვართ ძალთა ფართობის, რადგან მიზეზშიც მიზანი სჭვივის, ვაცნობიერებთ ზოგჯერ მას, რასაც პირველკლასელიც არასდროს იტყვის. მოკლედ რომ გითხრათ, თეორიებით თავებს ვიტეხავთ და ტვინს ვასრესავთ, იმას, რაც მხოლოდ ღიადვე გვიჩანს და დამალულად ვხედავთ ას რისად. ფილოსოფიას შევტოპეთ, შვილო, გადაგვაფიწყდა მგონი ლექსიცა, მაგრამ ხომ იცი, ლექსშიც ტრიალებს ეგ ჯადოსნური ხე, ხის ფესვიცა. უპოეზიოდ ქვეყანას ესე არა მგონია მოჰყვეს რამ ლხენა, ის, როგორც ქალი არის მშვენება და მის წიადსვლას წარმოთქვამს ენა.



წარმოთქვამს ენა, ენა ქართული, ენა მრავალჯერ ნაირ ჯვარცმული, ენაში არის გული ქვეყნისა და გულში კიდევ ენა ქართული. მგოსანთა ხვედრში ენის სიურჩე დაუნდობია, თანაც ის თან-ან ცარიელდება ზოგჯერ გონება და შესვენებას ითხოვს მისთანან. გონება ამ დროს ხელს არ ჰმორჩილებს და ხელიც კიდევ თავის მხრივ გონსა, გამოსავალი ამ დროს ერთია, შრომა ფიზიკურ ამ ნაკლსა სწონსა. „და უცებ ხდება, არ ხართ პოეტი და უცებ ხდება თქვენა ხართ გლეხი, დაეშვით ციდან უკვე სრულიად, თან ცვრიან ბალახს დაგიდგამთ ფეხი. ვთქვათ, ვენახში ხართ, ვაზს სხლავთ ან მორჩინით და ან ცის გახსნით გვესებათ გული, ბწკრისებრ გაშოტილს ჰკიდიხართ ფიქრებს და გასულდგმულებთ ნიაფი ბმული. რასა იქით ამ დროს თქვენ, როგორც გლეხი, თავს რომ არ ჰყვედრით გამობრწყინებათ, მაინტერესებს შრომის დროს ვაზთან, გემდერებათ თუ გელიდინებათ?“ გალაკტიონი ჩემს თქმულს ვერ ჩაწვდა, შევატყვე სხვაგან უბოდა თვალი, სჩანდა სხვა უფრო საინტერესოს ის დაეძებდა გზად მიმავალი. მითხრა: „ბოდიში, ბიძია, მაგრამ გაუყვილს მაინც სჯობს გატეხილი, შენი კითხვის არსს ვერ ჩავწვდი სიღრმით, თუმცა ვიყავი მე მეტად ფრთხილი.“ „კარგ, გალაკტიონ, გავიმეორებ, გამეორება ცოდნის დედაა და მით უმეტეს პოეტისათვის იგი ყოველთვის მუდამ მზედაა.“ ერთი შეხედვით მეგონა უცებ, რომ მეფე-პოეტს გადავაფიწყდი და მის გონებას ჩემი ამ თქმულით ცის უკაცრიელ ვჯიჯგნდი და ვწიწყდი. მაგრამ როს მგოსანს თვალში ჩაგხედე, მივხვდი, ვტყუოდი ჩემივე ფიქრით, მას გულისყური ჩემს გულში ედო და მეტს ელოდა, რაც ვთქვი მას იქით. იქნებ მეც ბრალი ესა მაქვს ახლა, რომ ვერ გამოვთქვი სათქმელი ღრმად-ეს და ესრა იწვევს პოეტში იმ ნაკლს, რაც ჩემის მხრიდან სისუსტეს ჰბადებს. „ის-ვთქვი, პოეტო, მადლშემოსილო, როდესაც ლექსს სწერთ, თქვენ ხართ პოეტი, მაგრამ როდესაც კალამს ხელს უშვებთ, ალბათ მაშინ ხართ მიეთ-მოეთი. და მაშინ ისევ, როცა კვლავ ისევ თქვენ გიბრუნდებათ ლექსის ხალისი, ამ დროს თქვენ ისევ პოეტი ხდებით, შესადარებლად მითხართ სხვა რისი? განთავისუფლდით, დაგტოვათ ლექსმა, წავიდა, გაქრა, გითხრათ ნახვამდის, აი ამ დროს თუ თქვენ ხართ პოეტი, მეტ უფრო შრომის გამონახვამდის. ან თუ დიდინებთ შრომის დროს თქვენს ლექსს, ან ქართულ-ხალხურ შემოქმედებას, ან სხვა პოეტებს როგორ უყურებთ, ახერხებს ვინმე თქვენთან შებედვას?“ „ა, მივხვდი, მივხვდი, მივხვდი, ჭაბუკო, რისი თქმაც გინდათ ერთობ გწადიათ, თქვენ იმ აზრში ხართ გამოსხვეული, რომლის სიცხადე სიზმრად გწაღდიათ. სულიერებას ჰგულისხმობთ ვიცი, ვარ თუ არა ვარ პოეტი მაშინ – როცა ბაღში ვარ, ან ვენახში ვარ და მე გარედან თან შემაქვს ხმა შინ. მე სულ პოეტი მქვია, ძამიკო, მქვია ბიძიკო ყოველ წუთს და წამს, კი მართალია, ბაღში ნერგს ვუვლი და მაინც ლექსის მარცვალი თან მწვავს. ხანდახან თუ კი მუზა მშორდება, ხანდახან თუ კი მუზას ვშორდები, ჩვენ მეგობრობას არ ვწყვეტთ ამითა, პირიქით უფრო ვუმეგობრდები. როცა არა ვწერ და შორიანხლო ვთავისუფლდები გრძნობათ თვისებით, ვდიდინებ ჩემთვის გულში მალულად, თუ ვცარიელობ, ისევ ვივსები.



ხან ჩემს ლექსებსაც წამოვიმდერებ, რომელთა ამჩემებ ჩემს გულს ვახარებ, მეტ როგორ ვითხრა: ხარი თუ ვერ სწევს, რაღა უნდა ჰქნას მაშინ სახარებ. ზოგ-ზოგნი კიდევ მედავებიან ბევრ ჩემს მზიან დღეს ბნელით მოსავენ, მე სად კრიტიკას მივესალმები, მაგრამ შორს ჩემგან ყველა მოსავენ. არ დაგიმაღლაგ, ხანდახან ზოგჯერ რის კარგ ლექსს დავწერ, ხალისი მავსებს, თვითონ ვსტუმრობ და თვითონ ვმასპინძლობ ცარიელ სასმისს მე ღვინით ვავსებ. ეს, რა თქმა უნდა, შუადამით ხდება ან ნაშუადამევს გარდასულ ძილთა, კაცს ვის მონახავ ამ დროს, მითხარი, რომ ფეხზე იდგეს ამ შენს ძახილთა. ჩემს სადღეგრძელოს ჩემს თავსვე ვკუთვნი, რომ ხვალის საქმე თან ვაიოლო, ამ კარგ ლექსისთვის, ამ განწყობისთვის, შენ გაგიმარჯოს გალაკტიონ-ო. ო, ერთი სიტყვით, ეგ თამაშია ცხოვრებისეულ რამე თუ დაგვათ და როგორც პოეტს, სისხლხორცეულად იქედან გასვლის უფლება არ გაქვთ. დიან, ასეა არც მეტ არც ნაკლებ, მიკერძობა არ თუ გოდებით, თუ, რა თქმა უნდა, ხარ ნადდი ის, ვინც რისთვისაც იღწვი თავგამოდებით. თუ, რა თქმა უნდა, ხელს გიშლის ის, რაც იმავ წუთს მაგრამ არა სრულიად, ზოგჯერ სმა-ჭამას რომ დაგავიწყებს და მის წიადში ზიხარ გუღლიად. თუ, რა თქმა უნდა, შენი მიზანი არის მიზანი და სხვა რამ – არა, ხარ მოწოდებით მართლა პოეტი, როგორც ცა, მაგრამ ცისა კამარა. თუ, რა თქმა უნდა, ყოვლის სიცხადეს სულ თავისთავად პატიობს ნება და ერთ პოეტთან ლექსებში მოსჩანს ხალხის ნება და პატიოსნება. მოკლედ ასეა ჩემი ცხოვრება, კმაო, ძამიკო, ჭაბუკო ტკბილო, თუ არ საკმარის გაგეც პასუხი, შემოვინახოთ სხვა დროს საკბილო.“ მგოსანმა ისევ დახარა თავი და თვალთა ისრით დასვა წერტილი, დასვა წერტილი, თუ წერტილ-მძიმე ჩემგან ამნაირ ჩამოწყვეტილი. „კმაყოფილი ვარ, კმაყოფილი ვარ, რაღა პოეტო ჩემი მწყურალობა.“ „რას ლაპარაკობ აბა, ბიძია, მეტ პოეტს რაღა თვისი წყალობა. აი, ამას წინ გეგლათში ვიყავ, რწმენაა ეგრე ჩემებრ შენებრ-ეს, ყოველ მისვლაზე სასწაულს ვხედავ და უფრო კიდევ აღმაშენებელს. მუდამ ქედს ვიხრი მე მის წინაშე და მუხლდაჩოქილ ღმერთს ვთხოვ იმ ნებას, რომ ჩვენი ერი გამოთიშოს მსოფლიო ხედვის ხმოვან დინებას. დავით, დავითი, მეფე დავითი დღე დღევანდელის წინ მავალ გეზი, ჩვენ რომ ღვთის ნაბობ მიწაზე ვცხოვრობთ, მტერთა ავთვალის ეგ არს მიზეზი. ვლოცულობ მისთვის, რომ საქართველოს თავისდათავად არ დარჩეს ის გან, რომელ გზებითაც აქამდე მოვვლეთ და მოვიტანეთ სულები მისგან. პირჯვარს გარდვიწერ მიწას ვაკოცებ სამ-სამჯერ მაინც თვითონ მინდისა, ღვთის სალოცავიც ხომ სამჯერ მოგვდგამს, უფლისა ჩვენი ყოვლად წმინდისა. მართლმადიდებლურ ერი გვიქვიან, თავი და თავი ეს არის დღით-დღის და ჩვენც ერთიან ერსაც და ბერსაც ღმერთიც თვინიერ კურთხევად გვითვლის. სწორედ ეგ არის ჩვენი გზა, შეილო... კი არ წავშალოთ, რაც ოდით მოგვდგამს, პირიქით უნდა ვფიცავდეთ მის მადლს და სანთლის წვაში სულ შევხვდეთ მომდგარს. უნდა სუყველამ გავითავისოთ რიგ-რიგ წესისა და ხვალის რწმენა, რწმენის გარეშე არცა სიცოცხლე, არცა სიკვდილი, არცა რით რწმენა.

ჩვენ ყველას ჩვენი გაჩენა გემოდღვრავს, რომ უკეთესით ვძიებდეთ კეთილს და დავამარცხოთ ის ბოროტება, რომელიც ცდილობს შეგვცქერდეს ფლეთილს. დავითის სული ჩვენი სულია და ჩვენ სულებსაც დავით გვიქვიან, ამიტომ მიყვარს მისი საფლავი, თავის ძვლიან და თავის კირქვიან. მან საქართველო გაგვიმთლიანა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, თუ მეტს ვერ იზამ, ჭაბუკო, შენ ვინ საკაცობრიოდ მაინც ბან დამდე. მარტო ის რად ღირს, ქვეყნის სატახტო გადაიტანა მტრისკენ წინ უფრო, ეს იმისათვის, რომ ჩვენ ბედკრულ ბედს არ გაეწირა მთლიან საწუთრო. არ გვაქვს უფლება და ხარ მოვალე, რაც კი აქამდე ხმლით მოტანილა, ის არ დაიცვა, არ უპატრონო, ვისი სახელოც წინ გამოწვდილა. სამშობლო აბა რა მეტი კაცის, თუ არ ღირსება წარსულ მმოსავი, მის დიად თქმაში სჭვივის ის ძალა რომლითაც უნდა ვაცნოთ დროს თავი. შენ ისე ღრმად ხარ ლექსში ჩახედულ, შეყვარებული ხომ არ გყავს ბიჭო, არას თუ მეტყვი, ეგ მეწყინება კის მთქმელს მსურს ქება რომ მოგანიჭო. სიყვარულს, შვილო, დიდ აქვს ძალა ტრფობაში, მართლა ტრიალებს ჯადო, მაგრამ არც ისე, როგორც ამბობენ, დასაწვავად და გასარუჯადო. იქნებ ეს მკითხო, რაა თვისება, თუ ამნაირ დროს გული ივსება და სავსე გულში გრძნობა ფარული, ვით აღიქმება, როგორც ღირსება. ტრფობა-გულისა მზის წილ ხვედრია და ის ბუნების არს საიდუმლო, ეს – იმისათვის, რომ შენ ჭაბუკი ქალწულის წილხვედრ არ დაიმუშლო. ჩვენ ჩვენ ვართ, მაგრამ დასაბამიდან აგრე მოყვება დროის დინებას, სიყვარულშია სიცოცხლის ხიბლი და თვითონ დრო სჯის მისგვარ თმინებას. და ეს ამგვარად რომ აღარ იყოს, კაცს თავის თავი შესცნობდა დევ-დას, არამც თუ იგი მის სიყვარულში გამოაჩენდა სულ მარტო სევდას. ამაში მადლი დვთის არის, შვილო, რომ ტრფობა ეგრე წყვილს აკავშირებს, წყვილთა კავშირში პირმშოს სულია, რომლითაც ხანა მისვე წყალში გვრევს. შენგან დუმილი თანხმობას ნიშნავს და ეს მახარებს თაობათ შორის, რომ ხვალინდელი დღეგანდელ დღეზე უფრო იქნება განმკარგავ სწორის. ეგ სასირცხვილო კი არა, ღმერთმან, ეგ აღმავლობას ქვეყნისას ნიშნავს, სიყვარულს მადლი თუ სცხის თავისი, მას ვერასოდეს ვერვინ გათიშავს. და ჩვენც ამ რწმენით თუ არ ვიარეთ და ვერ შევასხით სიყვარულს ფრთები, რაღა იქნება მაშინ წარსული, ან მომავალი სალაშქრო მთები. მეც შენს ასაკში ვყოფილვარ ეგრე, როგორც შენა ხარ მორცხვი გამხელის, ზოგჯერ ასეც სჯობს, ვერ დაგაძალებ, ვარაუდ ჩემი იყოს ამ ხელის. სიყვარულს, შვილო, მალვა სჭირდება, მალვა უხდება და რა კარგია მას რომ შეიცნობ და გრძნობა მასთან წამოქუხდება. ეს მხოლოდ შენმა დრომ უნდა გაცნოს, რომ შენს გულშია ეს მხოლოდ სახად, მეცა რატომღაც გრძნობა მაქვს უშვერ, ორივე წყვილი ერთმანეთს ჰგავხართ. ანბანს იმისთვის ვსწავლობთ, შვილოსა და მიტომ ვიდწვით მომავლით მისით რომ სიყვარული ავძერწოთ მისგან მშობლიურ გრძნობით და არა ზიზღით. სიყვარულ მარტო არ ნიშნავს იმას, რომ შენ კოცნაში თან ჩადო მალ-ვა, რომელ ძალაშიც ცალ ცალკე მერე ბედს შემოჰყვება ფარული მალვა.

ტრფობის სიყვარულ ეგ არის ცეცხლი ორ სხეულთ შორის დაფისებრ მტკიცე მაგრამ ამავე დროს ის სათუთია და მას თავისი სჭირდება სივრცე. ის რომ გაჭიმო, ალბათ, გაწყდება და გაწყვეტილ ძაფს მეტ რაღა მბად-მბა, კი გადანასკვავ, მაგრამ მის ხამუშს გული შეიგრძნობს რაღა ვით ბამბა. არ უნდა გაწყდეს, ამაში არის რაც მთავარია ტრფობის ღირსება, გაუწყვეტელი ძაფის იდეა დიადი გრძნობის არის თვისება.

ხელად ვთქვი, არა ჩავარაკრაკეთ, მოვიახლოვეთ ის რაც შორია, მას წლები უნდა, ო, წლები, შეილო, რადგან გორს იქეთ ისევ გორია. ტრფობას ცხოველურ ინტერეს თან სდევს ურთიერთ შორის მიტმანებისა, სწორედ ეგ არის ის მტკიცე ძალა, რაც თანმხვედრ შორის თან მსგავს ნებისა. ხომ შეიძლება გიყვარდეს, მაგრამ დაუშვათ ესე მას არ უყვარდე. ასეთ დროს ისევ დრო მიაქვს მისით და ცის წიადში რბის სილაჟვარდე.“

მეტი არ უთქვამს რამ გალაკტიონს, ის თვალდახუჭულ თავს კანტურებდა, ის თვალდახუჭულ თავს კანტურებდა, მაგრამ მთელ რიონს გადაჰყურებდა. დიდხანს ვიდექით ჩვენ მდუმარებით თითქმის საუბრის თემა გველია მეფე-პოეტი მოფხიზლდა ადრე. მთხოვა: კვლავ წყალი რომ დაგველია. მეც უცებ ამდგარს წამიძღვა წინა, მის ნაფხურებს აყვავი მეცა, მიყვებოდლი და მიკვირდა ის, რომ პოეტს სამოსად სამშობლო ეცვა. სამშობლო იყო მთლიან ეგ კაცი და თავის გულში ის ამას ბჭობდა, არ ხმაურობდა ამ წუთში, მაგრამ მის უთქმელ სიტყვას ქვეყანა ფლობდა. იდეალური სიმშვიდის გრძნობა ჩემს სათუთ ზრუნვას ისე ებახდა, როგორც ირემთან ირმის ბღავილი და როგორც შენ-შენ მას კი მეც-ახლდა. პოეტმა წყაროს კვლავ ჩაუჩოქა და ჩააშტერდა ცის სიღრმეს წყალში, გეგონებოდათ ცის სიღრმეში ვარსკვლავთ კრებული იყო აქ ალში. შემდეგ პირჯვარი გარდაისახა და ადავლინა ღვთისადმი ღოცვა, ის ბუტბუტებდა იმ წყაროსავით, რომლის ხმა იყო აქ გარემოცვა. სულ სამჯერ მოსვა და მეტჯერ არა წამომდგომარემ წვერს ისვა ხელი, მერე მადლს ღვთისას მადლობა უთხრა: რომ გაიგრილა მან გული ცხელი.

„მეც დავლევ ისევ! – ვუთხარი პოეტს და მის ნაფხურს დავადგი ფეხი, ესიამოვნა ეგ გალაკტიონს: „ჩემამდე შორს გაქვს ჯერ შეილო ტერფი.“ თვისი ნათქვამი თვით მოეწონა და მეც არ ნაკლებ იმაზე მეტად, რადგან ამ თქმაში იდო ის ძალა, რაც მიიჩნევდა აქ მეფეს კენტად. მეც გარდვისახე სამჯერ პირჯვარი და მეც ვახსენე მისებურ ღმერთი, წყალიც მისსავე სამ ყლუპად მოვსვი, არცა ნაკლები, არც მეტი-ერთი.

„მეფე-პოეტო, მეც გავთამამდი – ამ წყაროს წყალის თქვენ ხართ ნათლია, მადლი ამაში ღვთიურ არს ძალის და მის ნებაში თვით დევს ხათრია. და ეგ სახელი წყაროს „ბედურა“ თაობათ შორის იქნება ცვლისა, შესაძლო არის წარწერაც ვუყოთ, რადგან ამაში ნება დევს ღვთისა.“

გალაკტიონმა წარწერის თქმულზე აღფრთოვანებით ლამის ცას მიწვდა: „ეგ რა კარგი თქვი, ყმაწვილო, ვინძლო რაც აქამდის შენ გითქვამს მიწ-და. ანბანი ჩვენი, წარწერა ჩვენი, წიგნში და გულში კი არა მარტო, ის აქ, ამ ველში უნდა მოსჩანდეს, ვით რელიქვია სიძველის სართო.

ჩვენს ქართულ ანბანს შესწევს ეგ ძალა, რომ რაც უძლია, მაინც სულ გასძლოს, ჟამთა დინება მას უკეთ სახაგს და თაობებშიც ამიტომ ას წლობს. ბედნიერება მეტ რაღა მგზავრის მომჭირნეობა დროით დრო ვით ხაგსს, მას რა სჯობია „ბედურა“ წყაროს მშობლიურ ენით ამოიკითხავს. წელი და რიცხვი არ დაგავიწყდეს, წარწერას დროც ხომ სჭირდება მისი, ეგ ვარდობისთვე ჩვენი მაისი ისტორიულ დღე არის ამისი.“

აღფრთოვანებას გალაკტიონი, რაც მე ვთქვი, ველარ მაღაგდა მისას, მიმოდოდა და წრეს უვლიდა, ალბათ, ჩემი თქმით იქნებ და ის-ას. თქვა თუ არ სიტყვა გალაკტიონმა, დედაც გამოჩნდა საგზალით ხელში, „ნეტავ ვინ არის?“ – ჰკითხა თავის თავს, იდეა იღო ამ გასამხელში.

„დედაჩემია!“ – ვუთხარი, როცა უფრო ამაღლდა, თვალთ ცრემლ ერია – „დედა ვისაც ჰყავს, მამა ვისაც ჰყავს, ყველა მის ოდენ ბედნიერია. მამა არ მახსოვს, მამა არ მახსოვს, ეგ არის ჩემი უბედურება, ვჯავრობ და რა ვქნა, საკუთარ თავსაც დაუწყვე უკვე ეჭვით ყურება.“ მოვიდა დედა, შეიცნო ვინც რომ აქ ჩემის თვალწინ იყო მდგომარე, ურთიერთ ხედვა მათ შორის მძიმე, იყო რატომღაც მიუწვდომარე. პოეტი თვითონ ეახლა დედას, არ მედიდურად, ნაბიჯით ნელით, „გალაკტიონი!“ – უთხრა პოეტმა და გაუწოდა სულ მნათი ხელი. და, რა თქმა უნდა, დედისათვისაც ეგ წუთი იყო საგსე სიძნელით, „ამ ბავშვის დედა!“ – სთქვა დედამ მორცხვად, თუმც რა სიცუდე აქ გასამხელი. სახელი მისი არ უთქვამს დედას, რადგან პოეტთან ჰკლავდა სიმორცხვე, მე ხელჩანთაში ჭვრიტინი მკლავდა, თვალი რამდენი შეხვეულს მოვცხე. „კარგი შვილი გყავთ!“ – უთხრა მან დედას – არ ვცდები მგონი ჩემივ გზას ადგას, ყველა დროს მისი პოეტი უნდა, წლები გარდუალ არსებობს რადგან. მძიმე ტვირთია, მის სიმსუბუქეს ვერ მოუცვია დღეს ჩემი გული, მძიმე ტვირთია და მაინც მიყვარს მხატვრული სიტყვა ლექსებად თქმული. რა ვქნა აგრე სდის ჩემი ცხოვრება ვინძლო ასე ვარ მილხინს თუ მიჭირს წლები დავტოვე ისეთნაირი ის რაც დღეს არის აქ თქვენი ბიჭის.“

დედამ მიუგო: „ეჰ, გალაკტიონ სიყვარულისთვის სიყვარულ წილი, ის, რაც შემეძლო ბუნებისაგან, მეც გავაჩინე ამისთვის შვილი. შვილებში გახლავთ უფროსი ესა, შემდეგ გოგონა და ორი ვაჟი, შვილები არის სიცოცხლე ჩემი, ყოველ დღეს მოაქვს თან გარიჟრაჟი. „ღმერთმა გაცოცხლოს, ქართველის დედაო, აი მემოწმის თვალი და ყური.“ ყურზე მოისვა მგოსანმა ხელი თქვა: „ჩემი სიტყვა აი დასტური.“

ერს გამრავლება სჭირდება, დაო, მეტი რა ხანა ჩვენი ნუგეში, ვიცით რა გვიჭირს, ვიცით რა გვილხინს, ჩვენ ქართველები არ ვართ უგეში. ეჰ, ჩვენს ქვეყანას, ეჰ, ჩვენს ქვეყანას თავზე რა აღარ გადახდენია, რამდენ სისხლ-ცრემლის ვყოფილვართ მღვრელი და მომაგალი მაინც ჩვენია. მტკაველი მიწა არ მეგულება, არ ეცხოს ის, რაც თან დაგვაქვს მწედა, თავს არ ზოგავდა ქართველი კაცი, ქედს არ იხრიდა არც ქართველის დედა. და აი, ხედავ როგორ ავმაღლდით... და შევიძინე კიდევ ამ მე – და ოთხი შვილი გყავთ? დასტურ შვილები? თქვენმა ნათქვამმა დამაიმედა.



აბა, ზოგს ერთი, აბა, ზოგს ორი, მითხარ დედაო, რაღა იმედი, რა ვქნა, ჩემს თავად ქვეყნად არც ერთი, აი ამ გზამდე ველარ მივედი.“  
 გალაკტიონის გულნატკენ თქმულზე დედას ცრემლ სდინდა ალალ გულისა, ამ ცრემლში იდო ჭეშმარიტება... მაგრამ სათქმელმა გააგულისა.  
 „ეს კი მგოსანო, რა გამაგონეთ, ცოლ-შვილის მადლზე თქვენ გული გწყდებოთ? აბა, რას ნიშნავს ეგ ამოხსვრა, მარტო ლექსები გყოფნით დიდებოთ?  
 „ასეა, ასე ქართველის დედაო... ცოლი მყავს, მაგრამ შვილები არა, ბოღმა ლექსებში გადადის ესე და გულში მიდევს მუდამ იარა.  
 ეჰ, ჩემი ოღლა, ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში, ჩემი სიცოცხლე, რა ვქნათ, ჩვენ გული ორივეს გვტკივა, ჩვენს შორის სუფევს დიდი სიმორცხვე. ვართ ერთმანეთით და ერთის ერთით მეტი რაღა გზა ჩვენ დაგვრჩენია, რა ვქნათ, ბედს აგრე დავემორჩილეთ და მომავალი მაინც ჩვენია.  
 რა ვქნა, კი გვინდა, რომ გეყავდეს, მაგრამ... მიხვდებით, ალბათ რაც მაქვს სათქმელი, გვინდა და არ სჩანს გვინდა და არ სჩანს, რამდენ გვინთია ღვთისთვის სანთელი. ცოლს გავეყარო, ქმარს გაეყაროს, აი, აქ ვნახოთ გამოსავალი, ჩვენს სიყვარულში დიდია გრძნობა, ცალ-ცალკე როგორ ვპოვოთ საგალი. ესეც არ იყოს, ჩვენ ერთმანეთში საერთო ენა გვაქვს თან ზახული, გარდასულ დღეთა ხვედრია ეს დღე შორიდან, მაგრამ ახლო ნახული. შვილთა სიყვარულს ლექსებში ვხედავ, ლექსია ჩემი ძე და ასული, გარდასულ დღეთა მადევს იერი, რაც მომავალში სჩანს გარდასული. კარგი რაც არის, კარგი რაც არის, ამაზე ბჭობა არც ღირს ღმერთმანი, თუმც ამ ლოდინში გავჭაღარავდი, აქოჩრილი მაქვს მაინც ჯერ თმანი. რა გქვია, შვილო, აბა მითხარი?“ – ჩემკენ მობრუნდა მგოსანი დიდი, ხელი მომკიდა, მომეალერსა და მის წინაშე მეც ჩემს თავს ვცდიდი.  
 „ნოდარი!“ – დედამ დამასწრო პასუხს, ნაღვლიან იყო ეს მისგან თქმული, რადგან პოეტი იყო ამ წუთში გულდაწყვეტილი და მოღუშული.  
 „ნოდარი, ნოდარ, ნოდარი, ნოდარ, გალაკტიონი, ჰოდა რიონი, თუ ჩემს გზას გინდა გამოჰყვე, შვილო, მაშინ შენა ხარ ნოდარიონი.“  
 „კი, ასე ვიზამ!“ – ვუთხარი მგოსანს და მის წინაშე დაგხარე თავი, ამ თავდახრაში იდო სიმორცხვე, მაგრამ საუნჯე თან მისი მრთავი. დედამ კვლავ ისევ დაიწყო მისი, რაღა ეს აზრი სად გაწყვეტილი, მე კი მეგონა სკოლაში ვიყავ და ჩემთვის იყო ეგ გაკვეთილი.  
 „მინდა რომ იყოს პატიოსანი, რამ თუ ფერთ ვარდი რამ თუ ფერთ-ია, უნდა იცოდეს, რომ საქართველო ქართველისათვის მხოლოდ ერთია. უნდა უყვარდეს მამულ-დედული და მის შიგნითა ყველა ყოველი, ეს რომ წინაპრებს არ შეესმინათ, სად გვექნებოდა სვეტიცხოველი. ქართველის ოჯახის სიმბოლო – დედა მუდამ ყოფილა, იქნება კიდევ, სიყვარულისთვის სიყვარულია თავისუფალ და ხელის მომკიდევ.  
 ჩემი დედული თქვენს სოფელს ეკვრის მოსაზღვრეობა სოფლის და თემის დედა თქვენს ნიჭზე ბევრს მიაბობოდა, თვითმხილველიც ვარ ამ გადმოცემის, თქვენ ის გიცნობდათ, თქვენ მას იცნობდით, არ თუ შეხვედრილ მრავალ წუთებით და მე ის მიყვარს, იმ დედის სიტბოს დროში დრო ეწყო თავის ყუთებით.“



„მაშ, დედათქვენი ჩვენებურია? თან ვისაუბრეთ ერთი-მეორემ ღმერთო მაღალო, მომეც შეძლება და შემახსენე მე ახლა თორემ... დედამ მისნაირ კვლავ შვება იგრძნო, პოეტს რომ გულისთ რაც დაემართა: „ღიან, დედული თქვენს ჭყვიშთან ახლოს, დედის სახელი კი გახლდათ მართა.“ პოეტმა შვებით ამოისუნთქა და ცერა თითით იჩხრიკა წვერი: მართა, ო, მართა, როგორ არ მახსოვს ბევრჯერ ნაჭამი გვაქვს ობლის კვერი. და ესე იგი სოფელ სულორში გათხოვდა და იქ ოჯახი შექმნა. ღმერთო, სუყველა აბედნიერე, რომელ თქმაშია ც დედაა ეგ-თქმა. წესი აგრეა ჩვენი ადათის, ქალი ფუძეზე ჰგავს ათლილ ნაფოტს, ბედი ბედიან, თავისებურად ბედი თვით ქალწულს ოჯახში არ ტოვს. და არც მოყვარეს მისთხოვდეს უნდა, გენმა გენისა სხვა უნდა ნახოს ქართველი კაცი, ქართველი ქალი, ამნაირ საქმეს არ ხდის საძრახოს. ჩვენ უნდა ვზიდოთ ჩვენი უღელი, რაც უზიდიათ წინაპრებს ოდით, ცოლის ნათესავს მოყვარედ ვიხდით, ვსტუმრობთ ერთმანეთს მივდივართ-მოვდის. ამ გზით დიოდა დიდი დავითი, სხვაც კიდევ ბევრი მეფე-თამარი, ჩვენ ერი გვქვია, ენა გვაქვს ჩვენი, მიწასთან ეგ ცაც დიდი რამ არი. შოთა რუსთველი ამ მიწამ შობა, აქ მისი ფეხის კვალია აქ-რა, გულდაწყვეტილი მე ვარ იმაზე, მის ფეხ ნადგამი რომ უკვლოდ გაქრა. მიზეზი ამის არ არის რთული, ქართველში უნდა ვძებნოთ მიზეზი, შოთა თავისით სახლს არ დასტოვდა, რომ მას თვინიერ აელო გეზი. როგორც მე ვატყობ, ის აიძულეს არა ჭკვიანმა მოსურნეებმა და გადისროლეს, ვითარცა ბურთი, ის იმ ქართული სოფლის დღეებმა. აბა, მითხარით, რად არ ხჩანს კვალი... ის განდევნილი სხვაგან დაბერდა, ვით დავიჯერო „ვეფხისტყაოსანს“ რომ იგი ხელსა არ მოაწერდა. ეჰ, ესე არის წუთისოფელი, აღმართ-დადმართის წუთიერ ფასი, მაგრამ სიცოცხლე თან მაინც გვიყვარს სიცოცხლე არის განძი ძვირფასი, აი, თუნდ ეგ ღრო ჩვენი შეხვედრის, საიმედოა ამ ღროის ყადრი, მის მსგავსებაში არ დევს მსგავსება, მე თვითონ ამას ვერაფერს ვადრი. ამ ჩვენს ფაციფუცს ფეხდგმულ მიწაზე ჰქვია უდიდეს სახელი თვისი და მას სახელად ჰქვია სამშობლო, რომლის საუნჯედ ჩვენ გავხდით ღირსი. ჩვენს მომავალში დევს მხოლოდ გრძნობა და მის იდეას მართავს აისი, დაიმახსოვრეთ თქვენ დღე შაბათი, რიცხვი ოცდაერთ თვე კი მაისი.“ ამბობდა ამას გალაკტიონი და ტვირთ სიმძიმე აჰქონდა კისრით. ამოდითა, როგორც მზე იგი, როგორც ხანდახან სხივი ნაისრი. მისი ხმა იყო სულ სხვანაირი, სხვანაირი და თან ფურცლოვანი, შუა ხნამდე ასე ცოტა მეტისა, მე მასთან კიდევ მხოლოდ წლოვანი. მის ხმაში იდო სიმი ფანდურის, ხმა სალამურის, სიმი სიცოცხლის, თან სიყვარული მხოლოდ დიადი წარსულ-მომავლის და თან სიმორცხვის. მის ხმაში იდო სიმი დაირის, ჰანგი სიმღერის, ჰანგი ნოტისა, რომლის ლირიკა რომანტიკული სულ თავისთავად ხსნიდა მოტივსა. აღფრთოვანებას ის ვერ ფარავდა, მე ვუცქეროდი რამდენს შეძლებდა, ვისმენდი პოეტს ფეხწვერზე დამდგარს, მიწაზე იდგა და მზეს ეძებდა.

მერე დაეშვა ის ციდან უცებ და მიუბრუნდა დედას ღიმილით მიბრუნებაში იღო სიცხადე, არცერთ ტკივილით, არც სიმძიმით.

„გმადლობთ, მოგმართავთ ვით დეიდაშვილს, სხვა უფრო რაღა ნათქვამი ფიცად, რამ თუ ეგ შენი დედული მთლიან ჩემს მამულს ეკერის როგორც ერთ მიწად. გმადლობთ, სახელი გცოდნიათ ჩემი, ბევრმა არ იცის და ეგ მაწუხებს, გალაკტიონის გაგონებაზე თვითონ განგება მიჭერს მარწუხებს. ვამბობ და ლექსში ხშირად ვწერ ასე რაღა ჩემი თქმა საპატიონი, ვედარ გაიგო კიდევ ზოგ-ზოგმა, რომ მე არა ვარ გალაკტიონი. არც ერთ ერთი ვარ, არც ერთადერთი, როგორც თ, აგერ როგორც რიონი, ეს იმიტომ, რომ კარგად ჟღერს უფრო: მეფე-პოეტი გალაკტიონი. მეფე-პოეტი გალაკტიონი რამე ღვთის ნება თუ შიგნით ჩემი ამ წუთში მთლიან დევს საქართველო, მეც დავიწყებას ვერ მივეცემი. ბოლო ორ სტრიქონს თავისთვის მბობდა, არ ჩვენი ყურის გასაგონარად, მეგონა მისი ყოველი სიტყვა ასხმული იყო მძივ და ზონარად. გადაეხვია პოეტი დედას და ცხარე ცრემლი წასკდა თვალიდან, დედაც ატირდა ამ სიხარულით, თავისი თავის სიფერმკრთალიდან.

„შვილო, მამაშენ აქა მეგონა, წამოვიძღვანე საგძალ ამიტომ, ფეხად გამასწრო, ნათესარ ვიცან, დრომ მაინც თვის ქნა სამიამიტომ. შეუსვენებლივ ნათესარი აქვს და მასაც გეტყვი რატომ და რისთვის, სულ ასე იცის, ჩამოსასვლელად როცა არა ღირს ჩამოსვლა მისთვის. მორჩა დღეს უკვე შემოდგომამდე უნდა თავისი ზრუნვა ჰყოს ყანამ, გვაღვა კი არის, მაგრამ სიმინდი თან უნდა ზარდოს სიომ და ნანამ.“

„მაშ, ჩემი მიწის ნაწილი შენც ხარ, ჰა კაცი კაცსა სად არ შეხვდება, დიდხანს იცოცხლეთ, იყავით დიდხანს ამ ჩვენს ლოცვაში ამგვარ ეგ ხდება.“

„გმადლობთ, მგოსანო!“ – თქვა დედამ ესა და მოღზე ისე გაშალა სუფრა, დედის ღიმილში იღო ის ჯადო, რომლის დიად გზას დრო ახლავს სუფთა. ორი ჭინჭილა ღვინო ჩაედგა, ან რაღა მეტი ან რისთვის მზარდად, დავიწყებოდა მას ღვინის ჭიქა მხოლოდ და მხოლოდ ეს აწვა დარდად.

„ასე უფრო სჯობს, ასე უფრო სჯობს – სთქვა პოეტმა და ჩამიკრა თვალი, მას სიხარულით კვლავ ცრემლ სდიოდა, ახლა ეგ იყო დღეს მისთვის ვალი. მჭადი და ყველი მასთან მწვანელი აჯაფსანდალი, ნადუღიც სისქენ – მივიპატიჟეთ გალაკტიონი თვალაპყრობილი კვლავ ისევე ცისკენ.

„ასე მცირედით, მაგრამ თან გულით“ – მოიბოდიშა დედამ თავისით.“

„რას ამბობთ, დედაგ, დედაგ ქართველისაგ შეილს უმადლოდეთ რაც მოხდა ვისით. ახლა დრო არის გაზაფხულია ძველ შენახული თან გაჰყვა ზამთარს, ახალი კიდევ ადრეა ჯერ ხომ წუთი წუთთან და წამია წამთ-არს. რას ამბობთ ეს ხომ გულის გულია, მინდვრად გაშლილი ამგვარი სუფრა, თან აგერ წყარო რომანტიკულად ბედურა წყარო ზევით ცის ქუფურა. ჰო, ჩიტის წყარო ჩიტუნა წყარო, მაგრამ ჩიტთან ხომ სხვანი ჩიტნიცა, – ხმელ ყველთან ჭყინტი და რა იცოდით, მე რომ მიყვარდა იგი პიტნითა. ჰო, ჰო, ძამიკო, ჰო, ჰო, ძამიკო რადგან აქამდე მივიდა საქმე, ჩემო დაიკო, ახლა ზურგქცევა ფეხის კვრას ნიშნავს ვიტყოდით აქმე.

ქართველ კაცს მოსდგამს ეგ სიდიადე სტუმარ-მასპინძლის დიდი მისია, ღვთით სტუმარ სადმე თუ გაჭაჭანდა, კიდევ ვის ვარდი კიდევ ვის-ია. რა ვქნა ასეა ჩვენი ცხოვრება თუ დედამიწა და ცა-ბედი მას რომ იცოდე, შორი გზები აქვს თავის საველეად თან უცაბედი. აქ ჩამოვჯდები, აი ხელდახელ ბორცვი რაღა სწამ სტუმრისთვის მჩერე, მეტ მოხერხებულ ადგილის პოვნა რა შინ და გარეთ ამითა მერე. რადგან მოვსულვარ ბარემ დავიცდი სახიერ მხოლოდ თავ და თავ ხალხი, და მით უმეტეს აი ამ დროში ბევრ ნაცნობობის ტრიალებს ალხი. ყველა თითუულ კაცის გაცნობა ჩემში ეგ არის ახალი ლექსი და სიახლოვე იმ გულის მხოლოდ, რომელშიც ღვივის დარაჯი-მწყემსი. სიწრფელე ჩემი სავსეა ას გზის ჩემს ამ სიყვარულს თან მოძღვრავს რაიც, კი მართალია, ყველას ვერ ვხვდები, მაგრამ დაუსწრებ ხელს ვართმევ მაინც. პოეტის ნება ხალხის გულში დევს და ხალხის გული კიდევ მის გულში, თუ სიახლოვე ხალხთან აღარ გვაქვს, ლექსის მარცვალი არ ღვივის ხნულში. მე ქართველის სიტყვას ვენაცვლი ისე, როგორც როგორ ვთქვა ლამაზს და ნატიფს, მაგრამ არ ნიშნავს ეგ იმას ხალხო, რომ მე სხვა ენას არა ვცემ პატივს.“

გალაკტიონმა ჯერ ჩაიბუნლა მარჯვენა ფეხით რამ თუ მარცხითა, მარჯვენა ხელი წელს შეაშველა, რადგან მარცხენით წვერს ივარცხნიდა. „რამე ქე მაინც ძირს დაგვეფინა, ან ლურჯი ჩალა ან ჩემი ბაღდად.“ მოიბოდიშა დედამ უსკამოდ, რომ მეტ ეკუთვნის აქ პოეტს ნაღდად.

„რას ამბობ, დედაგ, დედაგ ქართველისაგ, ფიქრს ქვეყნისნაირ შეგყურებ სავსეს ერთ სკამზე ვიჯდეთ სტუმარ-მასპინძელ, მე ეს იდეა უფრო თან მავსებს. და რა კარგია ეს დედამიწა ერთი სკამია ერთი ჰუნენი ასე კი არა, მაშინაც ღმერთო, როს ფეხზე ვდაგავართ ჩვენ მორწმუნენი. მაგრამ კი ბოლოს მაინც საწოლი წილხვედრ სიცოცხლე და სიკვდილი ძნელი ჩვენ რეალობას ვერ გავექცევით, ყველა სინათლეს თან დასდევს ბნელი. სიკვდილი ჯერ-ჯერ ღმერთმა მაშოროს და გაუმარჯოს სიცოცხლეს ქვეყნად ფეხზე რომ ვდაგავართ, ვფუსფუსობთ მისთვის, რომ სამშობლოსთვის რაიმე შევქმნათ. შორს დარდი ყველა მოწყენილობა გულს სინალისე სჭირდება მხოლოდ. ენა-იმისთვის ჩვენ მოგვცა ღმერთმა, რომ ერთურთს ყოფნა გაგუიოლოთ. გულგატეხილი ვისხდეთ და ვდუმდეთ ჩვენ არ გვაქვს არა ამის უფლება, კი, მართალია, არ ვცხოვრობთ ისე, რაც არის მთლიან თავისუფლება. ეს დროც დადგება დღეს თუ არ ხვალ და ხვალ თუ არა ან-ზევ ან-მაზევ, განა ვერ ვხვდები, რა არის ცუდი, ან უფრო კარგი კიდევ ლამაზ-ეგ. შვილო და დაო, ქვეყნის ხვედრია ეს იმნაირი დროის დინება, მოუთმენარნიც ვყოფილვართ ბევრჯერ, ქარს წაუღია ბევრი თმინებაც. მაგრამ სულ გემართებს ვებრძოლოთ იმას, რაც მანკიერი არის ქვეყნისა...“

„ეს მართალია კი გალაკტიონ, მაგრამ არასდროს თუ არ გვეღირსა?“

„რას ამბობ, დაო, ადამიანი იმედით ცხოვრობს, იმედით ცოცხლობს, ეს დროც დადგება, არ არის შორი ხათრიანია და იგი მორცხვობს. ამას თვით დრო შევებს დრო თვითონ განსჯის, თან შემართება ჩვენგანაც უნდა სიტყვით და საქმით და ნამდვილ ქართველით, რომელ ქართველშიც ხელვა დევს გუნდად.

დაგვიჩოქია მრავალ ბრძოლაში, მაგრამ ავმდგარვართ, როგორც რა ჰქვია, ამის მოწამედ ამ ქვეყანაზე რამდენ ციხე და ნაქალაქია.

ამ საუკუნემ დიან მეოცემ თავისი მაინც თქვა კიდევ მცირე, რომ საქართველოს ბედის ვარსკვლავი ჩაუმქრალია და მოციმციმე.

ისე სიმარჯვე მეტი გეჭირდება, ვიდრე დღეს ვმარჯვობთ და დღეს ვირჯებით, მეტ სიფხიზლეში დიდია ძალა, რაღა თქმა უნდა ბრძნულ ნაბიჯებით.

თვითონ არ მოვა, ეს არ იფიქროთ, ამგვარ აზრებით ნუ დაგკინდებით, დროს თვითონ გაგხდით ეპოქის პირმშოთ, ჩვენც დავდინჯდებით ჩვენც დავდვინდებით.

ოცდამეერთე თავისას იტყვის, ვიტყვი იმიტომ, რომ ის კენტია, ორ საუკუნე ჩემთვის სახსოვარ მესამე რაღა ეს მომენტია.

ახალგაზრდობა ფრთებს უნდა შლიდეს, თქვენი წილიცა ხვედრი ამ ცისა, უნდა ამაგროთ ყოველდღიურად ბედი ნებიერ ქართველ კაცისა.

დვთის მადლი შუბლზე მირონად გეცხია და როგორ იგი, ღმერთო, არ ჩენად. საქართველოა ჩვენი სამშობლო, თავ დაუზოგავ გადასარჩენად.

დიან მზრუნველი ის ჩვენი დედა, ჩვენი გამზრდელი ჩვენი თავდება, თუკი ცვარ-ნამი ჯეჯილს არ ახლავს, ყანა არასდროს დათავთავდება.

ასეა, შვილო, ცრემლი დედისა ცრემლი ყოვლისა და ხალხ ინისა, ცრემლში დიდია სასოწარკვეთა: გინდ ჭირის იყოს, გინდა ლხინისა.

ცრემლი გულს აწრთობს, ვით წყალი რკინას ცრემლი გულ-სულის შემაერთია და ამ ცის ქვეშა დედამიწაზე ის ადამიანთ შენაერთია.

ადამიანი – აი ეს სიტყვა მავსებს, მაღაღებს მისნაირ ხედვით, ის, რაც ჩენილა ჩვენთვის ჩენილა და ჩვენც მიწაზე ვბორგავართ ზედ-ვით.

ხამს ყველაფერი ჩენილა მისთვის, რომ ჩვენ-ჩვენ ვიყოთ სხვა კიდევ სხვათა, თაობამ ცვალოს ისევე თაობა, თავის მშობლიურ და თავის ხმათა.

მე განვლილ წლების სიშორე არ მდლის, არც კერიაზე მჭადთა კეც-დება, პირიქით, მასზე მამხნევებს ზრუნვა და ძალაც უფრო მიასკეცდება.

ბევრჯერ ჩემ სიტყვის ჩვენს საუბარში მიწევს მრავალჯერ გამეორება, ეს კი იმიტომ, რომ მის სიყვარულს მოაქვს დღეს ჩვენთვის მხოლოდ სწორება, დიან და უნდა სულ ვიმეოროთ, ჩვენ წინაპრების მსგავსი რაობა, რადგან წილად დევს ჩვენს გაჩენაში ნახვის შემდგომი უნახაობა.

ქართველ კაცის წყნარი გუნება მომავალ დღეთა გონის გონია, მაგრამ თუ საქმე მოითხოვს ამას მაშინ ქართველთ ხმა-სტიქიონია.

ამის იმედი მავსებს ყოველდღე, რაც შეცნობაა ჩემი ხალისებრ თვალის ცის გუმბათს საღად შესცქერის, რომ წლებს მეტი აქვს დრონი ხვალისებრ.

დროში დრო ცხოვრობს ჩვენც დროში ვცხოვრობთ ჩვენი დროც მუდამ არაყ- გუდია, დროსაც თავის დრო ფეხზე ჰკიდია რადგან თვითონ დროც სარაყუდია.

გაგეცინებათ და მაინც ვიტყვი, წუხანდელ სიზმარს გიამბობთ როცა, სიზმრის ამომხსნელ კი არ ვარ, მაგრამ მაინც მისადმი დიდი მაქვს ლოცვა.

ვითომ ნავში ვარ, მენავეს ვებრძვი ცოტაც და მუჭებს დავცხებთ ერთმანეთს, მე ვეუბნები, სიცოცხლეს ვკარგავთ, რაღა აზრი აქვს მითხარ გრძედ განედს.

რად ვერ შენიშნე, რომ ნაპირ-ნაპირ შემოდიოდა ზღვის თან-თან ხმები, ნუთუ ამ ხნის კაცს გამოცდილებაც სულ აღარ შეგჩათ შესათანხმები.



ხომ გაგიგია, სიფრთხილე მუდამ არის სიცოცხლის თავი და თავი, ზღვა ხომ სულ სხვაა, მაინც ამ დროსა ფათერაკები სულ ახლავს ავი. თუ კი ამინდის პროგნოზს ვერ იღებთ ან აქ რადიოს ვერ გწვდებით ხმები, რად არ იყენებთ მაშ ხალხურ სიბრძნეს, ის არის მაინც ხელშესახები. ახლა მე რა ვქნა! არ როგორ მგზავრმა არ როგორ გლეხმა არ როგორ კლდემ რა ვქნა, მითხარით როგორც პოეტმა ლექსს ვით ვარგუნო მკითხველთა კდემა. მე ღირსებისთვის აქ შემოგყევით, რომ ჩემი ჰობი რაღა ტიტანა, ამ ლექსებს მარტო რა თავში ვიხლი, თუ არ მეღირსა ხალხთან მიტანა. დიდი ამბავი ზღვასთან ჭიდილში დავეცე ისე, როგორც მე გმირი, ამას, ძვირფასო, ვინდა გაიგებს ჩემს თავს კი არა სხვას უფრო ვტირი. ლექსებსაც მისი დავმართება, დაფხრეწს ან წყალი ან თევზთა რისხვა, აბა, მითხარი, ძმაო, პასუხი თუ მცდარი არის ჩემი შერისხვა. მართალი მითხარ, გულის სიმართლე ტყუილ უბრალოდ არ თქვა მზაკერული, თორემ ხომ იცი, სიბაიბურეს სცემს თავის ხელი მისვე დაკრული.“  
 ის მეუბნება: „რა ვქნა, პოეტო, საქმე არ არის მე ვხედავ, კოხტა, საუკუნეებს მსგავს ბევრი ახსოვს და ვხედავთ ეს დღეც ამგვარად მოხდა. განა ეს ჩემში სინარულს იწვევს, არა, ძვირფასო, არა არაფრით, ბევრი შემთხვევა მქონია მსგავსი ეს სულ სხვა არის თავის სიმძაფრით. ბედს დავმორჩილდეთ, აი ამ ტალღებს მივყვით და მოვყვით ნებად თავისსა, თავისუფლება კარგია, მაგრამ ღირსი მას თავად რაღა ავისა.“  
 მე ვეუბნები: „რას ამბობ, ძმაო, მეტის შეძლება ოცნება სხვა რა, ჩვენ სიცოცხლისთვის ვარსებობთ მხოლოდ მაგრამ სიკვდილი არა და არა. ჯერ ჩვენი ძალა არ დაგვიხარჯავს ჯერ დასახარჯი გვაქვს კიდევ წლები რომელსაც ჰქვია სიბრძნე ძალისა და ის რომ კაცით არს ნადგაწები. მომეცი საჭე... მომეც ნიჩბები, დაუყოვნებლივ, ახლავე, ჩქარა, ვერ დავნებდებით ვერაფრით სიკვდილს, მხოლოდ სიცოცხლე, სიკვდილი-არა! ჩვენს სიყვარულში დიდია ძალა, რაც იმას ნიშნავს, გვიყვარს მამული, სულ სხვაა მაინც მისი მშვენიება, დილით ცვარ-ნამით გადანამული, არა მენავევ, არ გვაქვს უფლება ზღვამ შეატოკოს ეგ ჩვენი გული და ჩაიტანოს მან თავის ფსკერზე ადამიანი, ვით სიბრაღული. არა, ჩვენ არ გვაქვს მეტი გზა, არა რომ წყალში ვძირით ეგ სიყვარული, როცა გულებში სიცოცხლე გვიდულს ამნაირ კარგ და ლეგენდარული. არა და არა სიკვდილი არა არც თვალხილული და არც ფარული ჩვენ ქვეყნად მხოლოდ გაფრთხილ იმისთვის რომ თან დაგვექონდეს გზად სინარული. არა, ვერ დავყრით, ვერ დავყრით ფარხმალს წამითაც, არ გვაქვს ამის უფლება ეს როცა მაშინ გამოკვეთილად სჩანს როგორ მოდის თავისუფლება. სიცოცხლე ბრძოლის არის ნაყოფი, უსიცოცხლობა ყოფნა ცხოვლისა, რამე თუ გრძნობა აშკარა ყოფნის და მასთან ნება მისი მოვლისა. არა ჩვენ მარცხსა რომ შევეგუოთ რაღა ქართველობა რაღა კაცობა ჩვენ სიცოცხლისთვის თავ უნდა დავდო რად ზღვას მივანდოთ ჩვენი ტაცობა.“  
 „მესმის პოეტო მე შენი მაგრამ თავს ზემოთ როცა არ არის ძალა მაშინ ეგ შრომაც მხოლოდ ფუჭია, აღარ სჭირდება ამ აზრებს მაღვა.

„მაშინ გამოდის წყალს ვნაყავთ ჩვენა და არა საკაზმს მეტ რაგა თვარა, არა გულ-მკერდზე ხელს ვერ დავიწყოთ, მხოლოდ სიცოცხლე სიკვდილი—არა. აღარც სხვა ნავი მოსჩანს წყვილიაღში, რომ გასაჭირი შევბახოთ ჩვენი, ჭირში თანდგომა ამ დროს ვაღია, ის იყოს თუნდაც ქვეშ მძვინვარე-მჩენი. თუმცა მოდი ახლა სიბრძნეს მოვუხმეთ: კაცს იხრჩობოდა თურმე მშლეელი, ღმერთს შეველა სთხოვა, ღმერთმა კი უთხრა: „ხელ გაანძრიე და გიშველიო.“ მართლაც, დაღლილმა ზავ დადებულმა კვლავ გაანძრია რწმენით ხელ-ფეხი, გადარჩა კაცი, ეგ სულ ერთია, იყო მხატვარი ან თუ ის გლეხი. ჩვენ კი ორი ვართ ერთით მეტ მასზე თუმცა ცალ-ცალკე სიკვდილი გვძახნის ასე რომ მართულ არ ვყოფილიყავ, მე ვიქნებოდი მკვდარი ეჰ, რა ხნის!“

„აქ ჩვენს დაღუპვას მე ჩემი მიჯობს, თქვენ რომ დაიხრჩოთ ეგ არის ცუდი, იტყვიან: „აღბათ, დაახრჩო ძალით, გამოებმება ამასაც კუდი.“

„კი მაგრამ რისთვის, ჩემო მენავე, თქვენი სარჩენი ხომ არ ვარ კაცი, ჩემთვის რადაცას ვცოდვილობ კაცი, სიყვარულს ვთესავ ლექსების მტაცნი. თქვენმა სიტყვებმა მე დამაფიქრა, გულში ხომ არ გაქვთ რაიმე მკაცრი, მე ჩემს ტკივილებს თავს არვის ვახვევ და სხვის ნათქვამზე წყალსაც არ გავცრი. ან დავალება ხომ არ გაქვს სხვისი რომ ეს ამბავი არის ბრალდება ვაჟკაცობაში არ ჩაითვლება ის, ვინც კაცს აგნებს, ვერ ამალღდება. ფულის სიხარბე მყველეფია კაცის, ფულში და განძში დევს შური დიდი, ეგრე რომ ეგლოთ იმ ჩვენს წინაპრებს, აქამდე გზასაც ვერ გაივლიდი. უხამს დროება ბევრი გვქონია, მაგრამ ჩვენ მაინც გაგვქონდა ლელო, ამიტომ არის, რომ დგას ქვეყანა და ეწოდება მას საქართველო. თუ კაცის ნიჭი კაცს ეშურება ასეთ შურიანს თვალში მახათი, არა მგონია ჭარბებულ იყოს, ჰა დიდი დიდი ჩვენ ვთქვათ ახ-ათი. თქვენს სპეტაკ სულში ეჭვს ვერ შევიტან არც თვალი გიჩანთ ეგრე ამხტარი, ნებიერი აქვს კაცს როცა ნება, მისგან არ მოდის საქმე წამხდარი.“

„თავს ჩემს ვალებს მე თვით ვავალებ, სხვა არვინა მყავს თავის თავდები, არა, პოეტო, გჯეროდეთ ჩემი, ამგვარად მე ვერ გაგიავდები. მაშინ ღმერთს როგორ შევსთხოვო ლოცვა, გადავიწერო როგორ პირჯვარი, და შეილიშვილებს თაობებს ჩვენსას ვით აუბრწყინდე მკერდზე ის ჯვარი. რაღა პასუხი ამისა, მაგრამ მსურს შევაშველო მწარეს ტკბილია, თურმე ბაბუის ჭმულმა ტყემალმა მისვე შეილიშვილს კვეთა კბილია. ცუდ საქმეს ცუდი აქვს დასასრული და ცუდის ჩამდენს თვით ღმერთი ხედავს ითმენს არ ატენს იმავ წუთს რისხვას, თუ არ ინანა თავს ატენს ზედ-ავს.“

„კი გეთანხმები, მენავე ჩემო, აქ ხომ გასართობ არ არის კლუბი, არცა-რა ნავში არ ვარგა ჯდომა, არც მენავესთან თან კიდევ ჩხუბი. გთხოვთ, მაპატიოთ, ბევრი შევტოპე, როგორც მე, ისე ამ ნავმა ზღვაში, მაგრამ რას ვიზამთ, ცხოვრების მეჯლისს უყვარს ხანდახან გადახრა ზღვარში. თუ ჩვენი ბედის ზრუნვა ეს არის, მაშინ მისივე იყოს ძღვენივე, მაინც ბრძოლაში დავეცე მინდა, ვიდრე შეძლება დავთმო ჩვენივე, ამას ჩვენ ხალხის ნება გვავალებს ამას ჩვენ მასის ნება გვპირდება ის რაც სიყვარულს მოაქვს ღირსება, სიყვარულითვე ის იკვირტება.“

მხოლოდ სიცოცხლე, მხოლოდ სიცოცხლე, სხვა არაფერი მენავევ-არა, მომეც ნიჩბები, დაღლილი სჩანხარ, გვიან არ არის სანამ მთევარა.

ა, ეს ლექსები შენ ჩაიბარე, ძმობას გაფიცებ თავზე მეტ მიყვარს, ორჯერ არ მომკლა ერთ სასიკვდილო, ზღვა თუ არ ნაპირს მაინს გაგერიყავს. იცი, ამ ლექსებს ხალხი გული აქვს მის ენერგიას ხალხი განაგებს და ეს ლექსები რომ დაიღუპოს, ჩვენც ჩვენი თავი გაგვაჩანაგებს.

არა ჩვენ არ გვაქვს ამის უფლება არცა სხვა რამ გზა არ მოგვცემს თმენა რომ დავმორჩილდეთ უაზრო სიკვდილს და ვეღარ ჩავწვდეთ მის აღმაფრენას.“ და ჩემს მენავეს მოედო ბრაზი და ის ზღვასავით აზვირთდა ერთობ, ზღვის ხმაურობა ჩვენს განსაცდელში რაღაცნაირად გვეცა და გვერთო.

არა ამ ნიჩბებს ვერ მოგცემ, ძმაო, არ შეიძლება ეს ამგვარ მოხდეს, ეგ დალატია ჩემი საქმისა, დაე, ნიჩბებთან მეც სულ აღმომხდეს.

ნავს მე მოფუელი, შენ ლექსს მიხედე დაფლილვარ, მაგრამ თავს არ დავზოგავ, გულ გაიმაგრე ღმერთს შეველა სთხოვე და ქარს მიეცი ზოგიერთ ზოგ-ავ.

„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა...“ ესე ხომ კარგად იცი ეგ თქმული შენა, ჩვენ გავიმარჯვებთ, ეს კარგად ვიცი, რადგან გულს მისით ამოაქვს ქმენა. განა პირველად მე ვარ ამ დღეში, მერამდენენა ვერ ვთვლი სათვალავს, სულ გამარჯვებას ვზეიმობ ბოლოს, დღესაც ის განცდა თავს ვერ დამალავს. ნიჩბებს ვერ მოგცემ, მაგრამ გთანხმდები სულით დავეცეთ არ გვაქვს უფლება, რადგან ეგ სული ცის არის როცა და მის წიაღში გულ გვეგულება.

გულს ნუ გაიტყვ, ბრძოლა ბოლომდის სანამ ჯერ მუხლი არ ჩაგვიხრია, ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ, მზის გამორჩენაც ამის ნიხრია. თუ დაბრკოლება საქმეს არ ახლავს, საკუთრივ რწმენა რის მაქნისია, დაბრკოლებასთან მიყვარს ჭიდილი და გულთან ერთად სულიც მისია.

განა ლექსები მოდის თავისით, მის შემქმნელს ხომ აქვს მიმშე-მიმშე იდეა, ნუთუ პოეტში ლექსის წერის დროს სულ სიწყნარეა და სიმშვიდეა? თქვენ ხომ გლლით ნება მიმწუხრის ჟამი და არცა გინდათ მას ყრუდ ემონოთ, გარჯით ირჯებით, მაგრამ ეგ გარჯა ხანდახან მაინც არს უდემონოდ.

ნუთუ არ მოგდით თქვენ გული, როცა ვეღარ ურითმავთ რითმასთან რითმას და ბრაზმორეულ ზოგჯერ თქვენ რისხვით იმასაც ფხრიწავთ, რაც როგორ ვით მას. გარეთ გამოხვალთ რომ თან დაწყნარდეთ, ან გარეთ თუ ხართ, თქვენ შეხვალთ შიგნით, ან ქალის ალერსს ბაგეს მოიხვევთ, ან ღვთის წინაშე წარსდგებით წიგნით. მეც ასევე ვარ, მარტო ვარ ახლა, როგორც თქვენ ლექსთან, ისე მე ნავთან, მე შემოძლია ვიცურო მარტომ, მაგრამ ვით ვიყო მართალი თავთან.

არ შემოძლია მე ლექსი ვწერო და ვერც თქვენ შეძლებთ რომ ნავი მართოთ, მთელ ჩემს ცხოვრებას ზღვაში ვატარებ, გზებიც მივლია მეტ უფრო ფართო. ჩემი ვაღია ვიბრძოლო მხოლოდ, სანამ ვიქნები მე თქვენის გვერდით, მე თავს ვუშველო, თქვენ აქ დაგტოვოთ, მაშ როგორ ვაპო ზღვის ტალღა მკერდით. ვიცი, გაგიგეთ, რაღა თქმა უნდა, რიონის ტალღა შეგინგრევთ მხარით, და სართულ-სართულ ზვირთთა ცემაში გაგიმარჯვიათ, ძმაო, სიცხარით. მდინარე სხვაა და ზღვაცა სხვაა, მსგავსება მხოლოდ მათი წყალია, ცალ-ცალკე მათ ზღავს გამოცდილება, თვინიერ, მაგრამ სამეწყყრაღია,

ეს არ მოხდება, არა, ძვირფასო, მე ჩემის საქმის მაქვს თავად ვალი, როგორმე მე თქვენ გადაგარჩინოთ და მე დავხუჭო თვითონვე თვალი. ვხედავ ლექსები უბეში გიღვეთ, მისი განბნევის არ არის პონტი, ნავს ჩაეჭიდე, ნავს ჩაეჭიდე, ვხედავ თანდათან სჩანს ჰორიზონტი. რაც ნიშნავს იმას, რომ ზღვა მდელვარე უნდა დაწყნარდეს და გახდეს მშვიდი დროც საკმარისად გაჯანჯლდა ჩვენი, ზღვაში მაინც ვართ საათი შვიდი.“

„მაშინ იმედი, მხოლოდ იმედი, სხვა არაფერი და ნამშეობა, აბა, დამთავრდა, მენავევ, ბრძოლა და ზღვაში რჩება დღემ შეობა?“

„მაშ, გალაკტიონ, სხვაგვარად როგორ, მაღლე ნაპირზე ფეხს მოვიკიდებთ, ზეიმზე თვით თქვენ წარსდგებით ლექსით, სახალხო საქმეს რადგან ხელს ჰკიდებთ. ჩვენს ბედს ამ ნავის ამაგიც თან დევს, გამოაჩინა მაღამ-იანი, როგორც ჩვენ ყველას გვაერთიანებს საერთო ცნობით ადამიანი. მაგრამ ჩვენ ყველას გვაქვს კიდევ ძირი, გვარი სახელი აფ-კარგ სიონი და მე არ ვცდები, დღეიდან ჩემს ნავს უნდა ვუწოდო „გალაკტიონი“.

ხომ კარგად ვამბობ, პოეტო, ამას ვფიქრობ, შეცდომა რაღა ამისა, დღეს სიდიადე ყოვლის მცველია, ვიდრე სინათლე მაინც დამისა. რა ჩაგაფიქრა, მგოსანო, მითხარ რაც ვთქვი, იმისი ან კარგ ან ცუდი პატივისცემა თქვენი რომ არა მე ამ ზღვას ცხრაჯერ თან გადავცურდი. ნავს ორივე მხარეს წარწერას ვუყოფ ფართოდ და ყველას დასანახავად თან თქვენ პორტრეტსაც ზედ ამოვტვირთავ არა უბრალოდ ას ან არ ავად.

„მაშ, თქვენს ნავს სახელს ნავს ჩემს მიაკუთვნებთ და მას ერქმევა „გალაკტიონი“.

„ხომ კარგად ვამბობთ ამას, პოეტო და რასაც ვამბობ, ეგ არს სიონი. მერე, მგოსანო, ვინც მას შეხედავს, იტყვის თავისთვის „გზა მშვიდობისა“, ეს ნავი გახლავთ „გალაკტიონი“ მეფე-პოეტის სახელობისა, ჩვენ დავამთავრებთ მაღლე მგზავრობას, ზღვა უკვე ცხრება მშვიდდება ვატყობ, მე უკვე ამის მაქვს გარანტია და მეც მაგიტომ ჩიტივით ვბარტყობ.

თქვენ ჩაბრძანდებით, ნაპირს ფეხს დადგამთ და ოვაცია დაგფარავთ ხალხის, თქვენს სიყვარულში გაჩნდება ძალა ძველი კი, მაგრამ ის მაინც ახლის.

თქვენ ჩაბრძანდებით, მაგრამ აქ ნავი, რაღა თქმა უნდა, მენავის მსგავსად, ისევე გააპობს ზღვის ტალღებს ურჩად ნავ „გალაკტიონ“ ზღვაში კვლავ თავსად. თქვენ ჩაბრძანდებით, მაგრამ თქვენ ისევე ამ ჩემს ნავს შიგნით კვლავ ისევე რჩებით და ჩემთან ერთად, რაღა თქმა უნდა, თქვენი სახელით, თქვენი დიდებით. ნავში მჯდომით ამაყ ექნებათ გული ასკეც მეტ უფრო ვიდრე აქამდე, ამით კვლავ სახელს მოიხვეჭთ დიდსა მიწაზე ფენდგმულ, მაგრამ მფრენ ცამდე. კი, მართალია, აგრე სასწაულ იშვიათია დღესთან ეგ ღამენ, რადგან ის, ვინც კი ცოცხალი არი ღირსიც რომ იყოს ძეგლს, არ უდგამენ.

„ცოცხალს დიდებას არვის ასხამენ, რომ ის ცოცხალი არ გატრახდეს და მისი ნება ფურცლად ნაკინძი, არც თუ ეგრე რიგ დაუთახანდეს. მე კი მგონია ეს კი პირიქით, სიცოცხლე მგოსნის ეგ არის შვება, რომ განაღლისდეს და მეტი შექმნას, რაც შეუქმნია – არ მოეშვება.“

„სწორი ხარ, ძმაო, სწორი ხარ ძმაო, მეტ შეგონება ვისთან რა ვისა, კაცის ქება და კაცის დიდება იყოს დამნახავ თავის თავისა...“



გაცოცხლოს ღმერთმა, მე გამახარეთ ამგვარი სიტყვა ჯერ არვის უთქვამს, თქვენ პირველი ხართ, ვინცა შენიშნეთ ცოცხალ ხელოვანს რაც ჭირი თუთქავს. და მაშ დღეიდან ამ ზღვას, ამ ტალღებს გადაუქროლებს ნავი ასეთი, სახელით ჩემი: „გალაკტიონი“ და თქვენით კიდევ მისებრ მსგავსეთი.“

„ჰო, ჯერ ეგ ნავი, შემდეგ ეგ გემი, შემდეგ და შემდეგ დიდ-დიდ სახეთი: ქუჩა, უბანი, ალბათ ქალაქიც თქვენი სოფელიც იქნებ დამხედი.“

ის იყო ცოტა ამოვისუნთქე, რომ ისევ უცებ ავარდა ნავი, ისევ გააფრთდა ტალღები ზღვისა ამ სინარულთან კვლავ გულსაკლავი.

„მე თუ ეგ საჭე დავიმორჩილე და ჩემს ჭკუაზედ ვატარე ნავი, მაშინ სად არის აქ კაცის ნება გამომხატველი ვითარცა მზღავი. მე ჩემი გულის ამ საიდუმლოს შენ გეუბნები, სხვა ვინ მყავს აქა, კარგად იცოდე, თავისუფლებას ფეხის უფლების თან ახლავს ბაქვა. საქმე სიბრძნეა? მაშ კარგი, ძმაო! მაშ, ჩემი ნებაც ჩასთვალე დუბლი, რომ ჯერ არ ვარგა ნავში ჩაჯდომა და მენავესთან შემდეგ კი ჩხუბი.“

„ღიახ, მენავეე თავისუფლება კარგია მასაც სჭირდება მართვა, ბედის ანაბარ მიშვებულ საქმეს კაცის გონების მიათრევს ჩართვა. თავისუფლება იმას არ ნიშნავს, აღარ ვიცოდეთ ვინ – ვის და რა – ვის, ქვეყანას მართავს კონსტიტუცია და მარჯვე გონი სიჭაღარავის. დრო მოვა ჩვენთვის, დადგება ეგ დრო, მეც თან მწადია მოვესწრო ამ დღეს, გონიერებას გონ ახშობს ზოგჯერ და თვალის კიდევ ტრიალებს ამდენს. ზღვა კი არ ცხრება, გვიტევს და გვიტევს საკბილო უკვე გამხდარვართ მისვე, ხან ნავიანად აგვისურის მაღლა და ხანაც დაბლა ვეშვებით მყისვე. ვებლაუჭებით ნავის კიჩოებს მე უფრო აქეთ, მენავე იქეთ, სასოწარკვეთა ორივეს ერთად გვექედმალება თავის განმქიქეთ. ახლა საუბარს აღარ აქვს აზრი, ჩვენი ძახილი მინდვრად ისლია, ნავი ეს-ესა ივსება წყლითა, გარშემო ამ დროს მხოლოდ ნისლია.

„ცურვა თუ იცი?“ – მკითხა მენავემ – ეს დაგვრჩენია ახლა თავდები, თუ არა, ძმაო, მორჩა, გათავდა მეტს დღეს ვერაფერს ჩვენ ვერ გავხდებით.“

„მაშ, უბლურნი ვართ ისევ ამ ზღვასთან და შევურიგდეთ ბედს ამნაირად, არა და არა, არა და არა, ღვთის გულისათვის, მაგრამ აი რად.

ცურვა თუ ვიცი? – ოხ, ღმერთო ჩემო კარის მეზობლად რიონი მემხვრის რიონი ჩემი ფარშევანგია როგორც შოლტია საგზური მესხის.“

„არ შეგეშინდათ?“ – ეგ ჰკითხა დედამ – ო, არა, დაო, რის შიში დადლა, პირიქით, რაც ზღვა თავისკენ გვითრევს უფრო გვიმაგრებს ცა გულებს მაღლა. უფრო ვმაგრდებით და უფრო მეტად ვიბრძვით სიცოცხლის გადასარჩენად, მაშინ როდესაც ზღვის ორმტრიალს შევჩერებივართ მხოლოდ არ ჩენად.“

„თუ ცურვა იცი, ნუ გეშინია, ზღვა ვერ გაიტანს თავისას მაშინ, ჩვენ გავიმარჯვებთ მასთან ჭიდილში და მიგვიწვდება თანდათან ხმა შინ. თქვენი ლექსები მივა ხალხამდე, მასთან გულებში დაიდებს ბინას, წიგნს რომ გამოსცემ, ამ ახალ კრებულს მეც ხომ მაჩუქებთ ერთ-ერთის წინას?“

„გაჩუქებთ, როგორ არა, გაჩუქებთ მე ხალხისთვის ვქმნი ამ ჩემს შედეგებს, მე ხელნაწერი მეყოფა მარტოს, თუ არ ეს განცდა, რაღა სიბევრეს.

მინდა გუღნადებ გაგანდო ჩემს ხალხს და ეგ ნაფიქრალ სინათლედ სჩანდეს, ამისთვის ვიღწვი, ძმაო მენავევ, ამისთვის დავდევი სიზმარშიც ლანდებს. გაჩუქებ, როგორ არა, გაჩუქებ, ჩვენ ზღვა და ნავი ჩვენ და რიონი, არც ავტოგრაფსა არ დაგზარდებით, ჩემგან ხელწერით – გალაკტიონი.“

„მაშ, გმადლობ, ძმაო, წინასწარ მინდა გადაგიხადო მადლობა დიდი, ჩვენი შეხვედრა, ალბათ, ხმელეთზე ძვირფასზე ძვირფას იქნები მზიდი.“

„ვხედავ მენავე მამხნევეებს ამით და სიურპრიზსაც მიმზადებს ვითომ, მის გუღთან ჩემს გუღს აძლევს იმედებს, როგორ მოვიქცე მე ახლა ხვითომ.“

მენავემ რაც რომ მითხრა თავისი, კიჩოს ხელ ვუშვი მითხრა: ვერ ხვია.“

ვუთხარ: „გაცოცხლოს ღმერთმა, ძამიკო, ჩემი მუხა ხარ ჩემი ვერხვია“.

რაღა თქმა უნდა მეცა მაკოცა ერთი თუ ორი კარგად არ ვიცი მაგრამ კოცნაში იდო საუნჯე აქ მეგობრობა როგორც საფიცი. ამასობაში დაწყნარდა ზღვაცა და ნავიც დადგა თავის დონეზე, ამოაქცია მენავემ წყალი დაღლილმა, მაგრამ მაინც ღონეზე.

„დავსველებულვართ!“ – მითხრა სიცილით და მის გრძელ სიცილს აფყვი მეცა, რადგან მასავით მეც დავსველებულს, სამოსთან ერთად ლექსებიც მეცა.“

„კიდევ კარგი, რომ ლექსები ხელთ მაქვს და ერთი წვეთიც წყალი არ ცხია, რას იზამ კაცის ცხოვრება მუდამ ყოველ ნაბიჯზე მაინც მარცხია. მადლობელი ვარ ახლა ღმერთისა ნაპირისაკენ გვიჭირავს თვალი, ხმელეთი, ძმაო, მაინც სხვა არის ერთ-ერთ პლანეტად თან მისათვალთ.

„დავსველებულვართ! – ვუთხარი მეცა და მეც ამიტყდა სიცილი ამით, თუმც ჩემი გული მენავეს მსგავსად არ მოჭარბებულ იყო სიამით.

„და მაშ, ძამიკო, გადავრჩით ჩვენა და ზღვის მუქარა აღარა გვერჩის.“

„ო, არა, ძმაო, ამ წუთის ფასი ჩვენ მეტს ზღვის ტალღებს აღარა შეგვჩრის. გთხოვთ დაიმშვიდოთ თქვენ გული უკვე, ნავს ვიმორჩილებთ აი, ხომ ხედავ? თავისუფლების შიგნით მუხრუჭებს თავის ხვედრი აქვს მაინც მომხედავ. თავისუფლებამ თავის წართმევით არ უნდა ჰვიოს უმართაობა, თორემ რა, ძმაო, მაშინ გამომვლელ აი, ამ გზაზე რაღა თაობა. ამ ხნის კაცი ვარ, ასეთი რამე არ მახსოვს ამგვარ, რომ შემხვედროდეს, ეგ პირველია, ალბათ, თან ბოლოც ჩემგან მეტ თქვენცა არც რა გესმოდეს.“

ვხედავ მენავე დაწყნარდა როცა და მე ოდნავად მომეშვა გული, მე ვეკითხები მენავეს მშვიდად: „სად ვართ ადგილი მითხარით სრული.“

მენავემ მითხრა: „თვალმა გვიტყუა და მის მაგიერ რომ დაგვესვენა... მაგრამ გადავრჩით, რაც მთავარია, მის სალოცავად აგვიდგამს ენა. აქ ამ ადგილზე ზღვას რიონ ერთვის, აი დახედე შესართავ ზღვისა, რამეთუ ჩემი ნავის ჭიდილი რამ თუ დელტად თქმულ გასაღანძღვისა.“

„და მაშ ჩვენ ახლა შესართავთან ვართ და ეგ წყალია ახლა რიონი? ნაღდად შემიცნო მე მისი სწორი, მაშ ვინ გგონიათ გალაკტიონი. ხელი გადავყავ ნავის კიჩოზე და წყალს თითებით გავეტყლაშუნე, რა თბილი იყო ეგ მოფერება, ახლაც სიამეს მგვრის მისი ჰუნე.

ის მეუბნება: „რაღა ჯერ არის ეგ გზა განვლილი თავის გზას არ თვლის, მაშ, უდიდესი დედა მდინარე საქართველოში სად არის ქართველის?“

„უდიდესია და თან მკვიდრია მის თავ-ბოლო და გასწვრივ წელი, იგი ჩემს ეზოს ნახევრად ავსებს ორივე ერთად ვართ მასპინძელი. ვინ იცის ჩემ წილ წყალი ნაშხეფი ამ ზღვაში ახლა რამდენ წვეთია, გამომიღია სახლის ფანჯარაც, რომ მის ბუტბუტში დამე მეთია. ახლა კი, ძმაო, ნამდვილად, ძმაო, ნავით რიონის ტალღებზე ვდგავარ, მისთვის დამწვიდდა ეგ ბედნიერი, შემეცნო მის ძველ მეგობარს ვგავარ.“

გალაკტიონმა კვლავ ხელი ჩაჰყო, მოეალერსა ბავშვივით ტალღებს: „ეგ იყო ჩვენი სანახაობა, თან სიყვარულით გემოდღვრავდა ბაღლებს. ჩვენ კი შინ გული, როგორ დაგვიდგეს ვიყოთ უძრავად არ მარჯვედ შინა, როცა ქართული დედა-მდინარე დასავლეთისკენ მიიწევს წინა. ევროპა ჩვენი სისხლ-ხორც კუნთია, ცრემლ მოიწმინდა, მე კი არ ვტირი – მაგრამ ამქვეყნად უნდა ვიცოდეთ, ის არის ჩვენი ორიენტირი. სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა კულტურა ადამიანთა არის ჟამიერ, ჩვენ მათი ენა უნდა გვესმოდეს და მათ კი ჩვენი „მრავალჟამიერ“. მაგრამ აქამდე ჯერ რომ მივიდეთ, უნდა გავწყვიტოთ ჯაჭვი ეული, მერე იქუხებს თავისუფლება ეგრე ნანატრი და ღირსეული.“

ამბობდა ამას გალაკტიონი პატარა ბავშვი და ბუმბერაზი, წყალში კი იღბა ის ნავში, მაგრამ მაინც თვალებში უჩანდა ვაზი. „მენავემ მკითხა: „მაშ მტკვარი რაა, თავისი სიგრძით უდიდესია, ისიც ხომ ქართულ მიწას ასველებს, თბილის-ქალაქის მაინც მწყემსია. „კი, როგორ არა, ჩემო მენავევ, სწორად ახსენით თქვენ ეს მისია, მაგრამ რიონის ნახევარ ძმაა მისი თავ-ბოლო სხვა სასმისია. და ისიც მიყვარს, როგორ არ მიყვარს, მტკვარიც ჩემი დღის მარადისია, თუნდაც იმიტომ, რომ მრავალ ომის თვითონ მომსწრეა მტკვარი ეული, მასში რამდენი მეზობლის სისხლი არის ჩადვრილი და დანთხეული. დიდი მდინარეც თუმც რაა აქა, პატარა ფშანიც ჩემთვის დიდია, მე ყველა მიყვარს, ის რაც მკვიდრია, ის რაც ჩვენია, ის რაც რიდია. მოკლედ რომ გითხრათ, მე ასე ვფიქრობ: ია-მტკვარია, ვარდი-რიონი და მეც მათი მზე ამომავალი, მათი მგოსანი გალაკტიონი. ახლა ჩაფურთავ პატარა ამბავს, არა იქნება თქვენთვის საწყენი, მერე განვაგრძობ მენავის ამბავს, რა ვქნა ის არის ნავზე ნამყენი.“

„კი გალაკტიონ! კი გალაკტიონ!“ – დიდ სიყვარულით დასთანხმდა დედა, საუზმე ლამის გადაგვავიწყდა, ცხრათვალა მზემაც თან შემოგვხედა. „აგერ კი გზა-გზა რომ მოვდიოდე, უცნობ მდინარეს მოვადექ ჩვენ-ჭებს, წვიმის მდინარეს მოჰგავდა იგი, ძლივს ასველებდა პატარა კენჭებს. მოდიოდა და მის სიწანწკარეს რბილი საამო მოჰქონდა ხმაცა, შეგჩერდი ერთხანს, ვუსმენდი იმას, მეც მომანდომა ლექსების თქმაცა. ვიკითხე: „კაცო, რა მდინარეა? დედის ხმა რომ აქვს იავნანური? მითხრეს: „რიონის შენაკადია მისი სახელი გახლავთ ბანური!“

უყურეთ ხალხის აქ სიბრძნე სად სჩანს, სად გამოსჭვივის მათი ღირსება, ალბათ, როს ხნავდნენ, მათ ბანს აძლევდა ეგ მშვენიერი დროის თვისება. და ხალხმაც მასაც ბანური არქვა, როგორც მრავალ სხვას შესაბამისად,

თან მეც მოყვები მე მათ სიყვარულს, ლექსიცა ალბათ გაჩნდა ამისად.  
 მე და რიონის ამ სიახლოვემ მენავე ცოტა შეაკრთო კიდევ,  
 ეს მივხვდი მაშინ, იმ ღროს, როდესაც მას დაეხატა სახის სირიდეც.  
 ნეტავ რაიმე ხომ არ ვაწყინე, აბა ეგ ჩვენი რაღა რიდობა,  
 საზეიმოდ გვაქვს ჩვენ უკვე საქმე, რადგან გულებში გვიდევს მშვიდობა.  
 ვფიქრობდი ჩემთვის და გვიან მივხვდი, არ მომივიდა რომ კარგი თქმული,  
 რადგან რიონით ვთქვი გადარჩენა, ხოლო მენავეს დავწყვიტე გული.  
 „ისე, თქვენც ბევრი გასწიეთ ჯაფა, თქვენი სიმარჯვეც რომ არა ერთობ,  
 ვერ მივადწევიდით, ძმაო, ამ შედეგს, არ გვექნებოდა აზრი საერთო.  
 ჩვენ ამ ტრიალში ზღვაც უფრო მოდგა და ეგ შეცნობაც თან გონით იგო უბრალოდ  
 რომ ვთქვათ, ჩვენაც გაეუგეთ მდინარე-ზღვამაც კარგად გაგვიგო.“  
 ჩემმა ამ თქმულმა მენავე უცებ გამოაცოცხლა, ღიმილი მოსდო  
 და ერთმანეთში დავბრუნდით ისევ განურჩევლად ვითარცა დოს-დო.  
 „მაშ, ამ მდინარეს რომ შევყვით აღმა, ჩვენ თქვენს ეზოში შევიართ ნავით,  
 თუ ისე შორ-შორ თვალს გადავაფლებთ და ჩვენს გულებსაც დავაცხრობთ ამით?“  
 „ღიან, მენავევ, ამ მადლს თუ იზამთ, ჩემს მასპინძლობას განახებთ იქა,  
 იქ გამარჯვების და გადარჩენის ჩვენ ერთ სასმისად ავწიოთ ჭიქა.  
 იქ ჩემს ეზოში, იქ ჩემს რიონთან ნავი დავაბათ, ღიდ კაკლის ხესთან,  
 რომელსაც ფესვებ ზოგ წყალში უდგას, ხოლო ზოგ კიდევ მიწაზე დღეს თან.  
 რიონი ჩვენი ისტორიაა, რამდენის მნახველ, რამდენის მომსწრე,  
 კაცობრიობის დასაწყისიდან იცის სად ჰქონდა ყოველგვარ ომს წრე.  
 ყველა წარსული დღეს მის გულშია, ახლა ეს მთებიც ამგვარ რომ ყრუდ დგას,  
 მაგრამ მდინარე მაინც სხვა არის, ის მოძრავია და სული უდგას.  
 ბევრი რამ იცის რიონის ტალღამ, მაგრამ რაღა ეს თქმული არ თქმული,  
 დღეს კი რაც მისი სახსოვარია, ეგ არის ჩვენი სიტყვა ქართული.  
 ღიან, რიონის მადლი ეს გახლავთ, რაც ესე უფრო თან ნატყობ ცნილი  
 რომ ევროპაში ჩვენი სამშობლოს რაცა გვაქვს სიტყვა თან გატყორცნილი.  
 ჰო, ამ ზღვაშიცა გენი ქართველისა სახე პატარა და ის სახ დიდა,  
 ენა რომ ჰქონდეს, ამ ყველაფერთან ის ჩვენ ბევრ სათქმელს ფარდას ახდიდა.  
 მაგრამ რაც არის, აი ეგ არის, ნუ დავაყვედრით ამ ჩვენს ცხოვრებას,  
 მის ღიად შევბას, მის ღიად ნებას თვითონ უფალი ემაცხოვრება.“  
 ის იყო ვუთხარ მენავეს ჩემი მეტ კიდევ სათქმელ რაღა მრჩენოდა,  
 რომ გამოიღო ჭინჭილით ღვინო, რომელიც აგრე გადარჩენოდა...  
 „ეჰ, ღვინო ქართველის თანმდევი მადლი, ჭეშმარიტების ზომა და წონა,  
 წინდახედული ყოფილხარ, ძმაო და ჩვენც გავმხდარვართ დღეს მისი მონა.  
 აი, ამ ფიქრში ვიყავი ახლა გასამხნევებლად რომ მესვა ცოტა,  
 მაგრამ ჩემივე ნაფიქრალ აზრი კვლავ გულში დამრჩა უაქცენტოდა.  
 მადლობელი ვარ, რომ ქართველ კაცში ისევ და ისევ ღვივის მარცვალი  
 და არ იკარგვის, რაც წინაპრებმა მტერს არ ანებეს, თან საძარცვალი.  
 მადლობელი ვარ, რომ ქართველ კაცში სიტყვა უშურველ გრაგნა მთებია  
 და ვით ქრისტიანს, ჩემო მენავევ, გონება ღიდად გაგნათებია.  
 სხვა რაღა არის, მითხარ, ქართველი თუ არ ღირსება მისი მწვედენია,



იმ სიყვარულში რაც მოგვაქვს დღეს ჩვენ ხვალის შეძლებაც რაოდენია.“  
ვამბობდი ამას, ჩვენი მენავეც თავის კანტურით ხვდებოდა ჩემს თქმას,  
ჭინჭილა ხელში ეჭირა სავსე, სხვას რას ვეტყოდი მითხარით მე მას.  
ასე ამნაირ თავდახურული, როგორღა იყო ნეტავ ჭინჭილა,  
რომ ღვინის წვეთიც არ დაქცეულა და ფერიც მისი აქვს ვით ჭინჭ-ლილა.  
ვუთხარ: „რაც არის, ძმაო, ქართველის გზა და რაც იყო იგი აქამდე,  
არ გვაქვს უფლება გენს პატივ არ ვცეთ და აღმის ნაცვლად დაღმა დაგვჩანდეთ.  
აღმაშენებელ ხომ იცი, ძმაო, ჩვენი დიდების შარავანდელი,  
მეფე, რომელმაც ჩვენს საქართველოს უჩვენა გზა და მას მისცა ბედი.  
ამიტომ არის მის გეარს საწყისად ახლავს მას სიტყვა მშვენიერ აღმა,  
თორემ რა სჭირდა ბაგრატონსა რომ გასულიყო ამისთვის გაღმა.  
ხალხის შერქმეულ დღეს მის წოდებას აქვს დიდ ძალა ღვთის და ერისა  
და შეცნობილი სიცოცხლის გემო დღეს მისგან მქროლავ არს ჰაერისა.“  
მეთანხმებოდა მენავე ხშირად: „სწორია ძმაო!“ – ამბობდა აგრე  
ისე გამჭრიახ და ისე სათნოდ, თითქოს აედო ციხე-სიმაგრე.  
მერე ჭინჭილა დაბლა ეჩვენა ასწია მადლა ცხვირწინ ას-უფრო,  
ამ სიმაღლეში იდო ის გული უფრო სასტუმრო უფრო სასუფრო.  
„ჩვენ გადარჩენას დავლოცავ, ძმაო, რიონ მგზავრობა მივანდოთ სხვა დროს  
დე, სიყვარულმა სამშობლოს ჩვენმა აქ დაეგანოს სიცოცხლეს სამკედროს.  
იყოს დღევრძელი მუდამ ყოველთვის ეგ სადღევრძელი ქართველის სართველო  
და მის წიაღში აღმოცენებულ, ძმაო ძვირფასო, თან საქართველო.  
მე ბოდიშს გიხდით, ძმაო თავიდან ვერ შეგიცანით ვინც პოეტ-მეფე,  
მაგრამ რაც მოხდა ამ შეცნობაში, დღეს უკვე სისხლი გვიდუღს მომჩქეფე.  
ისე თქმულია, რომ ჭირი ყოვლის ადამიანებს სძენს მეტ სიმაგრეს  
და ჭირში ეგრე განაწრთობ გულსა ვედარასოდეს ვერავინ ანგრევს.  
მე, როგორც მკითხველს თქვენს თავყანმცემელს და ჩემი სიტყვით თქმულსა ენავეს,  
ემახსოვრებით მის სიცოცხლეში კიდევ ერთ ქართველს და ერთ მენავეს.  
თქვენ გადღევრძელებთ, თქვენ იღღევრძელებთ ქართველის იმედად დღეს გალაკტიონ,  
მე ვიცი ისევ ჩვენ კვლავ შევხვდებით და გზას შევეყვებით ჩვენ რიონ-რიონ.  
ღიან და ღიან, შეხვედრაშია ხალხთ სიახლოვე, რწმენა თვის ტომთა  
და ის ღირსება ერის წინაშე, რაც რომ გვწაღია ურთიერთ მდგომთა.  
შვება და შველა ერთობაშია ცალ-ცალკე, მაგრამ მაინც ერთ მდომთა,  
რადგან სიკვდილი თავს გვიახლოებს, მაგრამ ხვედრია ის მაინც მკვდომთა.  
რა ვუყოთ ცოტა ზღვამ შეგვაშფოთა, ხიფათი ესე არს ყველგან – მჩენთა  
მაშ, ალავერდი შენთან ვარ, ძმაო, ბედნიერ იყოს გადანარჩენთა.“  
მენავე შვებით ამ სადღევრძელს ამბობდა და თან სვამდა ყლუპობით,  
რადგან ხანდახან თქმულ სადღევრძელო, ალბათ სამზე მეტ უყო უბნობით.  
მე ჩამოვართვი სასმის თამადას სამ-სამი ჭიქის რაღა ვერსია,  
ვუთხარ: „ძამიკო, ჩვენი ხვედრია რომ ჩვენს მინდვრებში იცვლის ფერს-ია.  
მეც ვუერთდები თქვენს სადღევრძელს დასამატებლად ჩემგან რა ღვთის,  
მსურს შემიძლია თქმულ განვამტკიცო გულით ჩემით და სულ მნათითა.  
იყოს დღევრძელი ამ მიწის მადლი, რომლის ხვაშიად გარს გვეგარსება,

და, რა თქმა უნდა, წყალსაც თავისი ჩვენს სიცოცხლეში შეაქვს არსება. „ამინ, დღეგრძელი! – მითხრა მენავემ – მისი დასტური ჩემი სიტყვისა, ამით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა ჩემი მენავეც მეტს ვერ იტყვისა.“

„სიზმრის თუ გჯერათ?“ – ჰკითხა მას დედამ – ამ შეკითხვაში დიდ იღო სიბძნე, დედას შევატყვე უხერხულობა ან იქნებ ეს მე უბრალოდ ვიგრძნე.

„ზოგიც მჯერა და ზოგიც არ მჯერა! – გალაკტიონმა წვერს ისვა ხელი, თან თქმულს სიცილიც ამოაყოლა და თავისთავის კიდევ სახელი.–

„წინასწარ მან რომ რაიმე გვამცნოს, ამის დასტურად ვერ გამოვდგები, მაგრამ არც კიდევ ვინი მკლავს იმის, რომ აზრები მაქვს ზოგ ამომდგები. ზოგ-ზოგ ემთხვევა ჩვენს გულის ნადებს და ზოგ-ზოგიცა რაღა მწერ-ინა, შარშან კი ამ დროს, თავს გეფიცებით, სიზმარმა ლექსი დამაწერინა. ვწერდი სიზმარში, ისე ვით ცხადში, იმდენ ძლიერად, რომ ვეღარ ვდუმდი, ცხოველ ინტერეს გაღვიძებულმა, უნამდვილობას ძლივსდა დავრწმუნდი. მაგრამ უმაღლე ხელ ფანქარს ვტაცე, ჭრაქი ავანთე, ქაღალდიც გნახე და ის, სიზმარმა რაც მიკარნახა, მე აღვადგინე პირვანდელ სახედ.“

„ეს მოკარნახე ვინ იყო, ძმაო? – კვლავ ჩაეძია დედა მის თქმულსა.

„ანგელოზები, ჩემო დაიკო, სხვა მეტი ვინდა გახსნიდა გულსა. ო, ასე იყო იმასთან ესეც რაც მრავალთაგან მახსოვს ეს ერთი, ალბათ, იმიტომ რომ დღისით მზისით ბევრს ვმუშაობდი და ბევრსაც ვწერდი.“

დედას ამაზე არ უთქვამს რამე, პოეტის სიტყვებს ჩაწვდა სრულიად, თან უხაროდა თავისიანთან რომ სტუმარიცა იყო გულ-ღია.

ცოტა ჩაღუკმა გალაკტიონმა მჭადი თავისი ჭყინტი ყველითა, კმაყოფილ იყო ის ამ შეხვედრით აქ ამ რიონის მინდორ-ველითა. მე მივაწოდე ჭინჭილა პოეტს, ერთიც მე ჩემთვის ვიტოვე ხელში, გამიწყრა დედა: „შენ არ დალიო, შვილო, გაგტეხავს შენ იგი წელში.“

გალაკტიონმა თვალებით ფართოდ ჩაიღიმებდა ცმაცუნით ტუჩის, ალალი სჩანდა სრულიად იგი, თვალთ გამოხედვა არ ჰქონდა ურჩის.

„არა, არ დაღვეს ეს დედის რიდით და რა თქმა უნდა პოეტის ხათრით, არ ჩაგვეთვლება ჩვენ ვაჟკაცობად კაცი და ბავშვი თუ ერთად დავთვრით. მაგრამ ალავერდს, შვილო, შენთან ვარ მომიჭახუნე სასმისს სასმისი, დასაბამიდან მოგვდგამს ეგ წესი, საუკუნეებ რაღა ას-მისი.

მაგრამ თამადა შენ უნდა იყო, იტყვი და მოსვამ იტყვი და მოსვამ, ჩვენ მერიქიფე აღარ გეჭირდება, აქ მერიქიფედ უკვე ჩვენ დროს ვსვამთ. მაგრამ თამადა შენ უნდა იყო, ჩემ ამ შეხვედრის ხარ ამკინძველი, მეორე კიდევ, მე სტუმარი ვარ და ამავე დროს შენ მასპინძელი.

მასპინძელი ხარ, თანაც როგორი, შენ უნდა იყო აწ ხვალ დღეგრძელი, თოხში შემცვლელი რაღაა მარტო მამას თამადაც უნდა შემცვლელი.

ზუსტად ისევე ეს როგორც პოეტს, ზუსტად ისევე ეს როგორც მხატვარს, ზუსტად ისევე, როგორც დღე-ღამეს ზუსტად ისევე, ვით ნატვრა-ნატვრას.

მასპინძელი ხარ, გეკუთვნის, შვილო, მაგრამ ბავშვისთვის ღვინო-შერთობით როგორც წამალი, არ როგორც ღვინო, ერთი შეხედვით გზივართ ვერთობით. დედას სიურჩე მოედო ხვედრის: „კარგი ვნახეო წუხელ სიზმარი:

„თქვენ თქვით პოეტო, მეფე-პოეტო ბავშვს სადღეგრძელო რაღა მის დარი.“  
 მხოლოდ ერთი სთქვას და მეტი არა იმ ერთ თქმაშია იქნება ძალა  
 არ მიმაჩნია არც მე გმირობად ბავშვისგან ის თუ არ დაიცავდა.  
 თქვენი სოფელი ახლა ვარციხე თავის სიძველეს იკვებნის კიდევ,  
 „როდონ“- ვარდიო „პოლის“-ქალაქი „როდოპოლისი“ ვარდციხედ მზიდე.  
 ეს სახელი რომ ბერძნული არის, ქრისტიან დგმის და ქრისტიან თქმისა  
 და ამიტომაც წარსული ჩვენი ნაჩუქარია მბრძანებლად ღვთისა.  
 აი, აქედან მოსჩანს კიდევაც მის ნანგრევებში რაც ცის დარია,  
 ვინც ამ სიძველეს დღეს პატივს არ სცემს, ასეთი კაცი მისთვის მკვდარია.  
 ეგ ჩემი გულით ნათქვამი სიტყვა ჭეშმარიტების ვარდ და ია-რის,  
 რამდენ ვაჟკაცის მის ბებერ ლოდებს სისხლი აცხია რამდენ იარის.  
 ენა რომ ჰქონდეს, რამდენს იტყოდა, ვერ დაიტევდა წიგნი ვერც ასი,  
 ამიტომ არის დღეს რომ ეს ქვეები თავისი მრწამსით არის ძვირფასი.  
 უნდა გვიყვარდეს, შეილო, სიძველე სულ ამ სიტყვის ვარ მთქმელი, ძამიკო,  
 მე პოეტურად ვამბობ ამ სიტყვას, შენც პოეტურად უნდა გამიგო.  
 ალავერდი ვარ აბა, ძამიკო... მეც თან სიყვარულს დავყვები გზაზე,  
 ჩვეულება მაქვს უფროს და უმცროს ყველას ძამიკოს ვეძახი ასე.“  
 „მაშ, გაუმარჯოს! მაშ, გაუმარჯოს! მეფე-პოეტო ხვედრს იმ მიწისას,  
 რომელი მიწაც აწ და მარადის თავის ღირსების საფუძველს იცავს.“  
 „ასე, ძამიკო, ასე, ძამიკო, შენ შემოგველოს პოეტის თავი,  
 თუ არ დღეს შენგან სიტყვა კეთილი მეტ შესახვედრად რა უფრო ავი.“  
 „ეს გაუმარჯოს ამ დედა-მიწას რომელიც გვზრდის და გვპატრონობს კიდევ  
 მადლი ღვთის ნებას რომ აგრე წესი შემონახული დღეს აქვს სირიღეს.  
 ეს გაუმარჯოს იმ დედა-მიწას კვალ უმჩნევია სადაც დღეს შოთას  
 და მოლოდინით ის გაზაფხულზე მაისის ვარდთან სუნთქავს და შფოთავს.  
 ეს გაუმარჯოს იმ ქართვლის დედას, ვინც იყო არის და უნდა იყოს –  
 ვინც ერის სინდისს არსად გაყიდის მაგრამ მის ტკივილს თანაბარ იყოფს.  
 ეს გაუმარჯოს ჩვენს ადათ-წესებს ჩვენს ტრადიციებს გულებს რომ გვცხია  
 დედა რომ დედობს მამა რომ მამობს და ქართვლის ასულ ვგრე მორცხვია.  
 ყველა პოეტის ლექსებში ჟღერდეს ხმის ჰარმონია მშვიდობა ყველას  
 დედა-მიწაზე მყუდრო ცხოვრება ყოველდღიურად რომ ითხოვს შევლას.  
 ეს გაუმარჯოს იმ მეფე-პოეტს, რომლის ხმაურით გმინავს რიონი,  
 რომლის სახელიც გვარის გარეშე ჟღერს მხოლოდ როგორც გალაკტიონი.  
 ეს გაუმარჯოს იმ დედა-მიწას, სადაც ფეხშიშველ ცვრიან ბალახზე  
 დადის პოეტი და უხარია ყველა დღე წინა განცდილ-ნანახზე.“  
 „შენ გაგიმარჯოს, ძამიკო, ღმერთმა ჩემი სათქმელიც შენ თქვი ძლიერად,  
 მეფე-პოეტი პირველი მე ვარ, მეორე – შენ ხარ, გატყობ იერად,  
 ჩვენი შეძლება ეგ არის სიტყვა, სიტყვა ხალხის და სიტყვა მიწისა,  
 დედა-ენაში რომ რწმენა გვიდევს, დედა-ენამაც ის გზა იცისა.  
 დედა-ენაა დღეს ჩვენი კრეფო და სულ რომ ასე იქნება ვიცი,  
 ვერცერთი კაცი იტყვის მის ენას, გვარზე თუ არ ხტის არასდროს კვიცი.  
 მე ვენაცვალე დღეს მის დიდებას, ვინც ჩვენს მიწაზე ახარა ვაზი,

ვაზი ქართველი კაცის ღირსება და აღმართული ვით კლდეზე ქვაზი. ვაზი სიცოცხლის ელექსირია, ვაზში დიდი დევს სითბო გულისა, რამე თუ გრძნობა შეუვალ ზოგჯერ ბედიც უნებურ დადაგულისა. გეწვაფდნენ, გენაცრავდნენ იმ სიცოცხლისთვის, რომელიც უხვად გვარგუნა ღმერთმა, მაგრამ ქართველ კაცს არასდროს უთქვამს: ბედს დაგმორჩილდეთ რაღა ეგ ერთმა. პირიქით, მათ გონს, მათ შემართებას უფრო სიმტკიცე ჰმატებდა ძაღას და ამ ძაღაში იდო ის გრძნობა, რომელი გრძნობაც ხრავს თავის ქაღას. უფრო მეტს გეტყვით: თუ ამ ჩემს გულში ისევ დევს გული და გულის გული ისეა ვაზიც თავის შეცნობით მიმოხლართულ და ერთურთს მიბმული. კურთხეულ არის ფესვ მისი ესე ნაყოფ-ნამყოფ და უნაყოფოდაც ქართველ კაცს იგი მუდამ მხნეობდა და ურემზედაც ჰქონდა კოფოდაც. ჭეშმარიტება ის არის, დაო რაც გული არის კაცის და ქაღის, ჭეშმარიტება – ღირსება გახლავთ უდაოდ მაგრამ გადახდა ვაღის. მე ვაზს მივიჩნევ სიკეთის წყაროდ კი მათამაშებს მაგრამ ვარ ფრთხილი, ღვინის დროს იგი ღვინოა მხოლოდ, მაგრამ ხილის დროს ის არის ხილი. ჩემს ყველა ლექსში ვაზის სახეა გაშოტილი და გასწრაფებული, რაც-რის სიმბოლო ყურძენი გახლავთ, ღვინოდ ქცეული დამაჭრებული. აბა, მითხარით ის ვით არ ვაქო, რომლის ქებასაც გული არ მიშლის და აგერ გულის საღხენად ღმერთო ამაგ დროულად სუფრას გამიშლის. გამდერებს კაცო ლექსს გათქმევენებს გაგაამაყებს გაგაერთგულებს შეგაძენინებს იმდენ მეგობარს და მათ სიყვარულს გულში ჩაგიდებს. საზომ-საწყაო მის სმასაც მოსდევს რამ თუ უზომო ქეიფ-აული მისი საზომი მკაცრია მაგრამ ამაგ დროს მისი დღესასწაული. ჩვენ ღხინი ვიცით თავისდროული რამე თუ მისი მათამეობა როგორც ყველა დღეს აქვს თავის წესი და ყველა ღამეს თავის მეობა. უერთმანეთოდ არ შეგვიძლია დაო არსობა ან აი ყოფნა ჩვენ მაშინ ვცხოვრობთ, როცა ერთად ვართ და ერთი ლუკმა ცხრად გაიყოფა.“ თქვა თუ არ ესე გაღაკტიონმა ღვინის გასინჯვა ჯერ გემო წრუპვით ის არ იმჩნევდა მაგრამ ცრემლები ჩამოსდიოდა მას დაჰა-ღუპით. „კარგი ღვინოა ღმერთმანი ჩვენს თავს ნატურალური ყურძნის წვეინია რამე თუ ესე სიცოცხლის ტკბილის ნუგეშ-ალერსად მისაწვეინია. ცოლიკაურის გემოს მიჩვენებს და ცოტაც ციცქის დაჰკრავს არიომატ და მეუბნება გაგვიანდება: შენ გაღაკტიონ ადექ ჩქარო – მათ. ამის დამწურავს ღმერთო მაღალო არ მოუშალო ჯანის მატება რადგან ის მას ქმნის რაც შესაძლებელს ერთ ი ათასჯერ აღემატება. ისე მე ვით ლექსს ის ღვინოს მარცვალს ის ბარს და კიდევ ის-ის მუხიკას ყველაფერია საჭირო შვილო, თუ რაიმეს რჩებ ამ ფუსფუსიკას.“ უაღერსებდა სასმისს პოეტი ხელის ფათურით და არ მის გამო რომ მას საერთოდ ღვინო სწყუროდა ამნაირადვე იგი საამო. „ყველა ხილს შორის ვაზს ვაქებ მაგრამ ეგ როდი ნიშნავს წყალს რომ ყვავი ლევს და მეშინია თან არ აწყინოს ტყემლის ყვავილებს, ატმის ყვავილებს. ყველას თავის დღე არგუნა ბედმა ისე როგორც ჩვენ ადამიანებს



და მეც არ ვმალოვ ძვირფასო დაო მას რასაც ვფიქრობ ის მახმინებს.  
ჩვენი შეძლება რაღა ეგ ოდენ ხვავრიელ დღეთა უმარტაობა  
არის აწმყო და მასში მერმისი თაობათ შორის ისევე თაობა.  
ახალგაზრდობა – დღე არის ხვალის ახალგაზრდობა მნათია ყოველის  
და მეც ეგ მიყვარს და ეს მამღერებს რომ ლექსში მივლის გრძნობები მოვლის.  
დღეა ფიქრებში ჩაერთო ისევე მეტ რაღა დარდი –მედიაკენესდა  
სათქმელ იმნაირ ედგა ენაზე თან უთქმელობით შფოთდა და კენესდა.  
გალაკტიონმა ამჩნია დედას მოუსვენრობა თავისით ეს-და  
უთხრა: „დაიკო გულ შეგიცვლია წედან ეგ ღიმილ შენი სხვას თესდა.  
უფრო წკრიალა ხმა გქონდათ განმრჩევ და ყველა სიტყვა კაჟივით კვესდა  
ნუ დამიმალავ თუ რამ გსურს მკითხო მაგ შენი ხელი გვირილას სრესდა.“  
„ჰო მართალი ხართ, ხალხის მგოსანო, გულს ჩამრჩა ცოლზე ცრემლი გლიოდათ  
მითხარით ამის მიზეზი რაა ფერიც მისნაირ გედოდ იოდად.  
წინ საუბარში არ თქვით გულახდილ ცოლზე თქმულ სიტყვა ბაგეს შეგაშრათ,  
ვიუნერხულე მეც მაშინ კითხვა მაგრამ შინ კითხვა მინდა ეგ მაშ რად?“  
„სწორს ამბობთ დაო შეგიმჩნევიათ რომ ის არა ვთქვი რაც უნდავ მეთქვა  
მიჭირდა თქმობა იმ წარსულისა ოცდაჩვიდმეტში რაც მეცა მესთ-ქვა.  
სიმართლე არ ვთქვი ჩემი ოღოლო იმ შაგ-ბნელ დღეებს გადაჰყვა და-რა  
ის თავისთავსა მოუკვდა მაგრამ ის ჩემში ცოცხლობს და არ მომკვდარა.“  
„თქვენი მეუღლეც აღარ დაინდეს?!“ – დედა ნათქვამით ჩამოითენთა  
გაშრა მასაც ფერ დაედო მკვდრისა... ძალ მოიკრიბა ისევე გათენდა.  
„და პოეტ-მეფის ცოლი დახვრიტეს და მივაწეროთ თანაც ეს როლებს?  
როგორ დაფჯერდე მითხარი ძმაო მგოსნის ცოლს მაშინ ტყვია ესროლეს?  
კაცი რომელიც სამშობლოს უმღერს და მისი არის თან გულის ფეთქვა  
წაართვეს ის ვინც მას მხარში ედგა რომ პოეტ-მეფეს კვლავ ბევრი ეთქვა!“  
„რა გითხრა დაო რა მნიშვნელი აქვს აქ-დახვრიტეს თუ აქ-არ დახვრიტეს  
ერთი არ არის თუ მას ციმბირში თოფით უხშობენ მას ენის კლიტეს...  
შინ მივედი და კარ ღია დამხვდა ვიფიქრე ალბათ ჩემს ოღდას დარჩა  
რა ვუყოთ იქნებ სიურპრიზს მიწყობს მე რაღა მისთვის საკაბე ფარჩა.  
შინ შევედი და რაღა ჩემ გრძნობა ან რაღა მეტი გულს სამიზეხო,  
არ მომეწონა არცა სახლ-კარი არც კიდევ სახლთან პატარა ეხო.  
ძახილს ვუხშირე ხმას ავუწიე ბოდმა მომაწვა აგრესიული:  
„ხომ არ გამშორდა ნეტავ მეუღლე მაშ რაღა ყოველ ავ რესი ული.  
თუმც განშორების რაღა ვერსია ტკბილად დაგშორდით ერთმანეთს დილით  
ნუთუ ყველაფერ დამთავრდა ავრე თაფლოვან კოცნით და ხელით-წვდილით.  
წერილ ვეძიე ასე თუ ისე გადმოვანგრიე დგამ-სკამ ხეშეშა  
თქვენც არ მომიკვდეთ არსად არაფერ შემომემატა ოხვრა და ხვნეშა.  
სკამზე ჩამოვჯექე თან რეტდასხმული და ცრემლიც თან რად ავ ენა არც-ხე  
რა უნდა მექნა ფრთებშესხმულ კაცი მოულოდნელად ძირს დავენარცხე.  
როგორღაც იყო სისხლიან ავდექ... მხრებს მომეხვია მეზობლის ქალი  
ხმას ვერ იღებდა მაგრამ ცრემლებით სულ სავსე ჰქონდა ორივე თვალი.  
ვერ რამე ვკითხე მე უბედურმა რადგან თვით იყო ის ცოცხალ-მკვდარი:

„ოღლა შვილოსა დააპატიმრეს ბორკილ დაადეს ხელებზე მყარი.“  
თავზარ დამეცა კვლავ ხელმეორედ ძირს დავენარცხე ვით ტოტი ხისა  
მეტ არაფერი არ მახსოვს დაო მთაც თითქოს მკერდზე მედო ლიხისა.  
ცხვირი დამიკრავს კვლავ იატაკზე და მომდიოდა კვლავ სისხლ ხეგ-ღვარი  
„ოხ ღმერთო ჩემო, რაღა ჩემი დღე მე ის წამართვეს ვისაც შეგხარი.“  
„ნუ გეშინია! – მამშვიდებს მოხუც – დაგკითხავთო და გამოგიშვებთო“  
ეუბნებოდნენ მუშტის მოღვრით იქეთ ციმბირში კი არ გიშვებთო.“  
„იმ წუთში მივხვდი ვის გამომშვებნი რა გამომშვებნი ბედკრულ ნაშვებნი  
ვინც კი ამგვარად თან წაიყვანეს არვის უნახავს მათნი სახენი.  
ვუთხარ: „რა ჰქონდა ჩემს ცოლს დასაკითხ?“ – უხეშად მაგრამ მოხუცს შეგძახე  
რა შორის იყო მოხუცი ქალი ჩემივე თქმული გულშივე ვძრახე.  
სისხლ შევაჩერე როგორაც იყო პირ არ დამიბანს რა მებანება  
გულ მკერდს არ მიდგას ურჩი მზაკვარი და იქეთ გარეთ მიმექანება.  
ვუთხარ: „მოხუცო წვრილად მიაბე როგორც რისი ხარ მნახველი ამ დროს  
ვით როგორ შეხვდა უპატიჟ სტუმრებს ჩემი ოლოლო ღრუბელს საავდროს?“  
„ვხედავდი შვილო ჭუჭრუტანიდან ოლია სკამზე იჯდა ტირიდა  
მარცხენა ხელით ცრემლებს იწმენდა მარჯვენა ედო უძრავად – კრთოდა.  
მერე თავ დადო მაგიდის ძვიდეს ტრამვიან ხელზე მან საცოდავად  
თქვა: „გალაკტიონ მოვა სადაცა და გამოგყვებით მერე მეც თავად.“  
„დრო არ ითმენსო ადექი ჩქარა!“ – ეგ ღრენა იყო რამე თუ ძაღლის  
და რომ არ ადგა ხელ სტაცეს უცებ ქალ წამოაგდეს მადლი რის დაღლის!  
„ბორკილი ხელზე!“ – ბრძანა ერთ-ერთმა – ბრძანებას მოჰყვა ბორკილის ხმაცა.  
„მეტ ბორკილ ჩემზე რაღა ეს ღმერთო ... ცალხელა ქალზე რაღა რა – რაცა.“  
თავ-ქუდმოგლეჯილ გავვარდი გარეთ სად მივდიოდი არც კი ვიცოდი  
ნაკვერჩხალივით ღვიოდა გული კაცი ვიყავ და შეშად ვიწვოდი.  
ვის აღარ ვკითხე ვის აღარ ვთხოვე ჩემი ამნაირ თავის ამბავი  
მხრებს იჩინავდნენ რამ თუ ისინიც ვინც ამ საქმეზე იყო ნამბავი.  
რა უნდა მექნა იქ დავრჩი დამით ვფიქრობდი: „ცოლს ჩირქ რა უნდა ცხონ-და:  
„აქ აღარ არის გადაიყვანეს!“ – ყველას ეგ პასუხ ენაზე ჰქონდა.  
„ქალს ბორკილები ხელზე დაადეს და ეს იკადრეს ქართვლის კაცებმა?“ –  
გაოცდა დედა შიშმა შეიპყრო – ნუთუ ქრისტიანთ აგრე დაცემა?“  
„რას იზამ ფაქტი ჯიუტი არის ვრცელია დაო მომავლის კრედო  
მაშინ როდესაც ჩემს ოლოლიკოს მარჯვენა ხელზე ბორკილი ედო.  
მუშაობისას ერთხელ მოსკოვში მარჯვენა ხელი დაუდამბლავდა  
მოკვეთა უთხრეს: არაფრით არ ქნა როგორც შეეძლო ისე მაღავდა.  
და ღვრთო ჩემო, ამგვარ ინვალიდს მოდიან ბორკილს ადებენ ხელზე  
თან ეცოტავათ ეგ მაშინ იმ დროს და უფრო მეტ დიდს ფიქრობენ ძნელზე.  
პარალიზებულ მის მარჯვენა ხელს ხმარობდა მაგრამ მთლად ვერ გაბედვით  
ამის შესახებ მკითხავდა ხშირად თავისებური საზრიან ხედვით:  
„რომელს მირჩევდი გალუკა მითხარ თუ ჩემს ამნაირ გქონდეს სიმშვიდე  
თუ შინ ფუსფუსით ორივე ხელით წერის დროს ხან-ხან ხელსა გიშლიდე?“ –  
საბრალოს გულში ღრღნიდა ეს ტრავმა და გულჩათხრობილ მინახავს მრავალ

რაღა თქმა უნდა ამ დროს ნუგეში მისი გზის იყო თვინიერ საგალ.  
 „ვეტყობდი ოღონდ ჩემო ძვირფასო ნუ შეიმტკიცებ მაგიერ მკერდ-გულს  
 ხომ კარგად იცი როგორც მიყვარხარ რაც შემოგფიცე სიყვარულ ერთგულს.  
 ჩვენს ტრფობას ეგ დრო ჩირქს ვერ მოაცხებს უმწიკვლო არის ჩვენი გრძობები  
 შენ და ლექსი ხართ ჩემი მეგზური თან მომავლისთვის მტკიცე წრთობები.  
 ისე კი მიჯობს შენი მარჯვენით ხან მამშვიდებდე ხან ხელს მიშლიდე  
 მივატოვებდი თავს დროით ლექსებს არ მონიწყენდა თან ეგ სიმშვიდე.  
 მაგრამ პირმზეო გულ გავიტეხეთ ამის უფლება არა გვაქვს ჩვენა  
 ჩვენ მისთვის გექვია ცოლ-ქმარი ახლა რომ ვუმსუბუქეთ ერთმანეთს წყენა.  
 წყენის დრო არ გვაქვს და ეგ გულები არც კიდევ უნდა ვუშვათ იქამდე  
 წინ მომავალი რადგან სჩანს მოდის არ უნდა მივყვეთ მას განქიქვამდე.  
 დრო მოგვაშორებს მისვე დგომულ უღელს ამოძრავებდა გონი ხალხისა  
 თავისუფლება მოვა ნანატრი რა ვქნათ სამოსი გვხურავს თაღისა.  
 არა ძვირფასო ჩვენს სიყვარულში იოტის ოდენ არ არის ბზარი  
 პირიქით ძალა სიყვარულს გვიმტკიცებს რომ მის წიაღში წკრიალებს ზარი.  
 ოღონდ ძვირფასო გულს ნუ გაიტეხ და ამ ჩემს გულსაც ნუ მისცემ საბაბს  
 თორემ დარდს და შიშს დიდი თვალი აქვს თან გაგიცრიცავს ცრემლიც მაგ კაბას.  
 ვეუბნებოდი მე ასე ხშირად და ვუკითხავდი ლექსებსაც ამ დროს  
 და რა ვიცოდი წინ მიმავალი უკან მივდევდი სიცოცხლეს სამკვდროს.  
 ისე კი ერთხელ ამნაირ მკითხა: „მე მეტად გიყვარვარ ან თუ ეგ ლექსი?“ –  
 ფრიად ღიმილით შეკითხვა იყო შიგ არ ერია მისხალიც გესლი.  
 ვუთხარ: „ჯერ შენა ხარ და მერე ლექსი უერთმანეთოდ ალბათ არც ერთი  
 მე შენი ტრფობა რომ არა მქონდეს შენს თავს ვფიცავარ ვერც ერთს დაგწერდი...  
 ეგ აგრე იყო დაო ძვირფასო არც ვამატებ და არც ვაკლებ რამეს  
 მოხუც ქალს ამას არ ვუჯერებდი ეგ სხვებმაც მითხრეს შორ-შორ იმ დამეს.  
 იქ გავათენე ის დამე მაშინ ერთი სულ მქონდა მისი ნახვისა  
 იმ დღითაც მთელ დღეს ვეყუდე იქა ცრემლთან ერთ მქონდა სუნიც ხახვისა.  
 ფეხათრეული დაგბრუნდი შინა და დამახვედრეს მე ამბავ ახალ  
 „მატარებელში არიან ყველა გაგიუბუღმან სვეტს თავი ვახალ.  
 როგორც თოფიდან ვარდება ტყვია ისე გაგვარდი სახლიდან იქა  
 ისედაც მშიერ-მწყურვალსა რბენით მხრებზე ღრუბელი ჩამომეზნიქა.  
 მიველ რას ვხედავ ირევა ხალხი არის ტირილი ზეცამდე მწვდომი  
 მიწა ცრემლებით ისეა სველი რაღა წვიმა და წვიმაში მდგომი.  
 აქ-ადარა სჩანს დედა-შვილობა აქ-ადარა სჩანს ხმა მეგობრობის  
 მხოლოდ ქვითინი აყრუებს არეს და საპყრობილედ გამხდარა ბჭობის.  
 ვუარ ვაგონს და ვიძახი: „ოღონდ!“ ვუარ ვაგონს და ვიძახი „ოღონდ!“  
 თქვენც არ მომიკვდეთ ხმას არვინ არ მცემს წონაც დაგიკელ ორ-სამ დღის მოღმა.  
 ბოლოს როდესაც გადამწყდა ჩემი დაგმანულ ღრიჭოს ჭუჭრუტანიდან  
 რაღაც ნაცნობ ხმა ყურებზე მომხვდა მეცა მივვარდი მისივე მხრიდან.  
 „აქ ვარ გალუკა! აქ ვარ გალუკა!“ – ხმა ჩახლეჩილი ვიცან ოლიას  
 მისი დანახვა მომწყურდა ისე რამე თუ კოცნა მზისგან ბროლ-იას.  
 თქვენც არ მომიკვდეთ რისი დანახვა რის სიახლოვე მისი ღანდისა

ვინდა მიმიშვა ჩემს სიცოცხლემდე არნაირ თხოვნა არსად ფლანდისა.  
ამ სისასტიკეს მხეც არ ჩაიდენს რაც ცოლს და მერე მეც რა მაკადრეს  
გასცეს ბრძანება: „დაგვტოვეთ ყველამ თორემ გავისვრით ტყვიას საავდრეს.“  
თქვენ თუ გგონიათ არ იქმდნენ ამას და დაიხვედნენ უკან ამაზე,  
აქ-აღარ იყო ერის სინდისი არც საქართველოს სხვა სილამაზე.  
აქ მხოლოდ ცრემლი ცვიოდა უწყავ აქ მხოლოდ ხმების იყო არია,  
განუკითხავი ჟამი ყოველი აქ მოყრილიყო ვით სიზმარია.  
აქ არვინ არვის ხვდებოდა კოცნით და ღიმილიანს აქ ვის ნახავდით,  
თუ მათ არ ჩაგთვლით ჭკუაზე შემცდართ ან მათ საქციელს ვით ასახავდით!  
სხვა რა და გვექნა მოვშორდით ვაგონს მე შორიახლო ბუჩქს მოვეფარე  
ვიცოდი ღამით დასძრავდნენ ვაგონს ამისთვის თვლემდა აქ არემარე.  
და ასეც მოხდა როგორც შეღამდა ახრიწიანდა ბორბლები რკინის  
ჩემსავით მალულს გამოჩნდნენ სხვებიც რის აზროვნება ასეთ დროს ტვინის.  
ყველა ეძახდა თავ-თავის გულმწყვეტს და მეც ვტიროდი: ნახვამდის ოლდა!  
არ ვიცი ეს თუ ესმოდათ ტუსადთ აღარსად სჩანდა: ჩემ ვარდ და ბროლდა.“  
„კი მაგრამ ძმაო ეგ რისთვის ყოველ?“ – დაინტერესდა კვლავ ისევ დედა  
ცრემლებს თვალეზე ვერ იშორებდა და ცხვირსახოცში ნაღვლიან ხვევდა.  
„მერე ვიდაცამ იყვირა: კმარა! ხალხო რაოდენ ვერ შეგვიტყვია  
შესაძლო არის ჩვენც არ დაგვინდონ და დაგვიშინონ შიგნიდან ტყვია.  
ყველაფერ იყო მოსალოდნელი რამ თუ მომხდარი რას გულისხმობდა  
ან ვაგონისთვის სანამ გვესდია მაგრამ ხომ იცით გულს-გულ ვერ თმობდა.“  
„კავშირი რამ ხომ არა ჰქონია ცოლის დაჭერას ამ თქვენს ლექსებთან?“  
„რას ამბობ დაო არავითარი დღეს ეგ მიზეზი თვითონ მეძებს თან.  
ოცდათექვსმეტში ჯილდო რამე თუ ორდენს მახნევენ მკერდზე გვარიაანს  
მხოლოდ და მხოლოდ როგორც მე პოეტს და გვირგვინოსანს დაფნით არ-იანს.  
ფერთხილობდი დაო როგორც შემეძლო მივჩერებოდი რაც-რა ხდებოდა  
კორექტორს სადმე მარცვალ შეშლოდა მწერალს ამისთვის ტყვია ხვდებოდა.  
მაგრამ ხომ იცი ზედმეტ სიფრთხილეს ზოგჯერ ზედმეტი შეცდომა მოსდევს  
უმანკოების რაღა ღვთის მადლი თვის დროულ მაგან თუ შესამოსდეს...  
მხოლოდ ძმის გამო ჩემო დაიკო რომელიც იმ დროს ცნობილი იყო  
გულში ჩაიდეს როგორც მის გენი და შეუთითხნეს ვით ზღაპარ-იყო.  
სინამდვილეში არც ოლიას ძმა არ იყო ხვედრით უჭკუო კაცი –  
ამიტომ მისი ჭკუა შეშურდათ და მოიგონეს სასჯელი მკაცრი.  
არავითარი გენი არც გვარი არავითარი ღუზა და გემი  
იტყოდნენ ხელად უკრავდნენ ნაბადს თან გაიყოლეს ოცნებაც ჩემი.  
რა ვქნა თავს ზემოთ არ არის ძალა ბრძენთა თქმულია ამავე დროს მდენი  
და მე პოეტმაც ეგ წლის საზღაურ მაშინ ამნაირ მე შევიგრძენი.  
ცხვრს გარეთ დაო ვერავინ ჰყოფდა შიშის ზაფრაში ძრწოდა მდგარ-სული  
ყველა წყევლიდა თავის გაჩენას რის მომავალი ჰკლავდა წარსული.  
მე იქაც გახლდით სადაც ვაგონი ბოლო ვაგონზე იდგა ცარიელ  
რამე თუ იგი დიდი რუსეთი თავის სიდიდით და უკაცრიელ.  
„ნახეთ მეუღლე?“ – კვლავ შფოთით დედამ ცრემლიან ჰკითხა გალაკტიონსა.



„არა დაიკო! რომელი ნახვა უძრავ ვაგონი რა მით სიონსა.  
 ხომ ვთქვი წინა წელს დასტურად რაღა მკერდს მიმაბნიეს გარეთ ორდენი  
 მაგრამ რად გინდა შიგნიდან დაღ გუული ამომჭრეს მისი ოდენი.  
 ოლდას მე დღემდე ველი და ველი ეს მოლოდინი არა მთავრდება  
 ასე მგონია იტყვის სულმნათი დაფაგვიანე: გამიჯავრდება.  
 ასე მგონია ქუთაისშია... ორშაბათს – არა, სამშაბათს – არა,  
 ოთხშაბათს – არა, ხუთშაბათს – არა, პარასკევს – არა, შაბათსაც – რა-რა.  
 შემომელია ლოდინში დღენი კვირა დღეებიც დარჩა ოლოლოდ  
 თუ ვცოცხლობ ახლა ვცოცხლობ იმედით და ეს იმედი ლექსია მხოლოდ.  
 ლექსით სულდგმულობს ეს ჩემი გუული თუ შიგ რაც ოდენ სისხლი მჩქეფარე  
 იგია ჩემი ოლოლოს სული და თან ცხოვრების ჩემი მეფარე.  
 ცოტა ნახვამი თუ ვიქენ მაინც მის ცრემლ ნაპკურებს თავს დავდებ – ნება  
 გათენებამდე მის ცრემლზე მძინავს და რა ძნელია ეგ გათენება.  
 საუნჯე გახლავთ ოლდას ცრემლნ ნაწვეთნ რელიქვიაა ის ჩემთვის დღესა,  
 შემაერთია ის ჩემს ლექსებთან და მისკენ ღმერთო თვით მიაქვს მზესა.  
 მაინც პირს ვიბან, მაინც ვსაუბრობ მაინც ლექსისკენ გამიბრბის ხელი  
 გამელიძება ხანდახან ზოგჯერ მაგრამ ეგ ღიმილ არ არის წრფელი.“  
 „და გალაკტიონ თქვენი მეუღლე რეპრესიების მსხვერპლ ხდა საწყალი? –  
 ზეზე წამოხტა ბოლშევიკან დედა – „მაშ შეურიეს თავ ძმარსა წყალი?“  
 „ღიან დაიკო! ღიან დაიკო! და ღიან კიდევ კიდევცა შვილო  
 წამართვეს ის ვინც ჩემთ თავს მერჩინა თან მასთან საქმე საშვილიშვილო.  
 „მას პოეტ-მეფის ცოლს ცილ დასწამეს ვით შეიზლება ამის ატანა!“  
 „ასეა დაღ როცა ხორცმეტად გამოერევა მოდგმას სატანა.  
 ერთ ქართველ კაცის იმედი მქონდა, მაგრამ რად გინდა სათავდებოდა  
 თურმე ყოველი ესე საქმენი იქ იწყებოდა, იქ მთავრდებოდა.  
 ესეც არ ვიცი ნამდვილ საფლავი აქ იმყოფება ან თუ სხვა მხარეს,  
 მის საფლავს ვინმე რომ მანახებდეს მთელ ჩემს ცხოვრებას მივცემ გამხარეს.  
 თუმც მე უბედურს რა გამჩნია სიღარიბისგან ვერ მიხსნის თავი  
 ეს იმ დროს როცა დღე და ღამ წერით ლამის ჩამომდნა ტვინი და მკლავი.  
 იმ ღამით როცა ვაგონს ვედევნე და რაც შემემძლო ვდიე თან ცერ-და  
 ამბობენ რომ ის მატარებელი სადგურებს შორის დარჩა-გაჩერდა.  
 ამბობენ: ტყეებს სტრესი მოედოთ რკინის გისოსებ კბილნით კვინტესო  
 მატარებელი გადახსნეს ორ-სამ: ზოგ-დატოვეს და აქ დახვრიტესო.“  
 „დედაო ღვთისაგ! – თქვა დედამ ლოცვით – უკეთურთ მოდგმა აშორე ერსა  
 და ის რაც მოხდა გვაკმარე ყოვლის ნუ შეგვახვედრებ შინაურ მტერსა.  
 გახსენ გონება ყოველი კაცის მიეც უნარი ხედვის და ჭვრეტის  
 ის რაც ამნაირ გვქონია დღენი არ ვყოფილიყოთ შემსწრენი მეტის.“  
 „გმადლობ დაიკო რომ აგრე ხედვით განგიჭვრეტიათ გონი ხვალისა  
 ცნობიერება ეგ თუ დაგკარგეთ მაშინ რაღა დღენ მომავალისა!  
 ცხრა დედ-მამიშვილნ გახლდათ ოლია: ორი და ჰყავდა და ძმა კი ექვსი,  
 მე – მივემატე მას როგორც ქმარი და ამავე დროს თან კიდევ ლექსი.  
 მე ქუთაისში გავიცან ისა და შეგვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი

მაგრამ მშობლები არ გვრთავდნენ ნებას სხვა იყო მათი წინ გზა მწვანეთი.  
 ხომ იცი მაინც მადლმოსილ ტრფობას დიდი აქვს ძალა ღვთიური გზისა  
 და მით უმეტეს თუ იგი წყვილად ერთიმეორის გულში თან ზისა.  
 ტრფობამ კი ბოლოს მაინც თავის ჰქნა ჩვენ დავექორწინდით გაეხდით ცოლ-ქმარი  
 თან დავეყვებოდით კი არა მართლა ჩვენ დავეყვებოდა პირიქით ქარი.“  
 „ძნელ გასაჭირი გხვედრიათ ძმაო მეტი უარეს რაღა რის ითქმის  
 აზრი გამომაქვს ჩემივე გონით თქვენც სიკვდილამდე მისულხართ თითქმის.“  
 „ასეა დაო ეგ ჩემი ხვედრი მეტ უკიდურეს ბედ რაღა კაცი  
 თან შეეპყრობილ ვარ ამასთან ერთად მეოსნის საუნჯედ ითვლება რაც-ის.  
 მიმიხვდით ალბათ რომ ლექსს ვეულისხმობ და ის გულში მაქვს მეუღლის ნებით  
 მაგრამ არ იმდენ როგორც ეს მაშინ იმ სიყვარულით და გემოვნებით.  
 დროს დავაბრალე თუ თავს არ ვიცი ჩემი ამნაირ ბედის თამაში  
 მთელი წარსული გადაჰყვა დღეებს და მომავალიც თან სდევს ამაში.  
 ცოტ-ცოტა ნაღველს ღვინო მიქარვებს როს დაგლევე ისევე ხასიათ მწყობი  
 მაგრამ რად გინდა ცრემლს მადენს იმდენს ფეხისაც ხან-ხან მეშლება მწყობრი.  
 ცრემლი კი ნუგემ ცხოვრების გახლავთ ისიც ისევე უჩვენებს სახეს  
 რამე თუ მინა კდემამოსილი თავის იერით მარქმევს მის სახელს.  
 არა და დაო წლების არია მიედინება კარნახ-ნანახით  
 არ ენაღველება იმ წლებს ეგ დარდი რაც გაგვივლია ოდეს ხანა-ხით.  
 მკაცრ იდეების ცნობის უნარი გადაქცეულ თვლის თვითონ საგან-ათს  
 ამიტომ ახლაც ზოგჯერ სიბრიყვით გამოსაცდელად მიგებს კაკანათს.  
 გულგატეხილი დავდივარ მისთვის გულ რომ ვამრთელო დროების სახლით  
 მითხარ რაღაა მეტი ცხოვრება შესადარებლად ძველთან ეგ ახლით.  
 თავისუფლება გეწყურია დაო მაგრამ შორს არის ამ სიტყვის არსი  
 ისე კი ერი მივადწევთ ამას და ეგ არის მეონი მე კი დღეს ფარსი.  
 ისტორიული ცვლილების ხიბლი თავის დროებით ჭამს სისადავეს,  
 ამიტომ არის ეგ დღე საწყისად ხვედრს განურჩევლად რომ გვისადაგებს.  
 სიმბოლურია – აზრი ცხოვრების რომ გაჩენის დღე არის ღვთის ნება  
 და მასთან ერთად თან ჭკუა გონიც ერთნაირ მწედ რომ მიედინება.  
 რაღა რა-რისა სამდურავ ვისა თუ არ ესოდენ ნატვრა გულისა  
 ჩემი პირველი ლექსის სიამე არის იმ პირველ სიყვარულისა.  
 არ მინდა გული გატეხილ მქონდეს მაშინ ეგ ლექსიც დაო ეს ვისა  
 რაღა თქმა უნდა ყოველ მარცვალში არის ნიადაგ შოთას ფესვისა.  
 კაცი-კაცითა ღობე-ქაცვითა დრომ ეგ ანდაზა ვერც კი გაცვითა  
 არადა ითხოვს დროის თავდგმური მის გაუხდელად მეც ჩამაცვითა.  
 რამდენ მეტს ვდაობ საკუთარ თავთან იმდენ მეტ არის პირუკვ დავება  
 თუ სიცოცხლეში დიმილს ნატრულობ მკვდარს მერე რაღა მეუკვდავება.  
 ხანდახან ფიქრი მაბრმავებს ისე რომ აღარ უჩანს მას პირ და ფსკერი  
 და მაიმედებს რომ გვიან ცხვება რაღა თქმა უნდა თან ობლის კვერი.  
 ამასობაში კი ეგ დრო მიდის ფაფარაშლილ და ნახედნი ზოგი  
 ცხენების რემა დაშორდა რემას აღარც ირმების აღარ სჩანს ჯოგი.  
 მაგრამ რადგანაც უიმედობა დარდს ვერ მომიხსნის ნაღველიანს აგრე

ამიტომ მეც იქ ვდგავარ დღეისთვის სადაც დგას ქართველის ყველა სიმაგრე. ტრფობა-გულისა დიდ პატივია სიყვარულს სხივი ნებიერ შვენის მაგრამ თუ ხანგრძლივ მას ვერ მოიხმარ იგია მაშინ უბრალო ქშენის. და ისევ ვამბობ ვიძახი ვყვირი, ხალხს გაუმარჯოს და მის ოფლ-სიოს დღეს საქართველოს კი არა დაო მშვიდობა უნდა თან მთელ მსოფლიოს. ძილის წინ დაო სიზმარს ვნახულობ ალბათ რომ ვამბობ გაგიკვირდება ტყუილი გითხრა ჩემი მიწისას აბა მე დაო რაში მჭირდება? – მე თვითონ დრო ვარ როგორც პოეტი და როგორც ამ დღის მემბტიანე მე – ასე მწამს და მე – ასე მჯერა მოდი დღეს ახლა შემატრიალე. თავ დაუზოგავ დროის მარხილი საუკუნის გზით მირბის მიმაფრენს კაცს მეგობარი სჭირდება მისთვის რომ მან გაუძლოს დროის სიმძაფრეს. მერე სად არის ეგ მეგობარი დაგკარგე როგორც კარგავენ სხვები საკუთარ თავთან ბოდიშებს ვიხდი რადგან ვინც ვინ არს მათთან მე-ფრცხვები. ხანდახან დილით სარკმელთან მივალ ავიბუზები როგორც ბედურა ვესაუბრები დაორთქლილ მინებს პოეტი-მეფე თვისტომ დედურა. მინდა არ მინდა გამვლელ-გამომვლელს არ შემიძლია არ ვუთხრა ორ-ემ ამაში ვხედავ ჭეშმარიტებას მეტ რა უკეთეს მითხარი თორემ... პატიოსანი კაცის სახელი ღმერთმა ნუ ქნას და მოიშოს ქვეყნად ან ქართველ ქალის სინდის-ნამუსი დრომ გადაყლაპოს სასირცხვო კვეხნად. პატარა ქვეყნის შვილები გვქვიან არ გვაქვს ქვეყანა უკიდევანო და თუ ამასაც ვეღარ მივხედეთ რაღა ეგ ლექსი მაშ სათაყვანო. მე სიმაღლე მსურს, სიმაღლე მიყვარს, არც რის საძრახის არ ვმაღავ ამას, სიმაღლეშია სიცხადე ფორმის და მეც პოეტი შევიცნობ თან მას. გრძნობათ სიუხვე აშკარა ნების ლექსად წვეულსა კვლავ წვიმა ღლისა მაგრამ ეგ დაღლა მე მიყვარს მისი რადგან მასშია დრო სიმაღლისა. დრო თავისთავად ღვთის ნება გახლავთ რომელ დროშიაც წლებია თვითონ რამე თუ ძალა რაღა ის შეება წარსულ მომავლით რომ გამიქვითონ. ჩვენს სიმაღლე დიდია ტვირთი სივრცე ზეცამდე ტოლია იმ ცის სადაც სიცოცხლეს ვიწყებთ თავიდან და სულ ბოლომდე მისი გზა გვიცდის, ჩვენი სამშობლო საქართველოა ხომ კარგად გესმით ამ სიტყვის ფასი ქვეყანა ბევრი არსებობს მაგრამ ამნაირ კარგი არ არის მსგავსი. იმიტომ შვილო იმიტომ ძირე რომ ჩვენ ეგ მიწა გვესამშობლება სწორედ მასშია ის დიდი ძალა რომელიც ერთ დროს შექმნეს მშობლებმა. როს სიტყვას ვამბობთ სამშობლო ესე ამ ერთ სიტყვაში დევს სამი მაღლი კარგი იქნება ამ თქმას წყაროს თქმულს თუ დაიხსომებ და დამიმადლი. სამშობლო არის ერთ მთლიან თქმაში რომ მასში ხალხმა ჩატიოს ნება და მათ სურვილში იღოს სიცხადე მხოლოდ და მხოლოდ პატიოსნება. უხალხოდ აბა რაღა ეგ მიწა რაღა ეს წყარო მოდარიონი და ან მე კიდევ როგორც პოეტი და ან შენ კიდევ ნოდარიონი. დღეს ხალხი არის ამ მიწის მსვენი დღეს ხალხი არის ამ ენის მთქმელი, ვინც უნდა იყოს ეგ სულერთია ჩვენ-ჩვენსას ვამბობთ მათ სხვა ჰყავთ მცველი. უდედამიწოდ ვერც ხალხი გასძლებს წყალის გარეშეც არა ღირს ყოფნა

ევ ცეცხლიც მისი ატრიბუტია როგორც ჭამა-სმა და შრომით ფოფნა.  
 ო, ერთი სიტყვით ყველაფერ ჩენას დაჰყვა თავიდან საზრიან გონი  
 აბა მიდი და მოჰკითხე რიონს სად უფრო უყვარს თავისი ფონი.  
 გაჩენაშია სიცოცხლის ფასი თუნდაც და თუნდაც თუნდაც ფრთოსნურად  
 და რამდენს ელის მოსაგლეხს კიდევ ჩვენი ევ მიწა რომ ვთქვათ მგოსნურად.  
 ლექსის სიცხადე მეტ რაღა თქმული თუ არ სამშობლო შიგ ფესვით დგმული  
 გულში სისხლი გვაქვს კი მართალია მაგრამ სამშობლო თვით არის გული.  
 ჩვენ ჩვენი რწმენა გვამაღლებს ოდით ქრისტეს მიერი გზა გვინთის მიტომ  
 რომ არ წავბილწოთ დრო თვინიერი... დრომ თვით დრომ ჰპოვოს სამიამიტომ.  
 ჩვენს გულს ამინდი ვერ უნდა ცვლიდეს ისე კი არა შიგნ ნასანგრ იყოს  
 ჭირი და ლხინი ოდითგან მოგვდგამს მაგრამ არასდროს არ უნდა გვრიყოს.  
 ხედავთ? როგორ სდუმს დღეს არემარე გუმინდელ ქარით დაღლილა ხენი  
 ფიქრებს დავდეგარ მიმინოსავით არ იქნა ჯერ მათ ვერ დავეხსენი.  
 ჩვენ ახლა რაც ვართ და რასაც ვამბობთ ჩვენ ხვალისატვის ვიქნებიდ სხვანი  
 ვიდრე დღესა ვართ ასაკით სწორნი თან სიტყვებ რომ გვდის გულმოსაფხანი.  
 ერთი კი არის უნდა გვანსოვდეს: ჩვენ ვინ ვართ და ჩვენ წინაპრად ვის ვთვლით  
 ერის სიმრავლე გეჭირდება რაღა რომ ჩვენს სათვალავს თითებზე ვითვლით.  
 ჩვენ საქართველოს მტერი მრავალი ჰყოლია დღესაც ბევრი ჰყავს ისევ  
 კაცი კაცითა კი არის მაგრამ საეჭვო ვინმეს ნურც შემოისევ.  
 არ მეგულება დღეს მსოფლიოში ომი იმისთვის, რომ მავანს სურდეს  
 ყველა ერშია ცუდი და კარგი მაგრამ რომელ მეტს საფუძველ უდევს.  
 მშვიდობა ყველას! აი ევ არის მხოლოდ დევიზი ოდითგან ჩვენი  
 ჩვენსას ვჯერდებით რაც რომ გვაქვს იმას სხვისი არ გვინდა რამ დანარჩენი.  
 ჩვენ ქრისტეს მიერ მოგვყვება ჯვარი თან ნინოს თმებით შეკრული-ისა  
 ჩვენს ცრემლებში გვდის თავისუფლება ჭირზე და ლხინზე აგრე რომ გვდისა.  
 მჯერა მჩაღებელ გონს მოეგება და დაივიწყებს ისარ-მშვიდლობას  
 ქართველი კაცი გულით ატარებს თავის პირუთვნელ „დილა-მშვიდობას“  
 ქალი-თამარი გეყოლია მეფედ წესით იმნაირ მოსული დღითა  
 ლაშქარს ომის დროს რომ ამხნევებდა და სიყვარული ხალხის ვერ ღლიდა.  
 მის გულში იდო დღე-დღეგანდელი დღე-ხვალინდელი, დღე-მომავალი  
 ეპოქამ ბევრი იცვალა სახე მაინც ჩვენ რჯულთა მიგვაქვს სავალი.“  
 ეს ასე იყო ასე იქნება მეც ჩემს ლექსებში ასე მაქვს თქმული  
 სხვანაირ ჩვენს გზას სხვანაირ მეტი ვერცერთნაირი შეცვლის ნართული  
 ჩვენი ანბანი დედაენაა დედის ენაში დევს დიდი სითბო  
 და მეც პოეტი თქვენის თანხმობით მის მარადიულ სიცოცხლეს ვითხოვ.“  
 მეტი არ უთქვამს არც პოეტს სიტყვა გამომწვევდელი ორ ხის იერში  
 ვხედავდი როგორ ხტოდა ყლუპები მის ხახაში და ხორხისმიერში.  
 არ დასცალდა და არა მოეშვა თან ცქერდა სასმის თავის ხელ-გრდემლში  
 ჩამოილია შევატყვევ ყლუპზე ზოგიც შერეულ ჩაუშვა ცრემლში.  
 „ასე ძამიკო ასე შვილიკო ამ ჩიტის წყარომ მაცნო დღეს თავი  
 იყოს დღეგრძელი ამ ქვეყანაზე ვისაც არასდროს არ უნდა ავი.  
 კარგი ღვინოა, კარგი ღვინოა!“ – თან მოიხადა მგოსანმა ქული –



არც შეიძლება მეც სხვანაირად ვარცხნის ღვინო რომ იყოს ცუდი.  
 ცოლიკაურის მეცნო გემოზე არა ციციქის და არა კრახუნის  
 ჩვენს იმერეთში გვაქვს ეს ჯიშები მაგრამ სხვა არის ჯიში კახურის.  
 კარგი ღვინოა ლხინის ღვინოა ღმერთო უმრავლეს ქართველს ქორწილი  
 სიმხიარულე მარად ყოვლისა რაც რომ რომ დღეს არის ბარაქ ორ წილი.“  
 ჭაღარა წვერზე მოისვა ხელი დიდხანს აწვალა მან წვერის წვერი  
 საგონებელში ჩაგარდნილ მეფეს თვალს უხუჭავდა ხანდახან მტვერი.  
 თვალზე ისვამდა ის ხშირად თითებს და ცრემლით თითებს ნალოკ ას-ასე  
 ბრწყინავდა ისე ვით ცაზე ვარსკვლავ მობრდღვიალეს და თან მოკასკასე.  
 ვგრძნობდი ვხედავდი ლექსის სიმძიმე მას მხრებზე აწვა და გულს ტკეპნიდა  
 და ეგ სიმძიმე იმდენად ძრავდა გულიდან მხოლოდ ცოტას დევნიდა.  
 სიტყვის მორჩილი იყო ძალიან სულ ცოტა-ცოტას ლაპარაკობდა  
 მაგრამ ეგ ცოტა მისი სიტყვები ჩვენთან ერთ წყაროს განძად ამკობდა.  
 უღრმავდებოდა ხანდახან ფიქრებს და მისი სიღრმე იმდენ ღრმა იყო  
 ხანდახან სურდა ეყვირა მისთვის ლექსის სათქმელად წამომდგარიყო.  
 მიგჩერებოდა მეც მგოსანს წყრომით და ჩემი ფიქრიც ფიქრად ფიქრობდა,  
 დროს ვმორდებოდა თუ დრო გვისწრებდა ეს აღარ მახსოვს დრო კი მიჰქროდა.  
 შემოგარენი ყოველის ირგვლივ თავს არიდებდნენ სიწყნარის რღვევას  
 და ჩვეულებრივ მეფე პოეტიც იმეორებდა მის ამ დიდ ჩვევას.  
 ეგ წუთი იყო ჩემთვის ძლიერი: იყო ქიმ-თავი იყო ქიმ-ბოლო  
 და ის ადგილი მის მგოსნიანად ჩემი სამშობლოს იყო სიმბოლო.  
 სხვა რა ვუწოდო მითხარით აბა იმ აღმა ფრენას იმ სიხალისეს  
 რომლის სიზმარი დღეს ცხადში ღმერთო თავისებურად არის აღის-ეს.  
 „მეფე-პოეტი? გალაკტიონი?“ – თვის თავს დაუსვა თვისივე კითხვა  
 აქ – „მე და ღამე“ აქ – „მესაფლავე“ ექსპრომტად კიდევ რაღაცა თითხნა.  
 მან წვერზე ისევ მოისვა ხელი ვხედავდი მას რომ ის გულში დუღდა  
 სიტყვა სათქმელიც თან მოსდიოდა და რომ ვერ სწერდა ის ამას სწუხდა.  
 მითხრა: „ძამიკო ბოდიში ახლა მე სხვაგან ვიყავ და აქ კი არა  
 გამოიღარა უკვე ჩემს გულში და იმ ღრუბელმაც გადაიარა.  
 ასეთი არის პოეტის ხვედრი რამე თუ ჩემი პოეტ-მეფობა  
 ყოველთვის მეტ-მეტს მოელის გული და მეც ცოტ-ცოტა როგორ მეყოფა.  
 მინდა და მინდა რომ შევქმნა მეტი რაც შემიქმნია ბაღი-ბაღ ერთი  
 არ მსურს დაგვერდე მიღწეულს მაგრამ ხანდახან მაინც მაჩერებს ღმერთი.  
 ეჰ, რა დრო იყო ტრფობა-სიყვარულს ათასნაირად ვთხზავდი და ვკერდი:  
 ნელ-ნელა მიჰყე დროს გალაკტიონ ათას გზის მძახნის გულიდან მკერდი.  
 რანი ვყოფილვართ და რანი დღეს ვართ ხვალ კიდევ ისევ ვიქნებით რანი  
 მატება ოჯახს ჩვენს ქართულ ოჯახს შეჭმატებოდეს კვლავ მეტი სხვანი.  
 გამრჯელი კაცი თავისი საქმით თავის სიკეთით და თავის თავით  
 თუ კაცი ქვეყნად კეთილს არ თესავ ვერსად ვერაფერს მოიმკი ავით.  
 სიკეთე არის მეგზური კაცის და ყოველნაირ ის გარჯის ფასი  
 თუ ჩემი ლექსი ხალხს ვერ აღანთებს აღარ იქნება იგი ძვირფასი.  
 შესაძლებელი ესეც კი არის ყველა რჩეული არც იყოს ლექსი

მაგრამ ხომ იცით ნათქვამი არის: მჯობნის მჯობნი და მთლად უკეთესი ღვინოში არის ჭეშმარიტება ადრე სათქმელი ცოტა ზედ ბევრი არ შეიძლება ყველა პოეტში რომ ყველა ლექსი იყოს შედევრი.“ მეორის შესმა არაფრით არ ქნა ის თავისებურ იყო მწყურვალი: „შვილო ეს ერთი დღეს ჩემთვის კმარა იქნებ სხვა ვინმე გაჩნდეს მწყურვალი.“ დაგვემშვიდობა გვითხრა: „ნახვამდის!“ შემოინახა მადლობა ხოლო დაგვემშვიდობა და წასვლა სურდა მაგრამ არ იყო „ნახვამდის“ ბოლო. და ის-ის იყო უკვე დრო იყო ჩვენც ამოგვეცნო დრო დაშორებით რომ მთა-გორაზე გადმოდგა მამა ჩვეულებისმებრ ქორჩის სწორებით. „ეს კი ვინ არის?“ – მკითხა პოეტმა და მოიხრდილა ხელ ვალინდელი მის ამ კითხვაში სჩანდა კვლავ ძალა დღე-მომავალი დღე-ხვალინდელი. „მამაჩემია!“ – ვუთხარი მე მას და მეც იმედით ამევესო გული დედასაც ამგვარ ესიამოვნა რადგან მას ამგვარ თან ჰქონდა თქმული. „გზაზე რომ ავცდი გამოდგა ალბათ!“ – თქვა დედამ ისე თავისთავს ესა მამაც მოვიდა უცნობ რომ ნახა ცოტა შეცბუნდა: „ვინ არის ესა?“ შევხედე უცებ აზვირთდა მეფე როგორც მდინარე ურჩი რიონი მამას წარუდგა, ხელ გაუწოდა: „მეფე-პოეტი გალაკტიონი.“ „ილარიონი!“ – მამამ რაც ერქვა უთხრა ნამდვილი თავის სახელი მეფე-პოეტი გაოცდა ამით: „ამნაირ ჯერ დღის არ ვარ მნახველი!“ გადაეხვია აკოცა მამას მაინც სხვა იყო მგოსნის იერი: „აქამდე მხოლოდ სახელით გცნობდით, რომ შეგხვდით პოეტს ვარ ბედნიერი.“ „მეფე-პოეტი გალაკტიონი“ კი უთხრა მამას თვითონ პოეტმა მაგრამ ეგ მისთვის არ კმარის იყო გადაუარა მიეთ-მოეთმა. შევატყვე მგოსანს კი იღიმოდა მაგრამ მის ღიმილს სხვა აჩნდა: ეს ვის და ისე როგორც დგას ხე შრიალებს კმაყოფილებით თავისი ფესვის. ემზადებოდა სიტყვის სათქმელად როგორც პოეტი და მჯობნის მჯობნი. და როგორც იყო მიაგნო სათქმელს არავინ სჩანდა მასში ჩამრევი მივხვდი შინაგან წევას გაურბოდა რაც ლექსთან იყო მისი ამრევი. კერძოდ მას სურდა გაეგო მამის მისი შეცნობის კრძალვის უნარი რომ ის ხვდებოდა ვინ გალაკტიონს თუ გალაკტიონს ვინმე მჭმუნვარი. „აბა რა მქვია მითხარი ახლა თუ გული გულობს და ხარ მკითხველი არ შეარცხვინო ცოლის დედული... შენი სიდედრის მართას სახელი.“ მამას ღიმილი მოედო მთლიან თან აკანტურა მან ერთხანს თავი: როგორ არ ვიცი მაშ რისთვის ვცოცხლობ და რისთვის მერჩის სათონხად მკლავი. თქვენს სახელში დევს სიყვარულ ხალხის როგორც ხეობას უხმობს რიონი როგორ არ გიცნობთ რომ თქვენ ბრძანდებით მეფე-პოეტი გალაკტიონი!“ არა მეგონა ხათრიან მამა თუ კი ამდენსა ეტყოდა მგოსანს როგორც ჩანს ცოტა ნასვამი იყო მის სიალალებს ვხედავდი ფრთოსანს. ესიამოვნა მაშ გალაკტიონს მამის ნათქვამი თქმულ მის სახელი გამარჯვებულმა აღმართა ხელი რომ თავის თავის იყო მნახველი. ცნობიერებამ პოეტს გზა მისცა უფრო და უფრო აღმართულიყო დაღმა სიარულს არ ჰგავდა ეგ გზა მაგრამ ამჯერაც აღმაც რთულ იყო.

მამამ ანიშნა დედას თვალითა: „აბა სტუმარი სახლისკენ ჩქარა დვინო შევუსმელს როგორ გავუშვებ და მერე ეს-ვის? ლოდინი კმარა. თქვა: „გალაკტიონ ახლა ხომ იცი ქართველი კაცის მაინც გუნება, ახლოში ვცხოვრობთ მთლი გვეწვიე პატიუი ჩვენ არ გაგვემტყუნება.“

„არა ილიკო და ილარიონ მე და შენმა ძემ ვთქვით სადღეგრძელო წახემსებულნიც კარგად გახლავართ მოკლე გზას ახლა როგორ ვეგრძელო. ჩემი თოხია: აი ფანქარი და აი მისთვის მიწა-ქაღალდი ნაცნობები ვართ უკვე ერთურთის უნდა წავიდე ახლა ნახვამდი.

„ო, არა! – უთხრა მამამ თავისი – სტუმარი დვთისა მიდიხარ ისე რომ მეზობლებს არ გაგაგებინო უზარმაზარი ეგ სიხალისე.“

„ეგ სხვა დროს იყოს ეგ სხვა დროს იყოს ჩემო ილიკო და ილარიონ დღეს არ მთავრდება აქ ყველაფერი ხვალ ისევე უნდა ვთქვათ რიონ-რიონ.“

მერე მობრუნდა ჩემსკენ მგოსანი და მითხრა: „აი შეილო ხომ ხედავ! შენს ჭინჭილაში რომ დვინო ჩარჩა მას მოვაყოლე მგონია ზედ-აგ. ხომ ვთქვი: ვინმე კვლავ გამოივლის-თქო და აი ახდა სიბრძნე რაც ისა ხალხურ სიბრძნეში დიდია ნიჭი და იგი არის ხიბლი კაცისა. შენს ჭინჭილაში დვინო რომ არის თუმცა გასაყოფი რაოდენ ისა თხილს იყოფენ და ჩვენ წვეთ რომ გავყოთ ეგ არ იქნება ცოდვა თან დვთისა.“

და თავის დაცლილ მან ჭინჭილაში ის გადმოასხა ნახევრად მსგავსე რადგან მოსმული ის ჩემგან რაცა მაინც არ იყო პირამდე სავსე.

მამაჩემს უთხრა: „მთლი ილიკო ჩვენ ვახტანგურად დავლიოთ რაც-ეს ჩვენი შეხვედრა ეგ დღევანდელი ამ სოფლის ფარგლებს თან უნდა გაცდეს.“

„კარგი, მგოსანო! – მას უთხრა მამამ და ჭინჭილები ნახევრად ავსეს მკლავ-იდაყვები მოიჭვედეს მკერდზე თან სადღეგრძელოც ბაგეზე დასვეს.

მამამ თქვა: „ჰაი დღეს გალაკტიონ წუხილი უჩანს ჩვენს საქართველოს თუმცა უწუნარი როდის ყოფილა მთლი მის მაღლი ღმერთმა ართველოს. ჩვენი შეხვედრის მსგავს ესე წლები დაე ხვალის დღემ მისკენ იღეროს ქართველ კაცს იმდენ ჭირ განუცდია უფლებს არ აქვს დღეს არ იმღეროს. მაგრამ თუ ოდეს მტრის ზრახვა ავი აედევნება ამაგ-იეროს ახალგაზრდობის დიდ იმედი მაქვს და მტერს მიუზღავს სამაგიეროს. ქართველი კაცი მტერს არ გაუბობს ქართველი კაცი მუდამ გმირია ამის მოწმე ვართ რამდენი დღემდე გადაუხდია ომ და ჭირია.

„ცა-ფირუზ“ – ხომ თქვა დიდმა აკაკიმ „კარგო ქვეყანაგ...“ – თან დიდ ილიამ მაშ გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს დაე გვაცოცხლოს მის იდილიამ.“

გალაკტიონმა აჩერა მამა მეტი თუ რაღა იტყოდა თუ რას:

„ბარატაშვილი ბარათაშვილი არ გვაქვს ვერ ვხედავთ მის ნამდვილ სურათს. ეს მაშინ როცა იმ დროს იმ წლებში თავს გვაწონებდა ფოტოგრაფია ვიდაც ხომ არის აქ დამნაშავე მაგრამ რაღა ეს ბიოგრაფია. გაჩნდა ცნობები მაგრამ არ მჯერა ვითომ ჩვენს ტატოს სიკოჭლის გამო არ ჰყარებია ეგ გადაღება და მიტომც ასე დავრჩით უამო.

მე კი არ მჯერა, ვერ დავიჯერებ რომ პოეტ იყო ამნაირ-ცლილი ჩამოჯდებოდა... გადაიღებდა რაღა სიცუდის ამაში წველილი.

მხარში დამდგომი გარდა ბიძისა არავინ ჰყავდა სხვა რაღა ხოტბა არა ის სურათს გადაიღებდა რომ გასამრჯელო ჰქონოდა ცოტა. ან ეს უთხარით ვინ უთხრა ერთი მოდი და სურათს გადაგიღებო მას ხომ შეეძლო მარტო პროფილი ეჩვენებინა ქაღალდით-მღებრო ან ჩოქვით კიდევ რომ გადაეღო ან ცოტა ვიციტო რამდენი იგი როცა სურათში ჯგუფურ სურათში რიგის უკან დგას კიდევაც რიგი. ძლივს საცოდავი თავს ინახავდა ულუკმაპუროდ ბევრჯერ ყოფილა მაგრამ რას იზამ პოეტის ბედი დასაბამიდან ასე შობილა.

ერთად კი იყვნენ ბიძა დისშვილი გული გულს ჰქონდათ მათ მიღებული მაგრამ შორს იყვნენ გზით ერთმანეთთან ენატრებოდათ დღე-ღიღებული. რაღა ის ღმერთო შორეულ ყოფით რაღა ის კიდევ შფოთიან დროთა სიშორე წლების არცა დიდი ხნის რომ შევადაროთ სულმნათი შოთა. მხატვარ ნიკალას ცოდვით ვიწვები ღამეს სად ათევეს არავინ იცის სულ ერთხელ ვნახე ჩემს ცხოვრებაში და გონებაში მიხტის ფიქრ კვიცის. ქველმოქმედება ვიფიქრე მაგრამ დრომ მეც წამართვა საფიქრალ მისი მეც გასაჭირი დამაქვს ჩემივე და როგორ ამ დროს ვიტვირთო სხვისი ცოცხალს საცოდავს ყველა გაურბის მკვლარი კი მერე რამდენიც გინდა აქე აღიდრე ძეგლი დაუდგი რაღა მის თავდებ ცხოვრება ბრწყინდა. დედა კვლავ ფიქრის მორეგად იქცა შემოეძალა ფიქრები ვატყობ გვიან გაბედა სათქმელი მაინც ეგ მისვე სახეს უმაღ დაატყო.

„წვერს რად ატარებთ მითხარით ძმაო თუ გაიქვთ რაიმე ამის მიზეზი თუ ისე როგორც პოეტი ერთობ ან ხომ არა გაქვთ თქვენ ამით გეზი?“

„ო, არა დაო ძმის პატივ დამდემ მე გადავწყვიტე მომეშვა წვერი ამაში ცუდი არაფერია ხელს ვისვამ მისით ცოცხლდება ფერი.“

„კარგი მგოსანო! – ახლა მე ვკითხე თქვენ ფოტოგრაფის თუ მდგარხართ წინა ან თვით სურათებს როგორ ფას დადებთ როგორი არის დღეს მათი ბრწყინვა?“

„რა გითხრა შვილო მაინცდამაინც არ ვარ მოყვარულ რაღა სურათი თითო-ოროლა კმარა სახისთვის რომ გამიხსენონ ვიყავ თუ რათი. ისე ერისთვის დიდ რამეს ნიშნავს შემონახული სახის პროფილე ვინც უნდა იყოს ეგ სულ ერთია უნდა წავიდეს ის კმაყოფილი. აი რაღა ღირს დავითის სახე ... თამარის სახე კედლის ფრესკაში მათ სახეებში სჩანს მათი გული ვითარც ფუტკარი თავისვე სკაში. ხელოვნებაში დიდია ძალა ხელოვნებაში დიდია მადლი, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს სიცოცხლე და მიწა მერე სულ ორი ადლი. ზევით ნიკალა ვახსენე როცა გულს გადამიყვა მე სხვა დაღადი ნიძლავს ჩამოვალ ახლავე აქა თუ მას თავის თავ ჰქონდეს ნახატი. მას კი არ ვძრახავ ამ შემთხვევაში მე სულ სხვა ვინმე მყავს დასაძრახი თუნდაც ის ერთი თუნდაც ის ასი ვისგანაც მოდის ამნაირ კრახი.“

შევატყვე პოეტ ნაწყენი სჩანდა მაგრამ წყენა ვერ მივისამართე აღარც მიკითხავს მართალი რომ ვთქვა ეგ ჩემი ბოღმა ჩემს გულში ვართე.

„ღიან მგოსანო! – თქვა მამამ ისევე რაღა ეს დრონი ჩვენთვის ხმაღ ისა ჩვენ საქართველოს ღვიძილში ვცხოვრობთ მაგრამ ძილშიაც ჩვენ ის გვძახნისა.“



ბარათაშვილი... ბარათაშვილი... „ფიქრნი მტკვრის პირას“ „ბედი ქართლისა“  
 ბედ კრული ტატო ბედკრული ტატო რამ თუ ესე გზა წინაპართ ვლისა.  
 გალაქტიონ თუ გალაქტიონი რადა თქმა უნდა ვინც ერთად ერთი  
 თქვენ გალაქტიონ მუზა კი არა მუზა კი არა ლექსებს გკარნახობთ ზევიდან ღმერთი  
 მაშ ილარიონ მდინარეს ურბის და ეტანება იგი რუს უფრო  
 არა და არა მეფე-პოეტო სად გაგონილა ლხინი უსუფრო.  
 მას ვინ დაწერა „ლურჯა ცხენები“ გემი „დალანდი“ მშვიდობის წიგნი  
 შედეგური უფრო ის ჩვენი „მერი“ ან „ნიკორწმინდა“ სითბოთი შიგნით.  
 საქართველო და ურუსთაველოდ? რადა ვიქნებით ჩვენ ამის გარდა  
 თქვენ იდეგრძელეთ მაშ გალაქტიონ ამ დღით დაგლოცავთ რაც შეგვიყვარდა.“  
 მამის ნათქვამზე მეფე-პოეტსა ცრემლ მთედინა და თავს აქნევდა  
 სიტყვას სათქმელად ვერ ჰპოულობდა და დასაჭერად თან მას დასდევდა.  
 გალაქტიონმა მამის თქმულ სიტყვებს ხშირად აშველა „ამინ!“ მეოსნური  
 მართლა მეოსნური და მისაბაძი მაგრამ არაფრით არ ჯადოსნური.  
 მერე აქეთკენ მე მომიბრუნდა და მაღლა ისევ ასწია წარბი,  
 რადაც უნდოდა რომ ეთქვა კიდევ თავისდროული და გულში მარბი.  
 „გუნებით მივხვდი კაცი გამოდგა მხარზე არც თოხი არც კიდევ-თოფი  
 აბა წალაზე სხვა რადა საქმე უერთმანეთოდ სულელ ვინ მყოფი.  
 ხელში არც ჯოხი არც სალამური არც ზურგზე აბგა ჩვეული ხემსი  
 თუ ჯოხი არა არც სალამური არცა კვლავ კიდევ აღარც ის მწყემსი.  
 და რა თქმა უნდა არც ბადე ხელში რომ ამოიცნო მეზადურ ვინა  
 ამას ვფიქრობდი და ამ ფიქრებით ჩქარი ნაბიჯი მისწრებდა წინა.  
 თუ ამ ყველაფერს ასეთნაირად კაცი ვეღარ ხსნი რამე კავშირით  
 ის უნდა იყოს მაშინ პოეტი ლექსში ჩამჯდარი მაგრამ ნავსი რით?  
 გულში ვთქვი მამა რომ იყო შენი თანაც მსგავსება გაქვთ სახით ცოტა  
 ორივე ისე ხიოჭი სჩანხართ... მაგრამ ამასთან მოხდენილნ კოხტა.  
 ისე კვლავ უფრო მივხვდი იერით რომ მამას თოფი არ გექნებოდათ  
 თქვენ შეიძულეთ რადგან ის თოფი რომლითაც ერთი შემთხვევა გქონდათ.  
 გადარჩენილხართ ბეწვზე ძამიკო მოსალოცნია ნამდვილად ესა  
 თორემ იცოდეთ ამ ჩვენს შეხვედრას არ ერქმეოდა მზიანი დღესა.“  
 მამამ ღიმილით მე გადმომხედა გულით სიმართლე მის გულში ცხონდა  
 მიხვდა ყველაფერს რომ პოეტისთვის მე სიტყვა-სიტყვით ჩაკაკლულ მქონდა.  
 გალაქტიონმა იცინა ბევრი ხან წარბი ჩხრიკა ხან კიდევ წვერი:  
 „თქვენ აგაშენათ ღმერთმა ძამიკო!“ – თავისვე ნათქვამს დაუკრა კვერი.  
 მას მეტი სიტყვა არა-რა უთქვამს არ შემეკობილა დრო მისი სიტყვით  
 დე მეგობრულად ესე სასმისი როგორ დალიეს თქვენ თვითონ მიხვდით.  
 მან ჩამოგვართვა ჩვენ ყველას ხელი და კვლავ ღიმილის გვიჩვენა კბილი  
 მე ეს ვიგრძენი მის ხელთან ერთად რომ გულიც მისი თან იყო თბილი.  
 „კი მართალია დღეს თქვენს ოჯახში მე ვეღარ მოვხვდი სტუმრად მყოფელი  
 მაგრამ დრო მაინც ღირს არის ესე რა თან წარსული სოფლით-სოფელი.  
 და მაინც თუ დრომ თავისი ნებით ვერ აღგვამაღლა გარეთ და შიგნით  
 მე მაინც მოვალ თქვენთან უჩემოდ და ბინას ვპოვებ ბევრ ჩემი წიგნით.“

დაგვემშვიდობა წავიდა იგი ქუდით კი არა ის ქუდმოხდილი  
და მის წასვლაში სჩანდა მთლიანად ერის წინაშე ვალი მოხდილი.  
არც ექნებოდა ღივი გზა ვლილი თვალს მიეფარა არსად არ იყო  
მამა კბილს ენას აჭერდა მისთვის და ეს უნდოდა წამომდგარიყო.  
დედამ შენიშნა ეგ საქციელი და მამას სიცილ აუტყდა ხელად  
გაჰკვირდა დედა გაკვირდი მეცა მამას კი სიცილ გარდექცა ხველად.  
„ეს რა წესია!“ – უთხრა მას დედამ კაცი ვისტუმრეთ ჩვენთან დარულად  
შენ სიცილს აყრი ზურგში უმაღლე რომ გაიგონოს რას იქმ ფარულად.“  
როგორღაც იყო დაწყნარდა მამა და თავისთვის თქვა: „ახლა მარა კი  
რამ გაგახსენა მითხარი შეილო შენ ჩვენს მგოსანთან ჩემი არაკი?  
მე ეგ არაკი თოფთან ერთ ჩავდე და დრო იშვიათ თუ გამახსენებს  
შენ კი საიდან რამ გაგახსენა ეგ აზრი ჩამრჩა და არ მასვენებს?“  
„ერთმა ჭინჭილა ღვინომ დაგათრო! – დედამ საყვედურ უთხრა პირსავესე  
მაგრამ გეტყობა უკვე გიწია შენს წინანდელ სმას დღეს მივამსგავსე.“  
მამას სიცილი აუტყდა ისევე აღარ იცოდა რა ექნა-ეთქვა  
დედა კი ისევე აენტო უმაღ გული დაეწვა და დაეთეთქვა.  
მამამ თქვა: „აი ჩემო ქალბატონ რისთვის დამაკელ სათვალავ რიგი  
ერთი ხომ შინდა დაღეულ მქონდა მასზე მისათვლელ არ არის იგი?“  
დედას არ უთქვამს ამაზე რამე იჯავრა: „გუთხარ ნეტავ რად ბევრი  
კაცი მთელი დღე თოხს უბაყუნებს და მოეკიდა ხომ არ არს ქვევრი.“  
კითხვის პასუხი მეც თანა მრჯიდა ვით არ ამეხსნა მამისთვის ისა  
რაც როგორ მოხდა ვით სიტყვას მოჰყვა მისი ამბები არაკად თქმისა.  
გუთხარ: „უბრალოდ რადაცნაირად სიტყვას მოჰყვა და მეც არ დავმაღლე  
ცუდად არ მითქვამს ხუმრობად დარჩა და ხუმრობითვე ქარს გაჰყვა მაღლე.  
მამის მეტ კითხვას თავ აგარიდე რაღაი მისგან მეტი მისი თით ხრა  
არც მამას ისევე დაჟინებულად არ უთქვამს ის რაც მან წელან მითხრა.  
მე კი ჩემი თქმით ზრდილობის ნიშნად მოკლე კონკრეტულ მივეც პასუხი  
დედამ და მამამ კარგად გამიგო და ერთი სიტყვით ჩაქრა სასუსხი.  
დედის წინ რიგით დგომა ვირჩიე მამის წინ რიგი რაღა მის ხურდა  
თუმც ბავშვი ვიყავ მაგრამ სულ მაშინ მე პირველობის აღება მსურდა.  
ეს იყო ხტომა თუ წყალში ყვინთვა ან თუნდაც კიდევ სირბილი შორი  
უპირველობით ზოგჯერ მარცხიან მთელ დღით ვტიროდი რომ გითხრათ სწორი.  
ჩხუბის მოთავე არასდროს ვიყავ სხვის პირველობის არც მქონდა შური  
ეგ სახეობა სისუსტის გამო მე თვითონ მოვხსენ ვით ჯადოსნური.  
სიმაღლისაკენ მიყვარდა სწრაფვა ხის კენწეროვებ სავიშვიშორე  
მთა-გორა იყო ჩემი სამიზნე ან ზღაპრულ კოშკის სივრცის სიშორე.  
მე უმაღ დეის წინ გადავედი პორიზონტს უკვე თვალთ მზირველი  
მამამ და დედამ ერთად თქვეს გულში: „და აი დმერთო აქაც პირველი.  
ის იყო ცოტა გამოცვლით ალაგს რაღა თქმა უნდა უხმოდ და მგზავრად  
რომ დედამ მითხრა: „შეილო ფენს ითრე რაღაც გეტყობა გულში გაქვს ჯავრად.  
მითხარი ჩვენში არ შეიძლება რომ დაიმალოს იოტის ოდენ  
თუ გულს რაიმე ხინჯად გაქვს შიგნით მაგ სინაკლულით ვერცა რას მოდენ.“

მითხარ კოკნობა გულის რად დაგაწვა რა მიზეზი სახეც რომ გიმძიმს  
 გალაკტიონთან თვალ გიბრწყინავდა ახლა ვერ გატყობ მე თვალთა ციმციმს.  
 ხომ არა ნაღვლობ მასთან შეხვედრას თუ განშორებამ დაგწყვიტა გული  
 მითხარი შეილო ნუ დაგვიმალავ ამ წუთში შენი ბევრს ნიშნავს თქმული.“  
 ვუთხარ: „ეჰ დედი მასთან შეხვედრას ვერ დამავიწყებს ვერც დღე ვერც ღამე  
 სულ დავიბენი რომ ტიციანზე ერთი სიტყვითაც ვერ ვკითხე რამე.  
 ხალხში ხმა დადის თურმე მღურობდნენ ნეტავ რა ჰქონდათ ბიძაშვილთ მღურის  
 ორივ ერთ მიწის ორივ ერთ ფუძის ორივ პოეტი გენ-სისხლით ძმურის.“  
 ორივ პოეტი! – თქვა დედამ მისთვის მეტ რაღა შეილო გასაგებ მნათი  
 რომელი რომლის მჯობნ იყო ნეტავ ეგ იქნებოდა მიზეზი მათი.  
 „სწორი ხარ იულ! – თქვა მამამ მისი მეც ასე ვფიქრობ ღმერთმანი ამას  
 ადამიანი როს მწვერვალს იპყრობს შური დაჰყვება ასეთ ღროს ამბავს.  
 ერთ ანდაზასაც გეტყვით იოლსა გამოვიცალო ბარემ თან სიქა:  
 „თვალი თვალისა მტერია შეილო რომ ცხვირ გამყოფი არ იყოს იქა.“  
 მივდიოდით და ამ სიარულში არ დაილია გზა მაინც სვლისა  
 გზაზე იმდენი ვილაპარაკეთ ახლაც მე ის ღრო სიყვარულს მგვრისა.  
 „არც თვითონ დასცდა ამის შესახებ მანიშნებელი მას რამ ნაერთი  
 სულ ოცნებაში იყო ჩაძირულ მიწაზე მაგრამ ცის შენაერთი.  
 რომ დაგუძახო და სევაცერო ჩემგან ბოდიში რა უხერხული  
 იქნებ ეს ასე თან გაუხარდეს და ჩემთან ერთად უსვას ფერხული.  
 „კარგი ასე ვქნათ! – დამთანხმდა დედა – რომ გალაკტიონს ხმა მიაწვდინო  
 და ის რაც გულში ხინჯად გაქვს შეილო თან ძალა შეგწევს რომ აღიდგინო.  
 თუ კი ეს გჯერა რწმენა გაქვს ესე და მერეც გინდა რომ იყო ღამის  
 მაშ მე ნებას გრთავ კვლავ მიუბრუნდე მაგრამ თან ხათრი მოიდე ღამის.  
 „თუ ხმას მიაწვდენ კარგი მაშ შეილო! – მამაც დედას დაუკრა კვერი  
 შემოვტრიალდი დიდ გზას გავხედე და გვიან იყო ეგ ყველაფერი.  
 შევბახე მაგრამ რაღა ძახილი ჩვენს ამ ბაასში გასულა ხანი  
 გალაკტიონი აღარსად სჩანდა სხვა რაღა მქონდა გულმოსაფხანი.  
 დედა დაღონდა აღარ იცოდა როგორ აეხსო მას ჩემი გული  
 ჯავრში ჩავარდა რაღა ეს წუთი ამნაირ დღისთვის ამნაირ თქმული.  
 მამაც ჩამოჯდა უკვე ხის კუნძზე ვერა აუხსო გული სიამემ  
 აღარც იცოდა ჩემთვის რა ეთქვა და გულ შეუპყრო რაღაც სიამემ.  
 და მაინც მითხრა: „შეილო ესეა ცხოვრებისეულ ეგ ლად წუთები  
 ზოგჯერ მეტს გვირბის ზომაზე მეტად რაც უფრო მეტ მას ესათუთები.  
 თავს ჯავრს ნუ მიცემ ბავში ხარ ჯერ შენ და უფრო მოგედგამს ღვაწლი ამისა  
 დღეს ამნაირ დღეს ნუღარ გადაშლი რადგან ის არის თრგუნვა ღამისა.  
 მეც კი ვარ შეილო გულდაწყვეტილი თუ რომ შენსავით არ მაქვს ძირ ცხვირი  
 მგოსანი ჭიქა ღვინით ვისტუმრე დღეს ამ ხნის კაცმა ვჭამე სირცხვილი.“  
 დედამ თქვა: „კარგი ეს ილარიონ შენგან ამნაირ ეს რაღა თქმული  
 შინ ვეპატიუეთ აღარ დაგვთანხმდა გარეთ რაც გვქონდა შიგ ჩავდეთ გული.  
 მგოსანს გაფუგეთ და ჩვენც გაგვიგო შენ რაღა ახლა ეს სიფიცხენი  
 ალბათ ამნაირ ბედ იყო ასე თორემ სულ აქ ხომ ჩვენ გვება ცხენი.“

მამა შეწუხდა თავის ნათქვამზე ვერ მოუვიდა მთლად კარგად თქმული მოუბოდიშა დედას ამისთვის: „კარგი ძვირფასო ნუ მოგდის გული! ისე კი თვალ აწ მომაგაღს დასდოთ უნდა იცოდეთ შენსას მრებელი ერთთან ერთ საგზაღს თან უნდა ახლდეს ერთი კაცისა შესასწრებელი. ამგვარ წესს ვერსად ამოიკითხავ მაგრამ წესია მხოლოდ ამისა წინაპრებიდან ამგვარად მოგვდგამს და რაღა ეს დღე უფრო ღამისა. ისე კი ამას მიგრძნობდა გული რაღაცნაირად გულ-გულ ყურთვალი რომ ვიღაც კაცი გარეთ ან შიგნით დღეს დამრჩებოდა ნაღდათ მწყურვალი. მაგრამ ამ საქმეს რაღას ვუშველით რაღას ავიართ გზას უადმართოს უნდა ვეცადოთ თავს რაც დავმართეთ რომ მომაგალში არ დავგემართოს. ყველაფერს კაცი წინ ვერ დახვდება ვინც უნდა იყოს თუგინდ ის ბრძენი ჩემი გონებაც ვერ შეწვდა ამდენს მაგრამ ხომ ვამბობ ის შევიგრძენი. და მისთვის ამას დღეს კი არ ვამბობ რომ ჩვენ დღეს კიცხვას ვიმსახურებდეთ პირიქით ის რაც დღეს შევიცანით ხვალ წინდახედულ საქმეს ვყურებდეთ. მიმიახლოვა მამამ თავისკენ და მე და დედას გადაგედო ხელი მე ცრემლიანი თვალი მომწმინდა ო რაღაცნაირ და მაინც ცხელი. მოდი ვიმღეროთ ახლა ნაღური მოდი ვიმღეროთ ახლა ბანური იმ ქართველის დედის გმირულ ამბავი რამე თუ მისი იავნანური. დაიწყო მამამ თავის სიმღერა და მეც ავყვევი ძალა უნებურ ავყვევა დედაცა სხვა რაღა ექნა ჯავრიან მაგრამ თავის გუნებურ. ნიავიც ავყვევა ჩვენ სხვათა შორის და სიმინდის მხრებს ხან-ხან გვახებდა თუ სიმღერის ხმას ძირს დავუშვებდით ხელად საყვედურს შემოგვაძახებდა. მამის მღერაში იდო სიმბოლო მშრომელი კაცის ფიქრში ოცნება რომელ იმედშიც თან სიყვარული სულ თავისთავად რომ იკოცნება. „კარგი სიმღერა გამოგვივიდა! ან რას მოგვცემდა ასახვა ავად და დედასთანა მეც თან მაკოცა დიდ სიყვარულის დასახატავად. „მინდოდა ისევე კვლავ რომ მეკითხა! – ვთქვი მაინც ისევე გულდაწყვეტილმა – „ხელისუფლება ნიჭს ვით აფასებს ვით ჩაიარა წლებმა მეტწილმა. ან მგოსნებს შორის მეფე-პოეტი მოიაზრება ის როგორ ღირსად გასამრჯელოზე ხომ არ არს მარტო და ხომ არ შია პოეტის პირსა. ან მგოსნებს შორის ან მგოსნებს შორის ხომ არ ტრიალებს შურის ბაცილა რაც სადღეგრძელო აწ თან უნდა ვთქვათ თქმამდის ის ნეტავ ხომ არ დაცლილა.“ მამამ დიდი ხნით ზომა და წონა ჩემი კვლავ აზრის ჭეშმარიტება მერე ის ჩემკენ მობრუნდა ისე თითქოს უფრინეს თვალწინ ჩიტებმა. „შემოინახე შეილო ეგ გულში რაც დღევანდელი ნახე სიამე რაღა ეგ ხვედრი ამნაირ დრისა: შენ შეილო ვარდი მამას ია-მე. ისე მეტ-ნაკლებ მეც შემიძლია რომ ამ კითხვაზე პასუხი ვაგცე მეზღაპრე არ ვარ შენც კარგად იცი და სხვანაირად ვერ გადაგაქცევ. ხელისუფლება რა ვიცი შეილო თანხვედრ თავისთავს მიეზიდება თავ-სიცოცხლეში ნიჭს ძნელად სცნობენ სიკვდილის შემდეგ რაღა დიდება. თუ ქვეყანაში ხალხს ხალხი უყვარს ხელისუფლებაც ამ ხალხით ცხოვრობს მაშინ სამშობლოც სუნთქავს იმისთვის რომ თან წარსული დაიმახსოვროს.



ხოლო პოეტთა შორს რაც ეხება მათ შორის გზები არ იფარჩება  
 ხვედრი მომავლის დიდია მაგრამ სულ ყველაფერი წარსულში რჩება.  
 მაგრამ ზოგი ნიჭს თუ ვერ უძღვება და ვერ უძღვება თავის რაობას  
 ასეთს შური ჰკლავს მაგრამ სიმაღლე მისი თან რჩება უმოძრაობას.  
 და ჩვენს მოსანსაც დღეს გალაკტიონს ეძიებოდა ზოგ-ზოგი ვიცი  
 რითმის მოპარვაც ქურდობა გახდა რაღაა ცხენი რაღაა კვიცი.  
 იცოდნენ შვილო ნიჭს ღმერთი მოძღვრავს სხვანაირ ისე ვერ ივლის წლები  
 ნიჭს ღმერთი მოძღვრავს მაგრამ ხალხია რაღაცნაირად მისი შემძლები.  
 ეგ ფილოფოსთა საკითხი არი ჩვენ მისი განსჯის არ გვაქვს უფლება  
 ერთი კი არის მის ყულაბაში დღეს ცალკერძ სიტყვა-თავისუფლება.  
 ისე ზოგ შურიც არ არის რისხვა თუ მას თან დაჰკრავს პატარა ლიბრი  
 ეგ სიცოცხლეა ნიჭის გამოცდის რომ არ დამყადეს წინ სწრაფვის ჯიბრი.  
 ნიჭის სიმაღლე თუ არ გამოჩნდა მაშინ არც რამეს ექნება ფასი  
 მე პოეზიას კი არ ვგულისხმობ სხვა ყველა საქმეც ეგრეა მსგავსი.  
 ზოგს მკლავი ერჩის და ზოგს გონება სხვაობა რა მის გრძნობა ეული  
 ყველამ თავისთავს უნდა მოსთხოვოს თავის შეძლება თან ღირსეული.  
 „წავიდეთ! – ისევ კვლავ გვითხრა დედამ – მეტ დაყოვნება რაღა ეგ ჩვენი  
 სადამოს ბინდი მოაწვა სოფელს დღით ხვალინდელის მეტისმეტ მჩენით.  
 „წავიდეთ! – მამაც წამოდგა ფეხზე ჩამოიბერტყა შარვალი გან-გან  
 ეს იმისათვის რომ ჩვენს მისიას სხვა გზა არ ჰქონდა წასვლისა რადგან.“  
 მოსაღამოვდა მოსაღამოვდა და მზეც დაეშვა ბანვისთვის ზღვაში  
 მთლიან ჭალებსაც გადევრა ბინდი მას ვერცერთნაირ გავცვლიდი სხვაში.  
 მამამ თქვა: „აი ხომ ხელავ შვილო რაც დღის ხვედრია ის არის ღამე  
 ხელჩაჭიდებულ ვერ ვიართ ერთად ბილიკსაც ვერ წვდის ცის სიკამკამე .  
 წინ დედა წავა შემდეგ შენ რიგით შემდეგ შენს უკან მე კიდევ მრახე  
 სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა არ გადმოგვიხტეს ნადირი გზაზე.“  
 დაღლილ-დაქანცულნი მივედით შინა ღამე ეგ იყო იბანდა ხელ-პირს  
 საქმე კვლავ ბევრი დაგვიხვდა წინა მამამ თქვა: „შვილო შაქარი შენს პირს.“  
 ჭიშკართან ფური ბლაოდა ისე ხმა ამოჰქონდა თვის ამ ნართების  
 ხბორებს სახბორე გამოენგრიათ ძებნა დაგვჭირდა მისამართების.  
 ქათმებს საქათმე ველარ მიეგნოთ მამალი ხის წვერს ზედ მიმყნილიყო  
 ვერც გავიგებდით ადგილ-სამყოფელს რომ არ ეყივლა ერთი ყიყლიყო.  
 მე ვთქვი: „უდროოდ მამალს მყივარსა თავს მოაჭრიან სასჯელის თქმისად.“  
 მამამ თქვა: „შვილო სწორია ეგ თქმა მაშ ხალხის თქმული განგკითხოთ ვისად.  
 როგორც სწანს სტუმრის მოლოდინშია სულდგმულს ყველაფერს აქვს წინათგრძნობა  
 მაშ ჩვენც ეგ თქმული გულში ჩავიდოთ თუ რას მოგვიტანს განგსაჯოთ ბრძნობა.“  
 „კარგი! – დავთანხმდი რა ჩარა იყო სიბრძნეში ისევ სიბრძნესა ვდებდი  
 ნიძლავის დება რა ხელს მოგვცემდა არც რას ვიგებდი არც რას ვაგებდი.  
 შეწუხდა დედა შეწუხდა მამა შემოაღამდათ მსგავს რა ამ ხელად  
 მამა კი უფრო არხეინ იყო: „ის კი ვინც ვნახეთ ღირს გასამხელად.  
 სოფლელი კაცის ცხოვრების გეზი ასე ყოფილა ასე იქნება  
 მუდამ ფუსფუსში რომ არს დღე და ღამ ამინდის დარად აქ-დრო იქ-ნება.“

გავინაწილეთ ჩვენ ჩვენი საქმე მამამ ითავა ფურის მოწველა  
 რადგან დედასა უჭირს ადგომა დასასვენებლად როს წამოწვება.  
 მე ქათმებს თავი შემოფუერეთე სადღაც ხბო ბაწრის ნაგლეჯს ღეჭავდა  
 ერთი ქათამი არ სჩანდა არა მამამ თქვა: „აღბათ მელა შეჭამდა.  
 დედას არ უთხრა ამ გულზე არა ხალისზე საწყენ უჩნდება ხელად  
 თვითონ დაითვლის თვითონ გაიგოს როცა დრო მოვა მის გასამხელად.  
 ნუ გავუფუჭებთ ხასიათს შვილო ხომ იცი როგორ წვალებით ზარდა  
 სხვა დროისათვის გადავდოთ ეს დრო მესაიდუმლე შენც ჩემი ხარ და.“  
 მეც დავეთხმე მამის ამ ნათქვამს როგორც დაგეკვირდი ამგვარად სჯობდა  
 დედა იწვა და მის ამოხსნას ხვალინდელი დღის მზე დარაჯობდა.  
 ცეცხლი შევანთეთ ბუნართან შეშის დედას რომ ყველი ამოეყვანა  
 მე ვთხოვე: „დედი შენ დაღლილი ხარ და მე ამ საქმეს მივხედავ თანა.“  
 „კარგი მაშ შვილო სცადე შენაცა მესიამოვნა რომ მითხარ ესე  
 დარდი მომშორდა ოდნავ პატარა შენ მე ამ სიტყვით მაუკეთესე.“  
 დედისგან მქონდა ხშირად გაგონილ რომ ყველს სჭირდება დიდ სისუფთავე  
 რადგან თვით ყველში ზოგჯერ ბეწვიცა უსუფთაობის არის მოთავე.  
 ამიტომ იყო წველის წინ დედა ფურს ყოველ ჯერზე უბანდა ცურსა  
 თვითონ თავს ისე მოიწესრიგდა... ყურსაც კი ბერტყდა წველის წინ ფურსა.  
 გულში სულ მქონდა ერთი შეკითხვა მაგრამ მას დედას ვერ ვუბედავდი  
 არადა ზოგჯერ ამ საიდუმლოს მე ყოველდღიურ თვალთ ვხედავდი.  
 გავტყდი და ახლა ვუთხარი დედას: „დედი ერთი მსურს ამის გაგება  
 ძნელი შეკითხვა არ არის მაგრამ ჩვენს საქმეს იგი ესადაგება.“  
 „თქვი შვილო გულში რაც გაქვს სათქმელი ვით შეიძლება დამალო ისა  
 მას შეიძლება სხვა დაემატოს პიტნის თუ არა ომბალოისა.“  
 „შემომჩვევია მე ზოგჯერ დედი ზოგჯერ კი არა ვისთან და რასა  
 მეზობელს ყველი როს სესხად მიაქვს რად გაციცქნიან უკანვე მასა?  
 დედამ იცინა ამ ჩემს კითხვაზე ამოებჯინა გული ყელამდე  
 მითხრა: „შვილო ხარ ცნობისმოყვარე და ეგ მაცოცხლებს რაც ვებელ აქამდე.  
 „ამას იმიტომ შერებინა შვილო ხელს არ გადაჰყვეს წველა ფურისა  
 ამიტომ ამით ხელსა ვიბრუნებთ ნუ გეშინია შემდეგ ნურისა.  
 თავისდათავად მეც ასე ვშერები როცა მეც სესხად ვღებულობ ყველსა  
 ამას თავისი განგება მართავს მომდინარეობს ის ჟამით ძველსა...  
 ახლა ყველის წინ შესამზად პროცესს აქვს თავისებურ მაინც თვისება  
 მკვეთს რომ ჩაასხამ უნდა ილოცო და სინაკლულე ლოცვით ივსება.  
 სარევი ჩიბხა არ შეიძლება რომ იყოს დაფნის ატმის ან ბზისა,  
 მაინცდამაინც უნდა ლედვისა აღბათ ამაში ნებაა ღვთისა.  
 რევის დროს კიდევ წვრთა გვმართებს ბაგის დაუწრუპუნო თან მას სამჯერა  
 რა კარგი არის თუ ჩემმა სიტყვამ გული გაგიტბო და დაგაჯერა.“  
 „კარგი ეს დედა გასაგებია და კვლავ მეორე გამიჩნდა კითხვა  
 ვერ მოვისვენებ შენს თავს ვფიცავარ არ შემიძლია ის რომ არ გითხრა.  
 ხშირად მსმენია რომ ავი თვალთ ფურმა დააგლო ზოგჯერა წველა  
 ნეტავ თუ არის ამაში ალღო ან თუ სიმართლეს მსახურებს ყველა?“

„ეგ შვილო გეტყვი ძნელი კითხვაა ზოგჯერ ცრუ არის და ზოგჯერ არა მეცნიერებაც ვერ ასაბუთებს ეგ შენმა თვამა გაჯეროს რა-რა.“

„კარგი დედოკო მეტს აღარ გკითხავ!“ – მივედი დედას ვაკოცე მცნელი: რომ იყო დედა და ის მშობელი ერთერთ ამ ერის გამგრძელებელი. შევაკიზინე პატარა ცეცხლი შედედებულ რძეს ყოფნის სულ ცოტა რაღა თქმა უნდა ჩემზე ეკიდა დღეს დედის მიერ გაცემულ კვება. თავზე მზის ქული ჩამოვიფხატე დედა მის მანდილს ხომ იხურავდა ასე რომ დედის ყველა წვრილმანი მე იმ დროს გულში სათუთად მყავდა. რა ქვაბი შეთბა ხელ დავიბანე და რძეს ხელები მივრი-მოვრიე სულ დაიშალა შევშინდი კიდევ მოდი და ახლა უთეორიე. მაგრამ რაკიდა რძემ სითბო იგრძნო ნამცეც-ნამცეცებ შეერთდა ყველა და მიეწება ერთმანეთს ისე ვერც მოწიწკნიდი მას მწიკვსაც ვერა. ვინატრე მაშინ ნეტავაც ღმერთო ქართველთაც მოგვდგეს ეს შეერთება რადგან სრულიად მუდამ თავიდან წინ-წინ მიზანი სულ გვეერთება. ამოვიყვანე და ჯამში დავდე ყველი რომელსაც ჭყინტი ჰქვიოდა ვასიამოფნე კი დედას ამით მაგრამ რატომღაც გული მტკიოდა. შემაქო დედამ მითხრა: „კარგია ვაჟი ხარ მაგრამ არ ითაკილო ეგ იმერული შეცნობა გახლავს თავისებური თან ვითა-კილო ცოდნა ყოველი კაცს ავსებს ყოველის არ მოსჭარბდება არასდროს ისა იგი ყოველთვის თვით გულში ბრწყინავს და ძახილია მომავალ დღისა. ვინ იცის რამდენ წვალება კაცსა გამოუვლია აქამდე შვილო სად იყო ქვაბი მითხარი შენა თიხის ქოთანი ეგ იყო შლილო. იყოს მაგ ცეცხლზე ეგ ქვაბი შვილო შენს შემეცნებას ბარემ კარ ვუღოთ ახლა ყველაფერ ამასთან ერთად თანაც ნადული წამოვადუღოთ.“

„კარგი დავთანხმდი! – კვლავ დედას ისევ საინტერესოც სჩანდა-უფევა რომ ქალის საქმე ოჯახში არ სჩანს მაგრამ დიდი აქვს შრომის სუფევა. როცა ყველაფერ მორჩა-მომთავრდა დედას ვუთხარი: „მჭადს გამოვაცხო ბარე მეგ საქმეც მოვსინჯო ვაჟმა საკუთარ თავთან მეც მსურს დავაცხო!“ დედას სიცილით გული ავესო დიდხანს იცინა გულიან მართლად: „როდის იქნება რძალს მოვესწრები ქვეშ გავეგები დედამთილ ფართლად.“

„მამამ იცინა აქ დედის თქმულზე როს სულ მოითქვა უწყინა დედამ უთხრა: „შე კაცო რა ვთქვი ასეთი რამ გაგაცინა ღმერთმანი ნეტავ?“ მამამ კი უთხრა: „ჰაი დედამთილ ნაადრევია ჯერ შენი ხენეშა შენ თვით ფეხების რა მოგახსენო იქნებ და რძალმა გაგიგოს ქვეშა.“

დედამ პირჯვარი გადაიწერა: „ღმერთმა ნუ მასწროს ამნაირ დღესა ჯერ ერთი მიტომ არ ვიმსახურებ მერე მეორე ჯერ ძალა მწევსა.“

„კარგი გეხუმრე! – მამამ ეგ უთხრა – „თვით რძალსა უნდა მოჰყვეს ზნეობა ეგ თუ მას თვითონ არ აღმოაჩნდა რაღა დამხვედრის კეთილდღეობა. კარგი ესე ვთქვათ მოგვარდა საქმეც და რძალი შეგვხვდა ზნეობრივ მყისე როგორც ჩვენ ისე რაღა თქმა უნდა მოსიყვარულე თავისვე ყმისვე. მაგრამ ხომ იცი ძვირფასო დღესა ახალგაზრდობას სდევს ცმის კულტურა თუ ჩააცმევდით რძალს მოკლე კაბას რომ დაიმცნიოს თავის სკულპტურა?“

„ქალს მოკლე კაბა ანდა გულია ან და დეკოლტე ან და შარვალი ასეთი რძალი რძლად ვით ითქმება იგი იქნება ალბათ მტარვალი.“

„საჭეს რომ მართდეს ან ცხენზე იჯდეს ან ხედვა ჰქონდეს მას ამაყური ნუთუ სიყვარულს ეგ განაქიქებს რომ სიძულვილში სჩანდეს თვალ-ყური.“

„ქალი და საჭე ქალი ზვინს დგამდეს და მის ქვეშ იდგეს ხალხი მიღეთის არა და არა შენ გენაცვალე ეგ საზღაური არის ბილეთის.

ჰა კარგი თუნდაც ველოსიპედი გამონაკლისიც მისებრ ქალისა სადაც ფეხს ასწევს მხოლოდ მუხლამდე როგორც ეგ მოხდა ქალურ ვალისა. მე ხალხში ქალის რაობას ვზომავ და თან ეგ არის ჩემ სალანძღვარი თორემ ლოგინში ქალის ფეხებმა ქმართან არ იცის არა საზღვარი.

ახლა კვლავ კიდევ სანამ მკითხავდე მე პლაჟზე გეტყვი რა აზრისა ვარ ერთად რომ გორავს ქალი და კაცი და მე მათ შორის კაბიან ვმდგარვარ. ბევრი ვაჟკაცი მინახავს პლაჟზე რომ იბრაგუნებს გულ-მკერდზე ფხრიწვებს წინ მწოლიარე შიშველ ქალს ნატრობს რომ სილის ნაცვლად მის მკლავზე იწვეს. და სხვათა შორის ეს აზრი დამდევს ამეკვიცა რამე თუ ვალის პლაჟიცა უნდა გაყოფილ იქნეს როგორც ასეთი: კაცის და ქალის.

„თუ ცოლ-ქმარია? – ეგ ჰკითხა მამამ და მიატოვა სიტყვა ნაჩენი.“

„ცოლ-ქმარის სიშიშველე საწოლში მხოლოდ ამას ღვთის ნებაც გეკარნახობს ჩენი. მაშ რისთვის გაჩნდნენ აბა სიტყვები: პატიოსნება სინდის-ნამუსი ნუთუ ამ სიტყვებს აღარ აქვს ფასი და წამოაჯდა ტუტუც-ნამუსრი. ო, არა ღმერთო რწმენის შელახვა ო, არა ღმერთო მისი დაცემა რაღა დარჩება ქართველის მეობა თუ ამ ყველაფრის მოხდა გაცემა. კარგი რა ვუყოთ დამოკლდა კაბა კარგი რა ვუყოთ მკერდ ღია მეტი მაშ რისთვის გაჩნდა სამოსი ქვეყნად ესეც ხომ არ არს ციფრი ცამეტი. საიდან მოდის მითხარ ეგ თქმული-ქალი-თმიანი მწვადი-ცვრიანი ნუთუ ამ სიტყვებს გასდინდა ყავლი და გამოხუნდა მისი ცხრიანი. ქალის ღირსება ნაწნავი იყო და უნდა დარჩეს ერთხელ და მარად უმისოდ ცეკვას თუ არ აქვს ფასი მაშინ სიმღერაც უმისოდ არად. მაშ რისთვის გაჩნდა სირცხვილის გრძნობა კეთილი გული და სიალალე ნუთუ არსებობს მსოფლიო სიტყვა რასაც გვიქვიან შენ გენაცვალე. ერთსა სავარცხელს ცხრა ვეპარისობლით და ისიც მხოლოდ ერთადერთ ბზისა დღეს ათასნაირ ფორმის არსებობს ერთზე ცხრა მოდის ოჯახში ისა. მაგრამ რად გინდა ქალს თმა აღარ აქვს მოდა არისო ვაჟური თმები კაცებიც დაჰყვა ქალების ნებებს და უმორჩილეს დახტიან რძლები. თავი წესრიგში ქალს მოეყვანა მითხარ სად იყო საპონიც ანდა, ის რაც დასამალ იყო ვმაღავდით ასე სახალხოდ არ მოგვიჩანდა. თავ-საბან მიწას კარგად ვაშრობლით დღე და ღამ ქარში მზის გულზე ვდებლით და თმას მაშინვე იმავდროულად სირბილისათვის კმარს ვუმატებლით. კაბა ამდენი სად იყო ღმერთო ერთ საგარეო გექონდა მო-მარე იმდენად იყო გულ ახურული ვერ ჩაიჭვრეტდა შიგ კაც მდომარე. ჰა კაი თუნდაც წელზე ქამარი საყელს ფართე ყელზე მზომარე მაგრამ მუხლს ზევით ვის ეცვა კაბა მხოლოდ და მხოლოდ კოჭზე მწვდომარე.“



კიდევ უნდოდა დედას რამ ეთქვა თავისებური გულში დებული რომ შეაჩერა კვლავ მამამ ისა ქალ თავ გამომდე ყურ-მიდებული.

„კარგი დაწყნარდი ჩემო იულო დრონი მეფობენ არა მეფენი ყველაფერს დრო წვავს ამ ქვეყნიურად ღია კარს გამტვრევთ მხოლოდ მყეფენი. სხვა სხვის საქმეში ბრძენია მართლა ჩვენ ჩვენმა საქმემ გვეყოს დაქანდილი ქალის ღირსებაც მისთვის ფასდება რომ თავზე ხურავს მას თან მანდილი. კარგი და რადგან სიტყვას შემოჰყვა ვთქვათ ვადიაროთ ჭეშმარიტება ქალს-უქალწულს რძლად თუ მოიყვან თუ შეგწევს ამის შენ მიტევება? „რა თქვი ილიკო? რა გააგონე? ქალ-უქალწულო ვაჟს პატივებულს! არ გასულელდეს შენი მტერები არამც და არამც ეცხება ეგ გულს. „ვთქვათ შეუყვარდათ მათ ერთმანეთი არ შეუძლიათ უერთმანეთოდ ამ დროს რაღაა გამოსავალი ან თუ არსებობს იგი საერთოდ. უბრალოდ რომ ვთქვათ ორნივე იწვიან და მათ გარეშე მზეც არ ანათებს ვეღარ ითვლიან ჩვენებურ რომ ვთქვათ ტრფობის ქარცეცხლში ღამეს განათევს. სხვას არ გავყვები სხვას არ მოვიყვან ერთიც ამას მბობს და მეორეცა ერთი შეხედვით უნდა ვიცოდეთ მათთვის აღარ სჩანს ეგ მეორე ცა.“

„არამც და არამც ვთქვი ერთხელ მორჩა მეტს აღარ ვიტყვი ამის შესახებ და შენც ძვირფასო ჩემს გამომწვევად მსგავს ასეთნაირს ნურც შემომბახებ. კი როგორ არა ჩემო ილიკო და ილარიონ ძვირფასო ჩემო მოხდენით ქვეყნად ბევრი რამ ხდება და მეც არ მინდა ერთ ავიჩემო. მაგრამ ღვთის ნებას სად მიუღიხარ მაშ გაჩნდა ეგ წული ლალ-ის რომ მასში ბუდობს პატიოსნება სინდის- და ნამუს ღირსებად ქალის უქალწულო და პატიოსანი ქვეყნად მრავალი არსებოვს კიდით მე იმას ვამბობ მას თავის გზა აქვს თავის ნებიერ ხელისმომკიდით. კაცს შეიძლება ბედმა უმუხთლოს და ქალსაც ეგრე უმტყუნდეს ბედი ამ შემთხვევაში ცოდვა ის არის მათ მოიხარონ ბედის წინ ქედი. ქალმა კვლავ ბედი უნდა ეძიოს და კაცმაც მისი აღმართი მოხნას – უნდა ვიცოდეთ რომ გაზაფხული მხოლოდ მრავალსა მერცხალსა მოჰყავს.“

„თუკი დაქვრივდა ქალი ან კაცი და შევილნი დარჩა პატარ-ბაღღები მაშინ ცხოვრება როგორ გაგრძელდეს ცალ უღელა ხარს დასცემს ტალღები.“

„ეგ მართალია მათ ნება ღვთის აქვთ გინდ იყოს კაცი გინდ იყოს ქალი თუ გაეძღებათ უერთმანეთოდ ჩვენ მათი რაღა სესხი და ვალი. პირველ სიყვარულს ვერაფერს გასწევს მეორეც აგრემც მონაჩმახია ამ შემთხვევაში თხოვნა-გათხოვნა ღმერთო ნუ მიწყენ არ საძრახია. ამას ბუნების კანონი ითხოვს ეგ ღვთის ნებასთან ასოცირდება ამით არც ქალის ამით არც კაცის ავტორიტეტი კი არ მცირდება. ფილოსოფიას მოვეშვათ ახლა და ჩვენი საქმის ვწიოთ ჭაპანი ყველამ თავისი საქმე აკეთოს ასე ცხოვრობდნენ მამა-პაპანი. კაცმა ოჯახი უნდა არჩინოს ქალს შინაური საქმეც ეყოფა ეგ სამართალი თუ შეტრიალდა მორჩა იქნება ქვეყნის ხელყოფა. დიასახლისი – რა კარგი თქმა გვაქვს რაოდენ წინ დგას სიტყვა ფრთიანი დიასახლისი – მოიაზრება მხოლოდ კეთილი ადამიანი.

„ვაჟს აღარ ჰკითხავ როგორ ცოლს ითხოვს მოდის იქნება ის თუ არ მოდის თანამედროვე ახალგაზრდობა რძესავით დუღს და მალე გადმოდის.“

„ახლა ოჯახის საქმეს მივხედოთ! – თქვა მამამ – ახლა ეს არს მთავარი დრონი მეფობენ არა მეფენი გინახავთ ახლა სახლზე ყავარი?“

დედაც დაწყნარდა მამაც დაწყნარდა ჩვეულებრივად დაწყნარდი მეცა დაწყნარდი მაგრამ ამ სჯა-ბაასის მე ყველა სიტყვა სამოსად მეცვა. დიდ შვება იგრძნო დედამ ჩემითა თვალ უბრწყინავდა სიხარულითა გვიან ვივანშემეთ გვიან დავწექით ამ დღის მადლით და ამ დღის თქმულითა. გვიან ავდექით თავისთავადაც რამე თუ ღამის ნისლ-აბჯრიონი გაგხედე ჭიშკარს მოაწყდა ლურჯა ზედ დინჯად იჯდა გალაკტიონი.

„ჰეი ძმისშვილო ხომ დამპატიოეთ და მეც მოვედი ჩემი ცხენითა არაფერია უჩვევ ამაში!“ – მითხრა და ჭიშკარ არც რცხვინითა. მეც გავეგებე რაღა თქმა უნდა: „მობრძანდით ძია შინა ვართ ყველა მამა ხომ გახსოვთ გულსა იწყვეტდა: „გულ ვერ ვაჩვენე კაცს ჩემი ყველა.“ ცხენი ატმის ხეს თვით გამოაბა მსგავსად ჯვარედინ რითმის პასუხად კი იყო სხარტი სიტყვა-პასუხით მაგრად მაინც ის მოსჩანდა ჯმუხად. მითხრა: „ჯერ შენი მაგიდა ვნახო შენი წიგნები საწერ-კალამი დილა-მსვილობის ჯერ შენ ჭაბუკო და პირველ რიგში ჩემი სალამი.“ მეც ჩამოვართვი ხელი გულდიად თან ცხენისაკენ გამექცა თვალი მიმიხვდა ამას მეფე-პოეტი: „აჭენო გინდა გზად მიმავალი? შეჯიბრებისთვის ვამზადებ შვილო ეგ არის ჩემი დღეს ფიქრი მხედრის ატმის ვარჯიხედაც მისთვის მოვაბი სხვა მეტნაირი სახება ხედ-რის.

„დილა-მშვიდობის“ მეფე-მგოსანო მასიამოვნეთ აქ მოსვლით თქვენა გულში სიხარულ იმდენი მიდევს ვერ მობრუნდება სათქმელად ენა.“

„მამა სად არის? დედა სად არის?“ – სახტად მომკითხა პოეტმა თვისად. ვუთხარა: „შინ არის ორივე ძია და გეახლებათ სულ მალე წვისად.“

„არ დაუძახო არ მოაცდინო დილის საქმენი სოფლის ფხლარცია არცა მე ვჩქარობ არაყი რომ ვსვა გალაკტიონი ღვინის კაცია. ეს რა ხეივან ვაზის გქონიათ დმერთმა გიკურთხოთ მისი ფესვენი ქართული მიწის სიმბოლო რაცა ამისა შვილო მე ვარ შემსმენი: ცოლიკაური ციცკა ძველ შავი ალადასტური ხიხვი და პინო რაც მთავარია ამას ყველაფერს თავისდათავად გამოსდის ღვინო. ვაზი დიდ შრომას მოითხოვს შვილო თუ არ მიხედე არც მოგიხედავს მას თვალეზიც აქვს როგორც ამბობენ და გამრჯელ კაცის შრომის ყადრს ხედავს.“

ვამახარობლე დედას და მამას გალაკტიონის სტუმრობის ამბავ დედამ თქვა: „რადგან პატივი დაგვდო ხომ არ შევირცხვენთ ჩვენ თავსა აბა. კი დავპატიოეთ პოეტი მაგრამ იუხერხულა იქნებ აქ მოსვლა იფიქრა ალბათ: „რად შევაწუხო ამისთვის მალე დადგება დრო-სხვა. ნეტავ ის წუხელ იქ ხომ არ დარჩა წყაროსთან ხომ არ ათია ღამე ხომ მოგვეჭრება თავი სოფელში რომ დადასტურდეს ეგ ჩემი რამე. ჩვენ დავაშავეთ არ მივეძალეთ მივძალეობდით მას უნდა კარგად საერთო ენა ბევრი მოვნახეთ და გავიმეტეთ ის დასაკარგად.

აბა ამ დილით ამ ადრიანად საიდან გაჩნდა ნეტავ ის ახლა  
 როცა შინ მისულ არა მგონია და ის მოვიდა დრო გაგვიახლა.  
 ნაღდად იქ იყო ინტუიცია ამას მკარნახობს ნეტავ ეხ-არა  
 ან შეიძლება ცოტა იქ დაბლა გზაში მეზადურთ გადაეყარა.  
 დამე კარავში ათიეს იქნებ ახალი თევზიც სწვეს ქეიფ-მკიდევ  
 და მერე როცა თვალს მოატყუეს ამასობაში გათენდა კიდევც.  
 ეს ასე არის მაგრამ მას ახლა ხომ ვეღარ ვკითხავ წუხანდელ ამბავს  
 თუმც ეგ ამბავი ამნაირ რაც ვთქვი ჰგავს სინამდვილეს თან ამომლამბავს.  
 მგოსნის სტუმრობა შვილო დიდს ნიშნავს და ჩვენაც დიდი გეჭირდება თონე  
 მთავარი არის არ შევრცხვეთ ახლა არც ის ვარცხვინოთ კაც თავმომწონე.  
 სტუმარი ღვთისა ეს ბევრჯერ გვითქვამს კიდევ მრავალჯერ ჩვენ ვიტყვით ამას  
 სიმართლეს შვილო სად გაექცევი ერი აფასებს როცა მის ამავს.“  
 მამამაც კვერი დაუკრა დედას თავ აკანტურა თავისთვის დიდხანს  
 მერე ამავად მე მომიბრუნდა და თავისებურ სიდინჯით მითხრა:  
 „გალაკტიონი მაშ ჩვენთან არის ღმერთმა ადიდოს სახელი მისი  
 რამე თუ ქართველ კაცის შეძლება ასახდენელი ოცნება ხნისი.  
 შვილო ხომ გითხარ გულის ნუ დაიწყვეტ გამოსწორდება რაც არის ფლირსი  
 ყველას თავისას მიუზღავს ღმერთი ვინც თავისთავის დღეს არის ღირსი.  
 გალაკტიონის ყველა მისხალში ლექსი ბუდობს და რითმა ტრიალებს  
 ასე რომ ისა ლექსთ ნაშენია თვითონ მის თმაშიც ლექსი ტრფიალებს.  
 მამლის ყივილზე რას იტყვი შვილო ხომ გითხარ სტუმრის აქვს მოშოშრობა  
 და ხომ შეხედე ხალხის ამ სიბრძნეს რაოდენ დიდი აქვს წარმოშობა!“  
 „სწორია მამა! – ვუთხარი მეცა – სტუმრის საზღაურს მამალიც გრძნობდა  
 თუმც მის სასჯელზე ამოდ ვიყავ და სინარული მაინც მას სჯობდა.“  
 „აბა წავედით! – უთხრა მან დედას – ხომ ხედავთ საქმემ თან გვისასწორა  
 რაც გუშინდელმა გული დაგვწყვიტა ის დღევანდელმა გამოასწორა.“  
 გალაკტიონი ეზოში იდგა და ცას ხეივნის ღრიჭოთი ცქერდა  
 ხელში ფანქარი არ ჰქონდა მაგრამ ამ დროს ის ლექსებს მის გულში სწერდა.  
 ხმაურზე ჩვენკენ შემოტრიალდა ჩვეულ სიდინჯით თავ აკანტურა  
 გადაეხვია მამაჩემს უმაღ და დაუკოცნა ყური პანტურა.  
 „დაუპატიჟად ხომ არ მოვსულვარ ასე რომ აბუჩ არა არ მქვია  
 კი ვიყოყმანე მაგრამ მაინცა აგრე ვარჩიე ჩუმ ფიქრ ბაქია.“  
 „აბა რას ამბობ შენ გალაკტიონ“ – გაუთამამდა მამა მგოსანსა  
 მეფეს ყველგანა მიესვლელება მისთვის კარები ღიად არს ბანსა.“  
 დედამაც ხელი უწოდა მგოსანს მკერდს ეამბორა ვითა მწე მზესა  
 ვთქვი: „ერთი მიწის მგოსნად მიცვნიხარ და ახლაც გეტყვი მეორედ დღესა.“  
 „გმადლობთ დაიკო დედულს აფასებტ თან მასთან მამულს თავისთავადა  
 ამაში არის ქართველის ღირსება მშობლიურ ვალის დასაცავადა.“  
 სახელდახელოდ გაეშალეთ სუფრა მაღლივ სახლის წინ მოაჯირზედა  
 მამამ მეზობლებს მოუხმო ჩენთან „მობრძანდით კაცთან კაცია მზედა.  
 მეტ ძვირფას სტუმარს ვით ვუმასპინძლო დიდი მის ჩემთვის აქ ყორ-ცნა,  
 მამამ უხადი ქვევრი მოხადა ღვინომაც მისი შხეფები გვტყორცნა.

მიიპატიჟა გალაკტიონი უთხრა: „მგოსანო აქედან ვიწყით  
 თუ რამ გუშინის დარდი გვჩენია ახლა ის უნდა გადავივიწყოთ.  
 „რას ამბობ ძმაო რის დარდ რა დარდი შესანიშნავი შეხვედრა გგქონდა  
 თქვენი არ ვიცი მე კი ვით მგოსანს მე მისი წამიც ყველა მომწონდა.“  
 მამამ ორშიმო ჩაუშვა ქვევრში წყნარი დაწოლით აავსო ისა  
 ცდილობდა ზედმეტ არ ეთქვა სიტყვა პოეტისათვის უმსგავსოისა.  
 ამოსწია და შეავსო ჭიქა ერთი თავისი ერთი სტუმრისა  
 წუთიერ უცებ სიწყნარე დადგა მბებზღარობდა ღრო სიჩუმრისა.  
 უხერხულობა შეიქმნა ცოტა და ეს შეიცნო ვენახმაც ბაღმაც  
 გამოსწორა გალაკტიონმა თქვა: „დაიბადა გოგონა სადღაც...  
 ღმერთმა გაზარდოს ვინც იბადება და ვინც კვლავ კიდევ მოვიდეს უნდა  
 ჩვენს ცვლას მათი ცვლა სჭირდება ქვეყნად ვით ვარდს მშვენიერს თავისი სუნ და.“  
 მამამაც მისი ამატა სიტყვა: „თქვა ერს სჭირდება ყოვლის მატება  
 მეტნაირ ერთ ვერ იარსებებს კვლავ და კვლავ ისევ ეგ დაბადება.“  
 თქვა: „გალაკტიონ ბრძანეთ პირველმა ერთ სადღეგრძელო ჩემი გულისა?“  
 „კი ძმაო აბა რისთვის მოვედი თუ არ ეგ სიტყვა სიყვარულისა.“  
 ის იყო მზემაც ამოანათა აოქროსფერდა ჭიქებში ღვინო  
 გალაკტიონმა ასწია ჭიქა: „გული ვით მომცემს არ დავუბღღვინო.“  
 მიწერებოდი მეფე-პოეტსა ის მაღლდებოდა ცისკენ სულ უფრო  
 მიწაზე ფეხი ედგა არც ედგა ცამ მოიწმინდა ნისლიც საქუფრო.  
 „მოდო ამ ჭიქით ჩემო ილიკო ქართველის მდგომარე ფუძე დავლოცოთ  
 ურთიერთ შორის თანდგომა გვინდა რომ ერთმანეთი შინ არ დავხოცოთ  
 ამ სადღეგრძელოს ვერ ვიტყვი მომცროთ მისი სიდიდე მაღლობს და მზეობს  
 ხედავ? მზეც მისკენ გვიხმობს გვიზიდავს რომ თავისთავად ეგ დღეცა დღეობს.  
 პირველ ყოვლისა მინდა მშვიდობა ყველა ოჯახში იყოს ძამიკო  
 ისმოდეს სითბო გულიდან გულის: ჩემო დედიკო, ჩემო მამიკო.  
 ეს გენი არის ქართველის მეობა პატივისცემა დარად დარისა  
 და რომ მესამე მოდის მოგვეყვება მე პირველ რიგში ეს მიხარისა.  
 სხვანაირ მეტად ქართველი კაცი ვერ შეიგუებს დარად თვისობას  
 რადგან გვჭირდება ჩვენ დროის ათვლა რომ შევუერთდეთ მარადისობას.  
 ჩვენ ცოტა გვწყინს და ცოტა გვახარებს და ცოტა ვიცით აზრი მი-მისა  
 რამე თუ ხოტბა წარსულ დროისა ზედ გადავლილი სისხლის წვიმისა.  
 მოდი მშვიდობის მაღლისდა იყოს ეგ სადღეგრძელო ქვევრებთან თქმული  
 მხოლოდ იმიტომ მხოლოდ იმიტომ რომ იგი არის გენით ქართული.  
 მე მარტო ღვინის სიყვარულს არ ვმბობ მე მიყვარს მისი ატრიბუტები  
 თუ ეს ორშიმო, თუ ეს ოფსილო, თუ ეს ორხელი თუ ეგ ორ-მრეცხი  
 თუ ეგ ორგო და თუ ეგ სატკეპნი თუ ეგ გრძელ ბარი სასმის მომვერცხლი.  
 ზედ დაჩოქილი ქართველი კაცი გულხალისიან რომ იღებს ღვინოს  
 უნდა რომ სტუმარს ღვინოსთან ერთად გულში ჩაუძვრეს და გაიცინოს.  
 მაგრამ ქვევრამდე მას დიდი გზა აქვს დიდ შრომას ითხოვს ვაზის ბუნება  
 მას მოლაღატე კაცი არ უყვარს იგი ვერ უძლებს ამის ცდუნებას.  
 ვაზი შვილის სწორ აღზრდას მოითხოვს მეტნაირ მას ვერ შეისიხლხორცებ



ერთხელ თუკი მას ხელ შეეშალა მორჩა გათავდა რის ნაყოფს მოგცემს.  
ამიტომ რაც მეტ შრომას ვდებთ მასში გვიასკეცდება ამით ჩვენ ძალა  
ეგ ღვინო ყველა სისხლია კაცის მას ვერასოდეს ვერ აზრობს გვაღვა.  
რატომ არ მკითხავთ შეიღო დაე და ძმავ რომ სიკარგესთან რა მაქვს ცუდია,  
ნუთუ ვერ მამჩნევთ ჩემს საუბარში რომ სათქმელ სიტყვას ახლავს კუდია.  
ნუთუ გულის აზრი არ დაგებადათ პირში რომ მითხრათ სათქმელი მკაცრი  
და არ დაინდოთ გალაკტიონი ეგრე ძუნწი და ეგრე მიმფაცრი...  
შეურაცხყოფას კი არ გაყენებთ ან საყვედურით მე კი არ გავსებთ,  
უბრალოდ მინდა ნაკლებ რომ მითხრათ და ამ წყრომასაც შიგ მოვათავსებთ.  
ლექსის კითხვის დროს არ შეიძლება რომ არ გაგიჩნდეთ რამე ფარული,  
ან თვით მგოსანში რას ხედავთ ახალს თუ მის მომავალს ჰყვედრს სიყვარული.“  
დედამ და მამამ მხრებ აიხიჩეს გადაუარათ ფერის სიბაცემ –  
ადარ იცოდნენ რა ექნათ ეთქვათ დრომ ჩაიარა როგორც ხიბლნაცემ.  
მეც გამიკვირდა პოეტის ეგ თქმა რისთვის შეგყავდით ჩვენ პოეტს კლუბში  
ფუნაგორიებს რომ შესცქეროდა ეგ ხომ არ იყო აყვანილ კუბში.  
დედამ არღვია მაინც სიმშვიდე თქვა: ნეტავ ღვინომ ხომ არ დაათრო,  
ან რა დალია ერთი ჭინჭილა არც მეტ არც ნაკლებ მასთან საათ რო...  
უთხრა: „რას ამბობ ძმავ გალაკტიონ ჩვენი შეხვედრა ანდამატია  
როცა თქვენს მიმართ დიდს და პატარას ჩვენ გაგვანჩნია დიდ სიმპატია.  
ჩვენ თქვენს ლექსებზე უნდა ვიზარდოთ ეგ თქმა კი მხოლოდ არა-დისია,  
და ის რაც გვაგვებს სასოწარკვეთით ეგ ხომ კეთილ გზის მარადისია.  
თქვენს ხმაში ღვივის გულის გატეხვა რაც პოეტისთვის არ არის სარგო,  
თქვენ თვით განსაჯეთ პოეტო თავი მაგრამ აზრს თქვენსას ვით მივებარგო.  
მე როგორც მკითხველს მაქვს ამის ნება რომ ჩემი გითხრათ გულის ნადები  
რაც აახლოებს პოეტს და მკითხველს თან არ არსებობს ამის ვადები.  
გულში-გულ ჩავდე, სულში-სულ ჩავდე ავამზეურე ფიქრი ნელია,  
მაგრამ რაღა დდე ეგ მიამიტი თუ ოდეს ტურფა არ რიგ მხსნელია.  
ვერ გამიგია როგორ ამოგხსნა მე თქვენის თქმული ცალკერმ არია,  
როცა რაც გვითხარ თავ საყვედურის იგი არც წყალი და არც ძმარია.  
გთხოვ რომ აგვიხსნა ქარაგმულ თქმული რას ნიშნავს ის რაც გვითხარი ნდომით  
იქნებ შეგვწევდეს ძალა და მადლი რომ ჩვენ გულები არ გაგვყვეს წყრომით.“  
„არა ვერ გეტყვით არ შემწევს ძალა – თქვა მგოსანმა და შეჭმუნა სახე –  
„დე საიდუმლო ამნაირ ჩემი ჩემს გულში დარჩეს ვითარცა მახე.  
მგონი პასუხიც ეგ არის ჩემი მეტ რაღა გითხრა ჩემ ამაყ დაო,  
გულს ნუ გაიტეხ ამას გთხოვ ძმურად არ თქვა ჩვენს შორის ძაფი გაწყდაო.  
დიან ხათრია ჩემი სიცუდე და ეგ უბედავ ვნება და ვნება,  
ნაკლია ის რომ ყველა პრობლემა რაც გამაჩნია თავზე მადნება.  
არ შემწევს ძალა ვიყვირო ეს ვარ და ყურადღება მოვთხოვო ვინმეს,  
შურში იხრჩობა განკითხვა ყოვლის ეგ სიყვარულიც თან მიაქვს გმინვებს.  
არც თავის ქება არ მაძლევს იმედს თავის ქებაში არა დევს რწმენა,  
რადგან წლებს ახსოვს მისნაირ წლები თვალთმაქცობაში გშრალი ენა.“  
„გასაგებია ძმავ ძვირფასო, გასაგებია! – მამამაც ეგ თქვა,

მე კი ბავშვს კიდევ ვერა გამეგო მაინც ამ თქმულით გულ დაძვითქვა.  
 ისე დასტური მეც მივეც მამას და მშობლიაებ დავეყვი სიტყვას,  
 ამ შემთხვევაში არ მქონდა ნება მეტ-მეტი მეტქვა მე უმცროს ნიყვას;  
 ისე კი მივხვდი პოეტის თქმაში არ ხელ-შეწყობა სახელდება.  
 ხელს ვინ უშლიდა დღესაც არ ვიცი რაღაც ეგ აზრი გულში ცვდებოდა.  
 მერე მგოსანი მე მომიბრუნდა ლოყებ დაჟღაჟით არა-თონია,  
 ხელი მომიკიდა მუხლზე დამისვა თქვა: „შენს წინ შვილო მარათონია,  
 ცხოვრებას თან სდევს ურთულეს გზები და რა კაცი ხარ მაღლ თუ რამ არ ცხი.  
 გამარჯვებაში დევს გულის სითბო მაგრამ მას ზოგჯერ თან მოსდევს მარცხი.  
 ამიტომ გმართებს გასაძლის გული რომ ახმაურო და ზიდო ტვირთი.  
 მაგრამ თუ ერთხელ ფეხქვეს გაგიგდო მორჩა გადიარს შენს თავზე ზვირთი.  
 ეგ მარტო პოეტს კი არა შვილო ყველას თავზეა მოსალოდნელი  
 ვინც უნდა იყოს ეგ სულერთია მხვნილი მეწადე თუ გზის მცოდნელი.  
 თავისუფლება – გულს მითბობს მაგრამ თავისუფლება – ვატყობ შორია  
 კაცს რომ სიტყვის თქმა გბოჭავს გაშინებს ასეთი წლები მუდამ შმორია.  
 ნავთსაყუდელი კი მისი ბაძვის დრომ თავის მიზნად ვერ იშორია  
 და ვამბობ მისთვის რომ ჩემშიც ეგ დღეს ერთი კი არა შაბაშ-ორია.  
 კაცის თქმულ სიტყვას ვერ უნდა ხმობდეს იარაღიან კაცის ბაცილა  
 ეჭ რამდენ ვიცი თან სიჯიუტემ ჩემსავე საქმეს ჩამომაცილა.  
 კი ვამბობ ვიცი დრო მოვა ჩემთვის ახმაურდება დედო ზარის ხმა  
 მაგრამ ამ დროში ვით მოიპოვოს და ვით ასწიოს შრომა-ხარისხმა.  
 უბორკილობა – ხელზე არ ნიშნავს რომ ჩვენ ენაზე არ გვაღვეს იგი  
 დიახ ეგ არის მეტი განსაცდელ და რასაც ჩუმად ჩემს გულში ვიგვი  
 მსურს დაგამსხვრიო თან ეგ ბორკილი რაც თავისუფალ აზრთა ბრმასა ხრავს  
 მაგრამ ხომ იცი მოჭარბებული ყოველი ძალა მაინც აღმართს ხნავს.  
 შემპარავ ვამბობ ჩემს დიად სათქმელს რომ ხალხმა იგრძნოს მაღლი ამისა  
 მაგრამ სულ ვგოდებ ამის დრო მოვა და დაიმსხვრევა ხუნდი დამისა  
 დროსაც სჭირდება თავის მწიფობა ან თუნდაც მისი ნერვის რგვა იყოს  
 ნაყოფი ხეზე რომ მომწიფდება მაშინ წრფივ ღერძი უნდა გაიყოს.  
 ჩამოვარდება ის მაშინ ამ დროს და რა ცუდია ძირს თუ ქვა დახვდა  
 მაშინ ამაო მისი სიმწიფე იქნება დროის კარნახი ხახვ და.  
 და ყველამ ვიცით მას რაც მოუვა დაეთხლიშება ქვას იგი ჩუმად  
 თან საკბილოცა არა დარჩება რომ ერთი ლუკმა გასინჯო უმაღ.  
 ამ დროს ხელია შვილო საჭირო რომ შეეშველო თან ნაყოფს სოხელ  
 და რა სჯობია ქვის მაგიერად ხელისგულზე რომ თან ნაყოფს მოხელ.  
 გამიგეთ ახლა რისთვის ვმბობ ამას და რად ვადარე მე იგი აქ დროს  
 ალბათ მიმიხვდით რასაც ვგულისხმობ ან რად ვუწოდებ მე მას საკადროს.  
 ხალხს მიეცემა თავისუფლება და სიტყვაც მის გზას მიაღწევს ოდეს  
 მაგრამ რაც დროში შენ ცხოვრობ კაცი იმ დროის მაინც უნდა გესმოდეს .  
 დროს წაუყრუო არა ხარ სწორი გულში გულისხმა გეძახდეს უნდა  
 და თუ ერთია მას ხალხის აზრი უნდა გავარდეს თან ამ დროს გუნდა.  
 სიტყვის ფასია თავისუფლება ძვირად ღირებულ ფასდაუდებელ –

მას ნახტომი აქვს ვეფხვისებური კლდეზე კლდიურად და თან მყუდობელ.  
 თავისუფლება – ნეტარ დღეს ნიშნავს მშვიდობის მადლიც თან ცხია ამ დღეს  
 და თუ ქვეყანა შენ შენი გიყვარს მისი ღირსებაც თან უნდა გწამდეს.  
 თითოეულ ჩვენგანს ასე თუ არ გეწამს რაღას განგვაწყობს მაშ ჩვენ ბევრ ჰოპა  
 დღემ უსათუოდ წინ უნდა გეწიოს რადგან არ დაგვრჩეს გვერდზე ევროპა.  
 დრო შენკენ უნდა მოიხლოვო ეჰ სანამ კაცი მარილზე გახვალ  
 დამნაშავე ბევრის დაკარგვა რამე თუ მასთან ძახილი: ხვალ-ხვალ.  
 მე არ მგონია შენ კი ჯერ შვილო წინ დიდი გზა გაქვს საასპარეზო,  
 ამ ასპარეზოში თავისუფლება სჩანს როგორც სახლთან პატარა ეზო.  
 მაგრამ რად გვინდა შიგ ვერ შევდივართ და ვუჭვრიტინებთ ჩვენ შორიხლოთ  
 ისე სურვილი დიდია მისი და ყველას გვინდა ხელი რომ ვახლოთ.“  
 ამბობდა ამას გალაკტიონი წყნარად და მშვიდად ხმის შესატყვისად,  
 მერე ამხევედა ბორცვზე პოეტი და ორივე ხელი აღმართა თვისად.  
 „თავისუფლება! თავისუფლება! – აღმოხდა სიტყვებ მთლიანი ხმითა,  
 ამ წუთში იგი თვით ზეცას ება თან ნაყოფიან ლექსების სხმითა.  
 „თავისუფლება! თავისუფლება! ღმერთო მოგვეცი ერს ჩვენი გზითა,  
 გვეყო რაც წლები ტანთ გაგვცრეცია რაც სისხლ აგვიწყავს ჩვენივე მზითა.  
 თავისუფლება ხილია ხალხის მის წიადში დევს სწრაფვა დიადი,  
 ამ დროს სინათლეს ბნელი ვერ სჯობნის და ითრგუნება მისით წყვედიადი.  
 ჩვენ სინათლე გვსურს მზეა სიმბოლო ჩვენი გულების და შემართების  
 ჩვენი ენა გვაქვს ჩვენი ანბანი მაშ ნეტავ მტერი რას გვემართლებს.  
 სიგულმაგიწყეც დამჩემდა ცოტა მაგრამ თანმხვედრ დღეს ამის ბედაა  
 მგონი ნათქვამიც ბევრჯერ გითხარით – განმეორება ცოდნის დედაა.  
 ჩვენ გვინდა ჩვენი ვიაროთ წინა და ჩვენი გვექონდეს სითბო და ყინვა  
 რად ვერ შეიცნო კაცობრიობამ რომ ყველას მის-მის უხდება ბრწყინვა.  
 ვით ადამიანს ლექსსაც სჭირდება თავისუფალი მოქცევა ფრაზის,  
 რადგან პოეტის სუყველა სიტყვას გამოგიტყდებით ბუღბუღი აზის.  
 სიტყვის მხატვრობა ეგ არის სახე თანმიმდევრული მაგრამ კი ბრაზ-რის?  
 სიყვარულია ამის თავდები და შეთავსებულ სიბრძნესთან აზრის.  
 მე – ვამბობ უნდა ამაღლდეს სიფრცე და ცა გაიხსნას მეტ უფრო ფრიად,  
 რომ დაინახოს ხალხმა თავის თავ გულუბრყვილოდ და თანაც დიად.  
 თვალთმაქცობაში არ დევს სიკეთე და ხვედრმა იგი ალბათ აობა.  
 რადგან ჩვენ ვიცით და წესად მოგვდგამს რომ ამ გზით მოდის კიდევ თაობა.  
 სიტყვა რომელიც კაცს ეგრე სჯერა არ უნდა ჰქონდეს მას მტრული სახე  
 მის შემეცნებას ხალხი თვით განსჯის და არა ტყვია ცხელი და მჭახე.  
 რა ვუყოთ იქნებ ყველას არ ძალუძს გამოიტანოს რომ ფიქრი გარეთ,  
 მაგრამ სამშობლო ღმერთმანი უყვარს და მის სატკივარს განიცდის მწარეთ.  
 სათაკილოა თუ არ მცდარ ოდეს პოეტი ჭყლეტდეს გულში თქმულ სიტყვას  
 და მზის სინათლის მას ეშინოდეს რომელს ამაოდ ეტყოდეს გვრიტ-ყვას.  
 თავისუფლებაც არის და არის აქაც მეობა სიფრთხილეს ჰბადებს,  
 თუ საზოგადოს ვნებს ჩვენი სიტყვა ასეთ დროს ტუჩზე ბორკილი გვადებს.  
 არ შეიძლება სთქვა იმნარი რაც რომ სცილდება მორალურ ჩარჩოს

და ის ქვეყანას თან ხალხთან ერთად ართმევს მისნაირ საბადელ სარჩოს. ჩვენ ქართველებს გვაქვს უსაზღვრო ნიშნად მოყვასთ სიკეთე და სათნოება და რაღა არის ქართველის სინათლე თუ კვლავ სინათლე მას არ მოემა. რაოდენ კარგი ჩვენ გვაქვს სიტყვები სინდის-ნამუს და პატიოსნება თავისუფლება გვჭირდება ყველას... მეტჯერ სათქმელი რომ ვთქვათ მგოსნებმა. მგოსნის ვაღია უყვარდეს ხალხი და მშობლიური მისი კერია – უყვარდეს ხალხი და ის დაიცვას მან თავის ლექსით როგორც ჯერია. თავისუფლება – ეგ ნიშნავს იმას თავს ნება მისცე კეთილ მქდერია მაგრამ რაღაა მითხარით იგი შიგ თუ სიბილწე შემოგერია. თავისუფლება – სიწმინდეს ნიშნავს თავისუფლება – გამჭვირვალეა, მომალულ ლაქებს იგი ვერ იტანს ღირს-საქციელთ თავ-მოვალეა. ის ვერც სისიზღრეს ვერ ურიგდება ამაგო ის ვინც არ არს საძაგი მესმის ხმაური სიკარგის თვისით მაგრამ სხვა არის მასთან ბაძვა-კი. უნდა გვახსოვდეს რომ ქართველნი ვართ თავდავიწყება ამის მტერია, ყველა წახდება დროის მადლ ვსება უკეთურთ მოდმა თუ მოგვერია. თავისუფლებას – თავ მისთვის ერთვის ხელისუფლებას კი ხელი მისთვის ჩვენს არსებობას რომ მოჰყვეს ნება საკუთარ აზრის თან გამოთქმისთვის ყველა მდიდარი დღეს ვერ გახდება ვერც ხვალ გახდება ყველა მდიდარი ყველა – ღარიბიც არ შეიძლება და ტვირთი ედოს სულ საზიდარი. თავის შეძლებით უნდა ცხოვრობდეს ამქვეყნად ყველა ადამიანი ღარიბს თუ უჭირს მდიდრის ვაღია ხელ გაუწოდოს მისი მზიანი. გარეთ – მტრის რისხვა იმდენს რას გვიზამს საშიშარია შიგნით მტერობა, და საზიდარი მასთან კვლავ კიდევ ხამს უბადრუკთა თუნდაც სერობა. თავისუფლებას – წინძლოლა უნდა უწინმძლოლობა ასე როდია თავისუფლებას – შენახვა უნდა თავისუფლება – ოქროს ზოდია. თავისუფლება – ხალხის ხალხთა თავისუფლება – ჩვენცა გვცხ დია, თავისუფლება – ფართო ცნებაა მაგრამ ამაგ დროს ბეწვის ხიდია. თავისუფლება – თავმოყვარეა თუ თავის პატივს განაგებს ხალხი, და ამ ხალხს მიაქვს დვთის ნება გულით რომლის ღირსებას არ მოსავს თალხი. წყრომა-პატივის ვერა იქმს ნდომას ნდომის გარეშეც არ მოვა რწმენა რწმენის განძია თავისუფლება და მის წიაღში ადგმული ენა. ო, როგორ მინდა ამ წუთში ახლა შემწევდეს ძალა გავიხსნა პირი რომ მკვიდრად ხალხთა გასახარისად დავიმორჩილო მყუდრო ნაპირი. და მითხრას რწმენამ და მითხრას ნებამ: მიდი გალაკტიონ შენ ოდონდ სწერე წერე თავისუფლად თან შეუზღუდავად აღმოფხვრილია სილმაცერე. მაგრამ არ არის ჯერ დრო ამისა მაგრამ მე მჯერა მხარს გაშლის ია-მის, განიფანტება ბილწ ზღვაურ ბნელი და ზარი დაჰკრავს ჩვენი სიამის. ჩვენ თავისუფლად ვსაუბრობთ ახლა თან ვუზიარებთ გულნადებს ერთურთს ასე მგონია სტადიონზე ვარ და ცალ კარებში ვთამაშობ ფეხბურთს. გულახდილნი ვართ ასე მგონიამაგრამ არა ვართ სულ მთლიან ღიად, გვერთოთრება ბევრი სათქმელი და ვარდის მზრუნველნ ვქცეულვართ იად. ადამიანთა თავშესაფარად არსებობს სახლი და არა სორო



შეცდომას ვუშვებ? ძმურად მითხარი რომ თავისუფლად გამოვასწორო. დამსაჯე მისთვის თუ ჩემს ქმედებას სამშობლოსადმი მოჰყვა ზიანი – და წარიტაცა ჩემმა თქმულ სიტყვამ ჩვენი ლამაზი ქვეყნის მზიანი. მშრომელი კაცი ბედს თოხში ეძებს ხვნი-თესვა გახლავთ მისი-არია მაშინ კალამი ჩემი თოხია და ეს კალამი დღეს სიზმარია.

წინამძღვრად მისსა რომ კაცს სჭირდება დასვენების ჟამს ლექსის დარია და თუ ეგ ქვეყნად არ არის შიგნით მაშინ ყოველი ხედვა მცდარია. მე ვამბობ მომავალ მეტ კარგს გვპირდება ვიდრე წარსულის უმეცარება, თავისუფლებას – თუ მეფე თრგუნავს ამ დროს მეფესაც ხელ ეცარება. მაქვს შვილო ამის გამოცდილება ცხოვრებამ მომცა გამოცდილება გული გულია მაგრამ ამ გულსაც აქვს თავისებურ განხეთქილება. მაქვს შვილო ამის გამოცდილება ცხოვრებამ მომცა მე ამის ცოდნა ბევრჯერ მავანმა დამრია ხელი და ჩემს თვალთაგან ცრემლიც კი მოდნა. მაგრამ ხომ ხედავ! მე მაინც ვდგავარ მე ისევ მეოსანს მიჭირავს თავი, ვერ ვიტყვი რომ ჩემს ამ დიად წლებში ჩემი ცხოვრება სანუკვარ ვყავი, მაგრამ ეს კია ბედის მორჩილი არასდროს ვიყავ მუდამ ვდაობდი – მაშვრალ ეგ ყრმობა ფეხზე ეკიდა და მეც ლასლასით ვსაცოდაობდი. თვინიერ საქმის არ მახსოვს გემო ობლის კვერის კი ახლაც მძაფრ მინდა და წლებსაც მიაქვს თავისი ნება ახალგაზრდობაც აგრემც გაფრინდა. ლექსია – ჩემი მერმისის ძალა ლექსია – ჩემი დროის თამაში, ამ თამაშიდან მე კი ვერ გავალ თან დარწმუნებულ მე ვარ ამაში. დამათმობინოს ამას ვინ შესძლებს თუ არ ღვთის ნება და მისი შიში რამდენს მბრკოლებს მეტ უფრო მე დრო წინ მიმაქვს ასმაგ თან იერიში. დრო – დამიწურავს ხანდახან იმედს და რას მოვისხამ ნაფორიაქებ ვამბობ: ჯერ წასვლა ადრეა ჩემი რა ვქნა ამაგ დროს ჩემს თავსაც ვაქებ. ხან მივალ ისევ ჩემს მედუქნესთან მოვაძებნინებ ღვინოს ნაზავ-ხნულს მედუქნეც თავის საღ-საღამათი სუფრას გამიშლის როგორც გაზავხულს. ძველ ვალს დავტოვებ ახალს ავიღებ თვალს შევაპარებ ლალისფერ ღვინოს მეტყვის: „პოეტო მეტს ნუღარ დაღვევ ეგ იკმარისე რომ არ გაწყინოს.“

მეც ვეუბნები: „გმადლობ ძამიკო კაცთ ცნობა ღვთისგან ნეტარ მცნელია გუშინ ისეთი ლექსი დაგწერე რომ არ აღვნიშნო მართლა ძნელია. შენ რა გგონია მღვიძარს რომ მხედავ ჩემს თვალში ისევ ჩაილულია წუხელ მთელ დამით თვალ არ მიხუჭავს ამდენი ბევრ მაქვს შენზე თქმულია. რა ვქნა მედუქნევე წერას ვერ დავთმობ ლექსი – ეგ ჩემი მეგობარია და მასთან დალატს ის მირჩენია ჩემს საფლავს სცემდეს ცივი ქარია. ვცდილობ მოვასწორო მოსასწრებელი კვალ დავამჩნიო ჩემი მოსვლისა სხვანაირ მეტ დრო ვერ შემიცვნია და ეგ დრო არის აქ მიმოსვლისა. ახლა – აქ სახელში სტუმარი მქვია თბილის დავტოვე დროებით თქმისა, ვერც მას ვშორდები ვერც ჩემ ამ რიონს თან სიარულიც მისთვის ვერ მდლისა. მოდი მედუქნევე ჭიქა მომირტყი სიმტკიცე სჩანდეს ღვინოში უფრო რადაა ის დღე პოეტისათვის ღვინო დალიო და მოიქუფრო. მედუქნეც მოვა თავის კანტურით ჭიქას შეავსებს მისსივე ხელით

იტყვის: მშვიდობა შენ გალაკტიონ რომ მუდამ მავსებ მაგ გულით ცხელით. მაშ გაუმარჯოს იმ შენს ლექსს ძმაო რომელი ლექსიც შენ გიზის გულში და ელოდება მას მზის სინათლე რომ მიიტანოს ის ხალხის სულში. ახლა არ გეტყვი რომ წამიკითხო არ მიყვარს ლექსი წიგნის გარეშე მე – წიგნით მიყვარს ყოველი ლექსი თან თქვენის გამო გაიხარე – შენ. დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ ძმაო გენარებიანოს ქართველის გულ მტკიცე. ხომ კარგად იცი დღეს ბევრი გაქებს მეც ბევრჯერ შენი თავ დავიფიცე. ლექსის დღეობა მუდამ მზიანობს და მისამართიც მისი დიდია, თუ კაცს ამქვეყნად ლექსი არ უყვარს იმ ქვეყანაზეც მისი ფლიდია. იცოცხლე ძმაო მეც შენთან ერთად ცოტა ხანს მაინც მესმიოს ღვინო ფულს გახდევინებ კი მართალია ამით არ მკუთვნის მე სალანძღვინო. ტყუილ საჩუქრად ღვინო ვარიგო არც შენ და არც სხვას ეწონებაო ჩემზე იტყვიან: გასულელდაო ქარს გაატანა თან ქონებაო. შენ კარგად იცი აქ თუ რა მრჩება რის ვაივაგლახ ცოლ-შვილსა ვარჩენ სკამი ვინ მომცა ან კაბინეტი თქვით ჩემს ჭკუასა აქეთ ვთხოვ სარჩელს. ჰერი მელუქნევ მომიჭახუნე ღვინოს ჭახუნის ჭახუნ აღვიძებს მალე სიმღერას ეგ გულიც მომთხოვს ვინ დაგვაშორებს დღეს ჩვენ ნაღვიძლებს. ამ ჩემი ლექსის დღეს სადღეგრძელოს ვახტანგურად სმის ღრონი ეძახის, და მეც რომ აგრე დავლიო შენთან ნურც გაიკვირვებ და არც მეძრახის. „მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!“ ჩვენი შეხვედრის დღეს გაუმარჯოს ჩვენი შეხვედრის დღეს გაუმარჯოს რომ სასწაულით იგი კვლავ მარჯნობს. თავისუფლება ღირსეულ ჩვენს ერს რომელიც ახლა კარზე კაკუნებს მალე დრო მოვა ჩვენ კარს გაუღებთ ჩვენ თუ არა – თქვენ სხვა საუკუნეს. დრო – შეიცვლება დროით ისევე ხანა დადგება ოქროს და ვერცხლის დრო – შეიცვლება მაგრამ ჩვენს ქართულს ვერავითარი მეტ დრო ვერ შეცვლის. მე ვიცი ჩემი წინათგრძნობანი თუ რას გვიქადის მომავლის ჯადო და ეს ჯადო კი იმდენი გახლავთ და ყველამ იგი გულს უნდა ჩავდოთ. საკაცობრიო საქმის კეთება არ არს იოლი და ის არს ძნელი ამიტომ გემართებს ამ ჩვენ თვალყურით გახედეთ სიკარგის მხოლოდ მძებნელი. ურემი რაა მაგრამ ურემსაც თავისნაირი სჭირდება მძლოლი. გზა – შეურჩიოს იმ გზით იაროს რომელი გზაცა დასტურის შვილი, ა, კაცო კიდევ ანდაზა ჩვენი ჩვენი საუბარ ბრძნულ თქმებს უნდება, საქმის განჭვრეტა ამასვეს მოსდევს „სანამ ურემი გადაბრუნდება.“ „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მანმადე გემართებს ჭვრიტინი გზისა რომ გზამ ჩვენს ურემს არ უღალატოს და ხვედრი გექონდეს პირმცინარ მზისა. თავისუფლება – თვითონ არ მოვა ის ჩვენი უნდა მოვიდეს შვილო მე – აქცენტს შენზე მისთვის ვაკეთებ შენ უფრო ახლა ასაკით შლილო. ჩვენ კი ასაკი შემოგვებევრა წვერ გამითეთრდა ლექსთან ის-რითა თუმც ფარ-ხმალს არ ვყრი ავის მსურველი მეც შემიძლია დავცე კისრითა. ძალაც კვლავ მერჩის კალამთან ერთად და მოვატანე მეც მისთვის დღემდე და მოვატანე მეც მისთვის ღმერთო დღეს ამ ჭალაზე რომ ბოლთას ვცემდე.“ ამბობდა ამას გალაკტიონი და მე მგონია მას ფრთები ესხა

იგი მიწაზე კი იდგა მაგრამ მისვე ლექსის პწკარ გამოემესხა.  
 ვხედავდი მის ტანს ხან მოცახცახეს ხან-ხან რას ხან მწყრალს და ხან თვინიერს  
 დააბიჯებდა ეგ ბუმბერაზი და ფეხს ადგამდა მისვე წინ-იერს.  
 თავისუფლება – მას გულში ედო თავისუფლება – მის გულს ბუმბინდა  
 ცალ ყურ ცალ თვალი გზისკენ ეჭირა რომ ხმაურობა ეცნო უბნიდან.  
 „რიონი ჩემი დვიძლია შვილო ასოცირდება ის ჩემს სახელთან  
 სულ თვალწინ მიდგას სიზმარშიც იგი როცა ვიდვიძებ და თვალს ვახელებ თან.  
 ძილ გამიტყდება ხანდახან როცა სარკმელს გაგაღებ ანაზღეულად  
 რიონი ამ დროს ჩემს გულში ბორგავს რის კალაპოტი მითხარ ეუღლად.  
 მას ჩემი ახსოვს აქ დაბადება და მის ქვიშაზე დამწვარი ტერფი,  
 მისთვის მსურს ხმები ვაწვდინო ყველას რომ მე სამშობლოს ამნაირ ვეტრფი.  
 სამშობლო არის მთლად საქართველო სადაც ერთმანეთს გვიწვდება ხმები  
 მე – რიონს ვამბობ მიწასთან ერთად უერთანეთოდ კაცი გახმები.  
 ეს ჩიტის წყაროც ასე პატარა ძლივს რომ გზას იკვლევს წვეთთა ქარდება  
 ამასაც შვილო სამშობლო ჰქვია მისი ეგ წვეთიც შავ ზღვას ბარდება.  
 წედან რომ შევსვით და წყურვილ გვიკლა შვება ვიგრძენით ჩვენ ამომდენი  
 ის რაც ბავშვობის შემოდის გულში მას იქედან კი ვერ გამოდენი.  
 სწორედ ეს არის შვილო სამშობლო მასთან მნათი მზე და მთვარე-ბადრი  
 ბადალი არც ჰყავს ამქვეყანაზე და ვერც ვერაფერს მას ვერ შევადრი.  
 ახლა ჩვენ როცა ვსაუბრობთ ასე და ჩვენის ენით ვხმიანობთ აგრე  
 ამაში არის სითბო ძლიერი და გულისგულის დიად სიმაგრე,  
 ძვირფას საუბრად გვექცა შეხვედრა ლხინი ქართველთა მეტი რაღა-რის  
 ჩემში ამდღდა სიტყვა ქართული და ხმაც ვიგრძენი ჩემი ჭაღარის.  
 დიახ და დიახ ამ ჭაღარასაც თავის დაჰყვება ხმა და იერი  
 ამიტომ არის აქ რომ ვამაყობ და ამ შეხვედრით ვარ ბედნიერი.  
 დღევანდელი დღე ჩემთვის წიგნია ყდაში ჩასმული თავის თანხებით  
 გამიძლიერეთ იმედი ხვალის თქვენც აქეთ ალბათ დამეთანხმებით.  
 ჩვენ განშორების დრო დადგა უკვე და ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი  
 ვისურვოთ კიდევ ისევ შეხვედრა თან გულ ვაგებოთ ჩვენ ისევ ცხელი.  
 ისე მგონია თავ შეგაწყინეთ ბევრ გესაუბრეთ უფრო მეტ ჩემი  
 მე დაგტოვებთ მივდივარ მაგრამ მე ისევ თქვენთან მაღლმოსილ ვრჩები.  
 „ამინ, ძამიკო! – უთხრა მას დედამ – მოხარული ვართ რომ გაგიცანით  
 მეც კიდევ ვამბობ ამას მერამდენ და მისთა დღეთა სიყვარულ ვცანით.“  
 „ძმავ გალაკტიონ! – კვლავ უთხრა დედამ – ფათერაკია ზოგ-ფუძე ზოგ- ჭერ  
 ხომ არ გწევთ ძალა რომ გაიხსენოთ რაც თავისთავად ეს ხდება ზოგჯერ!“  
 „ფათერაკები რამდენიც გნებავთ დაო ძვირფასო ჩემი მიწისაგ –  
 ყველა მათ შორის გავისხენებდი ერთერთს რამე თუ ვარდთან-იისაგ.  
 ვსვამდი დუქანში როგორც ყოველთვის მარტო ვიჯექი ჩემის ნებართვით  
 ცალკე მაგიდას უსხდნენ ბიჭები ისინიც სვამდნენ თავის შემართვით.  
 ჰო, კიდევ ცალკე ტიციან იჯდა ისიც თავისთვის მაგრამ წინა ერთ  
 სიმატლე გითხრათ უბრად ვიყავით სისხლით კი არა ლექსით მინაერთ.  
 აზრთა ჭიდილი ჩვენ გენში გვედო აბა მითხარით სხვა რა მიზეზი,

მიწა-მამული ჩვენ-ჩვენი გვექონდა განაწილების არ გვედო გეზი. იოტის ოდენ ჩვენში არ იდო არც სიძულვილი არც მრქენი ჭია პირიქით უფრო ვუყვარდით ერთერთს უნდა გვეხარჯა ჩვენი ნიჭია. მე-უფრო თმენის ფიალა ვიყავ მაგრამ ტიცინან უფრო ღვიოდა. უნდა ვთქვა ცოტა სიფიცხე ახლდა უცებ რქესავით გადმოდიოდა.“

„ღვინო ხომ არ სჩანს ამის მიზეზი?“ – გულდაჯერებით იკითხა დედამ გალაკტიონმა კი ამ სიტყვებზე ბევრი იცინა კმაყოფილ ბედ-ამ.

„რას ამბობ დაო არ დაიჯერო რომ აქ მიზეზი ღვინისა იყო პირიქით ღვინო მომრიგე გახლდათ ღვინო კი ამ დროს ძმასთან ძმა იყო. არ დაგიმაღლავთ ხანდახან ჩვენა ვიყავთ ბავშვები ნადაფდაფ არ თლად ცა ქუდად მაშინ გვეხურა თავზე და დედამიწა ძირს გვეგო ფართლად. თითქოს მდინარე შეგვეყრიდა უცებ თავის სიანჩხლით და თავის თვისით მერე პატარა ნაკადულივით გავეცლებოდით ერთმანეთს სხვისით. ახლა იკითხავთ რაზე ვმდურობდით მეც არ მაქვს ნება ის არ აგინსნათ ბარემ საერთო რადგან ვიპოვეთ მინდა ეგ ჩემი გული გაგინსნათ. სამდურავ მეტი რა გვექნებოდა საერთო საქმის თან გვახლდა დავა მას რაც სჯეროდა მე არ მჯეროდა ჩემი სჯერობის მას სცვლიდა ჰავა. ერთერთს ვუტევდით კრიტიკის ცეცხლით ფეხქვეშ კი არა გვეწვოდა მიწა მახსოვს რომ ერთხელ თვით ტიცინამა ასეთ დროს ერთი ლექსიც დაფხრიწა. სულ ვმდურობდით და სულ ვრიგდებოდით გამყოლი გული არ ჰქონდა ოდნავ ზედმეტ სიყვარულს ვაბრალებ ამას ბიძაშვილობის სხვა რაღა ცოდნა. ჰო, დუქანში ვარ როგორც ვთქვი ჰოდა გვერდით ბიჭებსაც შეექმნათ დავა ერთი ბორბიკით მოვიდა ჩემთან მითხრა: „სუფრაზე ფეხით გადავაღ.“ ვურჩიე: „ძმაო წადი ჩემთვის ვარ არავინ მინდა ჩემს თავის გარდა ჩემს სადღეგრძელოს ვიცი შესვამდით თუ არ გეცნობი გასწიე ფარდა.“ არ დაიშალა და არ მომეშვა შემომიტია სიტყვებით გინებ მაშინ წამოდგა ტიცინან ზეზე: „ეგრე არ უნდა გაგაგებინებ.“

მოვიდა მომხვდურს მკერდში სწვდა ხელით და გაისროლა ბურთივით იქით სადაც ბიჭები თამამ სიტყვებით ძალას ჰმატებდნენ აქეთ პირიქით. ახლა მას სხვებიც წამოეშველნენ არ წამოემდგარვარ ღმერთმანი ზეზე ტიცინანს გონთან ძალაც ერჩოდა შეეძლო ორ სამს შესვამდა ხეზე. დაჰნებდნენ მერე როგორაც იყო ხელთან ენაცა ეცარათ კვეხნად თქვა ტიცინამა: „ნუთუ ვერ იცნობთ გალაკტიონი რომ ცხოვრობს ქვეყნად.“ მათ გაიოცეს ეგ თქმული ხელად და ბოდიშები გვიხადეს ბევრი ტიცინანი კი გადამეხვია... ჩვენს შორის ცრემლი იყო შედევერი. უნდა ვთქვა ნიჭით ერთმანეთს ვგავდით და რითაც ვგავდით იმასვე ვრგავდით შეჯიბრი გვექონდა რა თქმაა მხოლოდ თუ როგორ სიტყვებს ლექსად ვრითმავდით. მთარულ ხმები ჭორს გვიერცვლებდნენ თითქოს ვუცქერდი ტიცინანს მე-ზღვით და ჩვენში დულდა შურის ბაცილა და მის დაკარგვას შევხვდი მე ბეზღვით. ოცდაჩვიდმეტში ის გაიყვანეს თუ როგორ ღმერთო არავინ იცის დღესაც საფლავი არ ვიცი მისი თუმც სახვალიოდ მეც ეგ დღე მიცდის. გული ჩამწყვიტა მე ამ ამბავმა ძალამ ვერ გული გამაღებინა



ჩემთვის დამწვარზე მდუღარე იყო დრომ ლექსზე ხელიც ამაღებინა. ის თავისუფალ აზრით მსხვერპლი გახდა მაშინ რაღა დღე თავისუფლების როცა აქ დღესაც ამ დღეს ვესწრაფვით აბა მითხარით ხედვა უფლების. ის – თვალწინ მიდგას ისევ იმნაირ რაც იყო მისთვის დროის კარნახი – არ შემოიძლია რომ ჩამოეთვალო რამდენჯერაც მყავს სიზმრად ნანახი. დრომ მაინც თვისი წაიღო მშვიდად და გაიყოლა დღენიც ჭირისა მე – უბედურმა მაინც კალამი ხელში ავიღე მისვე ჩხირისა... ახლა დუქნიდან გავდივარ გარეთ გადამეღობა წინ ფოტოგრაფი მითხრა: „მგოსანო მსურს გადაგიღო ფოტოსურათი იქნება სწრაფი. თქვენგან არ მინდა არც ერთი გროში ჩემს თავზე ვიდებ სურათის ხარჯებს ბაღში გავიდეთ დაბრძანდით სკამზე შემოგთავაზებთ თქვენ ხელში მარჯვენებს.“ ვუთხარ: „არა მაქვს განწყობილება არეული მაქვს თუნდაც გუნება სხვა დროს აჯობებს ამ საქმის მადლი ვიდრე ბალისკენ ახლა ბრუნება.“ აღარ მომეშვა და მეც დაეთანხმდი ვთქვი: „ჯანდაბაში ეგ ჩემი თავი კაცს ამისათვის როგორ ვაწყინო როცა ჩვენ ყველა ვართ მომაკვდავი. ერთი კი მითხრა აღარც კი მახსოვს რამდენ ნაირი გადმიღო პოზა ხან-ეს პროფილი ხან-ის პროფილი კაცი გამხადა მეტამერფოზა. მეუბნებოდა გადაღების დროს: „აბა ძამიკო ლოცვა თან ღმერთად ხომ იცი მაშინ ფასობს სურათი როს ქაღალდზე ხართ ღიმილთან ერთად. არას-ვერ გეტყვით კი ვიღიმოდი ღიმილში ღვინოც შემეზიარა ეს იმიტომ რომ თან დამყვებოდა მოუშორებელ სევდა იარა... სურათი კარგი გამოგვივიდა პეიზაჟ-პროფილ შემართულ ფერდით – ობიექტივი წამმზომზე ჩართო და მომისკუპდა თვითონაც გვერდით. მე ის მომენტი დღესაც ღიმილს მგვრის ჩემში არ არის იგი გამკვირ დრო კაცს ქვეყნად ფასი თუ არა აქვს ღმერთო რაღაა მაშინ ქალის სამკვიდრო. კაცი-კაციტა ღობე-ქაცვითა ჩვენ ამ სიტყვების მოგვეყვება ფასი და მას ვერ წაშლის დრო ვერცერთნაირ თუნდ საუკუნე გავიდეს ასი. რა ვქნა ეგ ლექსი შემჩრა იმედად და ის მაცოცხლებს მისივე ძალით ავიკვირებ რადგან ერთხელ გზა ვეღარ მივატოვე მე ჩემის მალვით. საკუთარ თავთან მე ვარ მოვალე მასთან დალატის არცა მაქვს ნება ეგ სიყვარული კი მეტს მავალებს უკეთ რა მეტი მოიძებნება. სიყვარულ მარტო არ ნიშნავს იმას რომ შეაერთოს კაც და ქალ მალხი სიყვარულია დღეს ქვეყნის მადლი რომელ მადლშიაც ტრიალებს ხალხი. უსიყვარულოდ არ შეიძლება მხენელმა-მთესველმა ახაროს თესლი უსიყვარულო დროის თამაში ეგ ზღაპარია და მისი გესლი. ახლა ჩვენ რომ აქ თავ შეგვიყრია და ჩვენ ერთმანეთს ვფოფინებთ სულში ამაშიც გვიდევს ის სიყვარული რა სიყვარულიც ჩვენ გვიდევს გულში. მგონი ასჯერ ვთქვი ერთ და იგივე ესეც სიყვარულს შევინის მაისებრ სიყვარულია – სიმაღლე კაცთა ლაყვარდოვანი თანაც აისებრ. ყველა ჩემს ლექსში სჩანს სიყვარული ზოგჯერ ღიად და ზოგჯერ ფარულად მარტო რად მიღირს მე ლექსი „მერი“ რომელიც დარჩა ლეგენდარულად. ამბობენ თითქოს ასეთი ვინმე არ არსებობდა მქრალ იყო თონე

და ის მე როგორც მგოსანმა კაცმა მხატვრული სახით გამოვიგონე. აბსურდი არის ეს აზრი მართლა ნუ ჩამომართმევთ თავს ეგრე კვებნად, ის-არსებობდა იგი არსებობს და იარსებებს მარადეამ ქვეყნად. მან შთაგონება ჩემი წაიღო თან სილამაზე აზიდა ცამდე – არც გასაკვირი არ უნდა იყოს რომ სადღეგრძელოს მე მისას ვსვამდე. ღვინოში არის ჭეშმარიტება ღვინოში სჭვივის ქართველის სახე ქალთან ერთ ქართველს ღვინო არ სურდს ასეთი კაცი დღემდე ვერ ვნახე. დროს შეეზარდა ჩვენი ეგ ზომ გზა თანმიმდევრული და თან მარს-იად იმიტომ არის ხანდახან როცა ცისარტყელები გვაკრავს არშიად. მაშ გაუმარჯოს ფუძეს კაცისას, ოჯახს კაცისას, დე ბარაქ ღმერთო დღე სასწაული რაც მოგვდგამს ყოვლის უნდა თან იგი შემოგვიერთო სასწაულია ღვინის ეგ მაღლი გვათრობს და გვართობს თავის გუნდებით გამოვიფხიზლებთ და მერე ისევ ჩვენი ცხოვრების რიტმს ვუბრუნდებით.“

გალაკტიონმა ჰკრა ჭიქას ჭიქა რომ თვით მამასაც აეღო გეზი მამამაც მისი არ დააყოვნა და სადღეგრძელოს ახსნა მიზეზი.

„ფუძე ყოველი რაც კი არსებობს ვისი თუ რისი იყოს დღეგრძელი ჩვენ ღმერთმა მოგვცეს ამის შესძლება კურთხეულ იყოს ფუძე ეგ ძელი. ჩიტსაც ამ ქვეყნად აქვს თავის ფასი მას თავის გენის სიყვარულ მოსდგამს სწორედ ეგ არის შედეგიც ჩვენი კაცო ისიცა საძირკველს რომ დგამს. სრულიად მავსებს ფრინველთ ფუსფუსი ვინდა შეჰკადრებს მას ამ დროს წინ ავს მხეცსაც თავისი არსებობა სურს და პარტნიორთან ამისთვის ბრდღვინავს. ხე – ნაყოფს ისხამს და გვეუბნება აღარ გადასდო საქმე ბარეო ჩემი ნაყოფით იგემრიელე თესლი კი მიწას მიმიბარეო.“

„შენ გაგიმარჯოს მაშ ილარიონ გენით მოგყვებათ ალბათ თვისება პოეტურ ფრაზებს რომ ისვრით ასე ეგ თქვენი შვილის არის ღირსება.“

ისე მსმენია, რომ თვითონ დროში თავისნაირად დრო ეტიაო სწორსაც ამბობენ საქართველოზე: აქ ყველა კაცი პოეტიაო. მიუჭახუნეს კვლავ ჭიქა ჭიქას ამაგდროულად დედაც გვეწვია გვითხრა: „ახლა შინ გეპატიუებით უსაზღვროება ერთი ბეწვია.“

„მოვალთ იულო როგორ არ მოვალთ შენ გენაცვალოს შენი ძამია მე ჩემი მიწის ქვაც მიყვარს დაო ადამიანი კი თვალ-ნამია.“

გალაკტიონმა ახლა მე მითხრა: „ვაჟკაცო ახლა სანამ ვართ შიგნით აბა მაჩვენე ის ჩემი წიგნი სად გიდევს სად არს დღეს მისი რინგი!“

შინ შევიყვანე ოთახში ჩემთან ბიბლიოთეკა ვანახე ჩემი, თან მისი წიგნიც ვანახე სხვებთან მითხრა: „ეგ ცალკე ვით ზღვაში გემი!“

მეც იმავე წუთში ავიღე წიგნი და შოთას წიგნის მომდევნოდ დავდე გადაირია სიხარულითა მითხრა: „შენც ჩემსას ნერგს უნდა რგავდე ხომ ხედავ შემდეგ რამდენ წიგნია ყველას აქვს შვილო თავის რაობა მე ვეღარ ვნახავ... რიგით მესამეს შენს წიგნს იხილავს ვიცი თაობა.“

„რა ვიცი! – ვუთხარ – შევძლებ კი ამდენს? ლექსია ჩემთვის გამოცდილება...“

„ჰოდა მეც ვამბობ ძმისშვილო ამის დიდი მაქვს გამოცდილება.“

მეზობლებიცა მოვიდნენ ამ დროს მათ გაიხარეს მგოსნისა ნახვით

გალაკტიონი ამაღლდა უფრო იშველებდა ფანქრის წვერს მახვით. პირიქით იგი იმას ცდილობდა სიუბრალოე ჰქონოდა ამ დღით დაე ყველა კაცთან საერთო ენა გამოენახა მას ლექსის მაღლით. ის ახერხებდა ყველასთან ღმერთო მზა სასაუბრო ენის მონახვას და საუბრობდა უფრო მეტს ვაზზე რომ ღვინო დიდი შრომის ფასს მოჰყავს. მამამ მას სთხოვა რომ ეთამადა გალაკტიონმა კი უარ ტკუცა: „არა ძამიკო ამდენს ვერ შევძლებ ჭიქაში მე ვარ მუნჯიც და ყრუცა. გაგიგონიათ სადმე ოდესმე რომ ეთამადოს გალაკტიონსა, თამადად უნდა მჭერმეტყველ უფრო, რომ დააბუგებს სიტყვით რიონსა. მე უფრო სხვისი მოსმენა მწადის ვიდრე ჩემს თავსა ვუსმინო თანა გალაკტიონი! თამადად არა. მას არსად ესეთ არ სდმია ხანა. თან უნდა ვითხრათ ვიჩქარი კიდევ ხომ იცით მგზავრი კაცის ამბავი ამ დროს ის ბინას ეძებდეს უნდა რადგან გზა არის მისი მლამბავი. „რას ამბობ ძმაო! – უთხრა მას დედამ – სტუმრისთვის სულ გვაქვს ზეწარ-საბანი არც დაიქცევა კიდევ ქვეყანა თქვენი რომ დაგვრჩეს ფეხის ნაბანი.“ „მეცა დაიკო მისთვის მოვედი თქვენში რომ ვიცან გენი მართული და რომ პოეტი გეზრდებათ შვილი ამიტომა ვარ წელგამართული.“ „რა ვიცი ძმაო აგრე სწადია კალამ ხელიდან ვერ ვაგდებინე დიდი ტვირთია ვარიგებ მაგრამ მას ვერაფრით ვაგაგებინე. არ დაუშალო ჩემო დაიკო არ აწყენინო შენს გალაკტიონს თორემ დედულის განაწყენება თან გაუყვება მდინარე რიონს. აურჩევია შვილს თავის ხვედრი თავისთავად და არვის კარნახით მე ვუერთდები მის ამ დიად გზას გაკვირვებული მე ვარ ნანახით. მიუშვი ნებას წეროს იკითხოს რამდენიც უნდა დღისით თუ ღამით, რა ვქნა დაიკო როგორც მგოსანმა მეც შევაპარე ჩემი მუღამით თვალის დევნება მშობლის პატივი ეგ თავისთავად ძნელ სიმშვიდეა, მაგრამ თვალწინი მისთვისაც გვმართებს რომ ახალგაზრდას აქვს თავის იდეა. მე უკვე ხნის ვარ და სხვაც ჩემთან ერთ ჩვენ საუკუნის მეოცე გეგვია, მაგრამ ხომ მოდის ოცდამეერთე მასაც სჭირდება ლექსის მინდია. ასე მოვდივართ დროს დრონი ცვლიან და პოეტებიც ვიცვლებით ერთობ დაე ეს ნება ჩვენ არ მოგვმლოდეს მაღლი გვიკურთხე მაღალო ღმერთო. ჩვენ ვიცვლებით და დრონიც იცვლება, მაგრამ სამშობლო თან რჩება თქმისა, რაც იყო ოდეს თავდაპირველად ღვთით კურთხეული ნაბობებ-მისა.“ მეტ აღარ უთქვამს გალაკტიონსა მოიბოდიშა მიუჯდა სუფრას, კარგ გუნებაზე იყო ნამდვილად ვერ დავარქმევდით მის სახეს ქუფვრას. დაჯდა და ისევ წამოდგა უცებ რაღა თქმა უნდა თავისთვის თვითონ, თავისი ხელით შეივსო ჭიქა, თქვა: „თაობებმან დროც გამიქვითონ. მინდა თამადას დავასწრო სიტყვა და ვთქვა ის რაც მაქვს სათქმელ ბარ აქა სურვილი ჩემი ეგ არის მხოლოდ მინდა ვუსურვო ოჯახს ბარაქა. თქვენთან საუბარს ძმებო რა სჯობნის მეამაყება რომ ვზივარ თქვენთან ეგ მეზობლობაც ღვთით კურთხეულ გვაქვს როგორც მოყვრობას მიყვებით ჩვენ თან. დროის მკვიდრობა ზრუნვა როდია თან ვერც გადახვალ კაციც უცელზე

თუ შენს მეზობელს მუცელი ტკივა უნდა ისვამდე შენც ხელს მუცელზე. კარის მეზობლებს მე კარგად მახსოვს მეცეცხლურებსაც ეძახდნენ ხშირად არ დაუკარგავს არ დღეს მას პეწი ის სიყვარულის ღვივდება ძირად. მეც დრო იყო და მიკვირდა ეგ თქმა რაღას ნიშნავდა მეცეცხლურობა დედას ვკითხე და მაშინ ასე თქვა: „ნამდვილ ასეა არ თუ ხუმრობა.“ აბა მითხარით სად იყო ქვეყნად ასანთი რომელიც ცეცხლს აგვინთებდა კვესაბედებსაც ვეღარ ვირჩენდით ზოგჯერ ხანდახან თავსა იგდებდა. ამ დროს მიაგნო ხალხმა გზას ახალს ვინც ღამით კარგ ცეცხლს გააჩაღებდა ძილის წინ ამ ცეცხლს დადარში ხვევდა და ინახავდა დილაამდე სძლებდა. დილით კი ზოგ-ზოგ ეგ ნაკვერჩხლები გადადიოდა ხელიდან ხელში მეზობლობაში ბრუნავდა ცეცხლი იმართებოდნენ ამ ცეცხლით წელში ეს მისთვის ვთქვი რომ ჭირსაც და ლხინსაც შიგნით სიმტკიცე სჭირდება დიდი ერთი კაცი კი ამას ვერა იქმს ვერცა ათასი გულდრძო და ფლიდი. მაშ კაცთან კაცის დროს გაუმარჯოს და მათ შორის კი ურთიერთ ნდობას დილით სისხამზე გვერდს რომ ჩაგიარს და გეტყვის ცინცხალ „დილა მშვიდობას“ თქვა სადღეგრძელო გალაკტიონმა თან ხელად უცებ დაცალა ჭიქა და დაუმატა მაშ მეგობრებო: „ლხინი აქ – იყოს და ჭირი – იქა.“ გადმოაბრუნა შემდეგ ეგ ჭიქა და ცერა თითზე დაიკრა სამჯერ „ასე ამნაირ დაგცლოდეთ მტერი მაინც ამ გულზე და მაინც ამ ჯერ.“ „გაგიმარჯოსო! – შესძახა ყველამ – ღმერთმა გაცოცხლოთ თქვენ გალაკტიონ ჩვენ ვაიგივებთ ზოგჯერ ზოგ ნათქვამს რა ვქნათ გავზრდილვართ ჩვენც რიონ-რიონ.“ ახლა თამადამ ბრძანოს თავისი მე ცოტა-ცოტა შეგყვებით სმაში ხომ გაგიგიათ ძალა აღმართს ხნავს და ეგ ძალაა თან ღვინოც მაშინ.“ ბევრ სადღეგრძელო წარსულს მიუბღვნეს და უფრო მეტიც მომავალს უფრო ითქვა მრავალი ლექსი შაირი სიმღერაც ითქვა გუნდ-გუნდ და ჯგუფ-რო. უცებ წამოდგა მეფე-პოეტი მოიბოდიშა და წასვლა ბრძანა თქვა: „დავგვიანდი ცხენთა შეჯიბრზე ცხენ არ ვაჭენო ივარგებს განა? ახსნა ცხენი და გვითხრა: „მადლობა! – თან სახეს დიმილ შემოაფარჩა იგი წავიდა დაგვემშვიდობა... და მაინც ღმერთო ის ჩემთან დარჩა. შევხედე ჩემი თქმის ჯერიც დადგა და თან სასწრაფო უმეტეორეს მაგრამ იმნაირ ვით მომენახა: არც ერთს სწყენოდა და არც მეორეს. „მივდივარ! – ვპოვე გამოსავალი... „საითკენ შვილო?“ – გაჯავრდა დედა, და ცეცხლიანი თვალები მისი შემომენათა თვალებში მზედა. „მივდივარ! უკვე დავაგვიანე რაღა აქამდე ნარეცხ ენები გალაკტიონის „ლურჯა ცხენებსა“ მსურს შევაჯიბრო „გიშრის ცხენები“. ჩემი ცხენები გიშრის ცხენები ჯერ არსად ჯიბრზე არ ნამყოფები შორს იქნებიან?! მაინც გავუსწრებ რაღა შორი გზის დანაყოფები.“ „ვერ დაეწევი! – გაცხარდა დედა – შვილო შეჩერდი ჯიუტი ნუ ხარ, ხომ ხედავ გული ცუდს მეუბნება თანაც ხომ ხედავ როგორა ვწუხვარ. რას დაეწევი მას უკვე შვილო გადავლილი აქვს მთებ და ველია, შენ გამოუდგე ისეც ხომ მიჰქრის ამდენ სხვაობით გზა სავლელია. რადგან არ იშლი თუ დაეწიო არ გადაუსწრო შვილო არაფრით,



გულში დარჩება სამარადჟამოდ ცხენს გაუწყობა სულ ათრევს ფაფრით.“  
 „კი მაგრამ დედი ხომ გაგივია ყველა ცდა ბედის ნახევარია  
 და მეცა უნდა ვცადო ახლავე მუხა რა დღისა ნამეხარია.  
 ყველა შეჯიბრი დედი ასეა მითმობ-მითმობა არ იცის აქ დრომ  
 არცა მე დავთმობ რაღა თქმა უნდა თავ უნდა ზღვის თვითონ საკადრომ.“  
 ხელად შევკაზმე ჩემი გიშერა მამა კმაყოფილ მიცქერდა ჩუმად  
 ელიმებოდა ცოტ-ცოტა მაგრამ თავს იკავებდა რატომრაც მრუმად.  
 ერთზე შევჯექ და სხვა ავიდევნე ეს როგორცა ჰქნა გალაკტიონმა  
 თანაც იმდენი რამდენიც მან თვლით თან გაიყოლა როგორც სიონმა.  
 ბედმა მომიდგა გზამ გამიმართლა გიშრის ცხენებმაც თან მოინდომეს  
 ცხენები იყვნენ მაგრამ ჩემი თქმით მე ვეძახოდი მათ მხოლოდ ლომებს.  
 ბევრი ვიქროლეთ ძალიან ბევრი დრო მიეზიდა მხოლოდ მარცხ ენებს  
 უკვე ვხედავდი გალაკტიონი მიაჭენებდა თუ როგორ ცხენებს.  
 ჰა დავეწიე გაგუსწრო უნდა მაგრამ უხერხულ ვიგრძენი თავი  
 თან დედის თქმულიც მე მომაგონდა თანაც მოვწიე თავ-მოსართავი.  
 გალაკტიონსა რა ფეს ხმა ესმა მოიხედა და მე შევრჩი ხელში.  
 „გულმა არ გიქნა და მაშ წამოდი ჩემს შესაჯიბრად ამ ამინდ ცხელში.  
 ან-შენ და ან-მე აბა შეჯიბრი ჯიბრმა არ იცის შვილო დათმობა  
 არც კიდევ მასთან უმცროს-უფროსი და არც უბრალოდ ისე გართობა.  
 შეყვარებული ხომ არ გყავს შვილო ასე თავ გამეტ რომ მიგყავს ცხენი  
 თუ ასე გინდა ლაგამსა მოვწევ მაშინ ეგ მარცხიც ვნახოთ შემრცხენი.“  
 „ო არა არა მეფე-პოეტო შეჯიბრი თუა შეჯიბრი იყოს  
 დე ამ შეჯიბრმა ჩვენ დღეს ორივეს ჩვენივე ბედის ვარკველავი გვიყოს.  
 ხომ შეიძლება გამარჯვებული რომ ჩვენს ორ შორის არ გამოვლინდეს  
 მაგრამ არც ისე არ შეიძლება თვითონ ვარკველავიც რომ არ აბრწყინდეს.“  
 „კი შეიძლება ვით არა შვილო ასეც მრავალი მომხდარა ბევრი  
 ვითარც შექმნილა ერთთან ათასი მხოლოდ და მხოლოდ ლექსი შედეგრი.“  
 არა ვტრაბახობ მაგრამ არ ვკადრე ჩემს თავს უკადრი სიფიცხენები  
 რომ გიშრის ცხენებს უკან ეტოვა გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“.  
 თავქუდ მოგლეჯილ ვქროდით ტრამალზე ხე იშვიათად წინ გვედობოდა  
 არც ის ამბობდა არც მე ვამბობდი რომ უკვე ჯიბრი ჩვენ გვეყოფოდა.  
 ბოლოს კვლავ მეფემ გასტეხა ნავსი: „კმარა გამოცდა შვილო ცხენების  
 ერთნაირ ძალის მქონენი სჩანან ცოტა შენი სჯობს ნარეცხ ენების  
 სიმართლე კაცმა არ აღიაროს მაშინ რაღაა ეპოქის კდემა  
 ადამიანში რაც მორალს ჰბადებს არ შეიძლება მისადმი ცემა.  
 მე შენ გეტყვი და ხარ გამარჯვებულ რომ ჯიბრად მოჰყვე რემას ამასა  
 მე ეს მახარებს თავს გეფიცები შვილ უნდა სჯობდეს მხოლოდ მამასა.  
 მე ამ შედეგით ვარ კმაყოფილი დაფნის გვირგვინი შენაც დაისლე  
 შენი მიღწევა მახარებს უფრო ვიდრე დღეს ჩემი სიღარბაისლე.  
 ახლა ჩვენ-ჩვენი გზა გაგვეყრის შვილო და მეც მივდივარ ახლა მშვიდობით  
 მაინც კარვია რომ ჩვენს შეჯიბრზე ერთიმეორეს რომ არ ვინდობით.  
 ჭეშმარიტია ეგ აზრი ასე შეჯიბრს შეჯიბრი ჰქვიოდეს უნდა

სხვა მეტნაირად შესაძლო კვეხნა არს მიამიტი და მისებრ სუნ და. გალაკტიონმა პირჯვარ იწერა და მოაყოლა ჩემდამი ლოცვა და ისე სწრაფად შებრუნდა უკან ჩემთვის ეგ იყო ბაგირზე ცოცვა. „შინ დაბრუნებულს შემომხვდა დედა: „შვილო რა ჰქენი სიჯიუტისა ვით აისრულე შენი წადილი ცაში მფრინავი ვით კიუტისა.“ ვუთხარ: „იმ დიდსა ველზე ვეწიე განცვიფრდა მითხრა: „რამ მოგაფიქრა თუ ასე გსურდა რად არ მითხარი თუ ძალა გსურდა გეზომა იქ-რა. კარგია შვილო გაქვს მისწრაფება და ეს მეტნაკლებ შენში სჩანს ნათლად აბა შენ იცი არ შემარცხვინო ჩემი მზე უკვე გინთია სანთლად. ქართველის გული გაქვს და ქართველის სისხლი ეგ მახმაურებს შენდამი მეცა მეც ჩემი რწმენა ვით ერის იგი შენთვის თუ არა ვისთვის მიმეცა.“ როგორც სახლიდან წავიდა იგი ისე წავიდა ისიც ველიდან მაგრამ კვლავ ვამბობ ის არ წასულა და ჩემში დარჩა თვით სიბეველიდან. ბევრი რამ მითხრა: სიტყვა ქებისა მეც თავს ვუქნევდი რა მეტი-ჩარა ჩემს სიკეკლუცეს ჩემს გულში ვწყავდი ხომ აღარ ვიყავ მე მეტიჩარა. მამამ კი მითხრა: „ის რაც იხილე მთელი ცხოვრება საგზლად გაგყვება ერთი მისთანან ვერ გამიგია ფიქრს დაყვები თუ ფიქრი დაგყვება ვიცი ლექსია შენი გონება ყოველი წამით ნაშენ-ნამშენი მაგრამ სიმღერა მისი მწყემსია ძველი ნოტიდან ამონაქშენი. ჩაიდილინე ხან შენი ლექსი ხანაც სხვისი და ხანაც ხალხისა, ამითა შვილო გულს მოგეშვება განიდევნება ნაძრახ ალხისა. ხან ხმამაღლა თქვი შენი სათქმელი გააგებინე კაცს შენი თქმული ჯერ შენი წიგნით ხალხთან მისვლამდე ამნაირ უნდა გიძგერდეს გული. სამშობლო მეტი რადაა შვილო თუ არ ესოდენ ხალხის პატივი მხოლოდ ხალხია ამ ქვეყნის გამგე ერთად შეკრული როგორც ცხრა ტივი. ქართველი კაცის სუნთქვა მახარებს ჩვენი წარსული და მომავალი და როგორც შვილო შთამომავალი შენც ერის საქმის გაგყვება ვალი. რომ არა ესე ჩვენი ქვეყანა ვერ მოვიდოდა შვილო აქამდე და ხმაც ამნაირ ვერ გაწვდებოდა იმ ქალაქიდან ამ ქალაქამდე. ხედავ ისევ დგას სვეტიცხოველი ხედავ ისევ დგას ქვეყნად გელათი ისევ ამაყობს ქართველი კაცი თავის მშვენიერ ჰოუდელათი. რამდენი მტრისა მომგერე იყო სათვალავ არ აქვს გარდახდილ ომსა ვეფხვის ტყავშიაც გამოხვეულა მაგრამ გული კი უბგერდა ლომსა.“ კიდევ უნდოდა მამას რამ ეთქვა მაგრამ ცრემლებმა მოუსწრო ცხარემ ცრემლის მიზეზი ალბათ მე ვიყავ დე გამოსადენ გასდინდეს ბარემ. სიზმარი ბევრი დამსიზმრებია ხან-აღმამფრენი ხან-სულთმხუთავი მაგრამ ამ სიზმარს სულ სხვა პეწი აქვს სხვა დანარჩენი მახსოვს სულ ავი. ლამაზმანებშიც მქონია ჯიბრი მზეთუნახავთაც მინახავს ზავი მათთან არშიყშიც გამღვიძებია კინაღამ ცხადში მომიკლავს თავი. ო, ერთი სიტყვით ყველა ესენი გადამავიწყდა ვით დროის ცდები რადგან სიახლეს მე ძილში ვწვდები იმდენ სიახლეს ცხადში ვერ ვხვდები. მეცნიერების რა გითხრათ მაგრამ პოეტურ ხედვით მე დღეს ვარ მრთავი

ძილში სიზმრები დაგყვება მისთვის რომ ცოცხლად ვიგრძნოთ ჩვენ მკვდრებმა თავი.  
მოდის ნუ განვსჯით ისე ვთქვათ ჩვენში რომ არ ავტეხოთ განგაშ რიარი  
ძილში სიზმარი კარგია მაგრამ თვითონ ღვიძილიც სიზმარი არი.  
გამომეღვიძა და გვიან იყო იღუმალ ხმებმა ჩამძახა: ბრიყვო!  
ცხადში როგორ ხარ შე საცოდავო რაც ნახე ეგ ხომ სიზმარი იყო.  
საწერ-კალამი ავიღე უცებ ავფორიაქდი თავს ვიხვევ საბანს  
ნუთუ ეგ არის სიზმრის მისია გადავაყოლო ბავშვი წყალს ნაბანს.  
არ მინდა შუქით ვაბრწყინო ბინა... საწერ მაგიდას მივუჯდე ვწერო  
ვიცი სინათლე განდევნის ყოველს გამიფრინდება ხელიდან წერო.  
არა და აღარ მასვენებს გრძნობა სისხლში გამჯადრი და მაწუნარი  
ცეცხლს ვერ დავარქმევ მაშინდელ ჩემს თავს მაგრამ ნამდვილად ვიყავ ბუნარი.  
წამოვდექ ვხედავ აღარ მასვენებს ლექსი ქაღალდზე გადასატანი  
შუქის მაგიერ ავანთე ჭრაქი უფრო მკრთალი და ჩემთვის ამტანი.  
გინახავთ წყარო მონადინარი როგორ წანწკარებს ჩუმი ხმაურით,  
ამნაირ კაცო მოსკდა გონება ატყდა სტრიქონთა აურზაური...  
მეც თქვენნაირი ტრიალ მაქვს ბედის, თან დამიჯერეთ ხალხო რომ გეტრფით  
ეგ სიზმარია, კი მართალია, მაგრამ დღეს ცხადში უკეთეს გეტყვით.  
ხომ ამჩნევთ ახლა რაც რისი არის ლექსის ტყვე ვარ და გამომიხსენით,  
როგორმე იქნებ ხმა მომაწვდინოთ და ეგ სიზმარი ამომიხსენით.





დაიბეჭდა გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“  
სტამბაში მხატვრის ქ.№4  
31-70-47  
32-73-62